კარლ მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა [illegible] ფასისა, იხდის 1[illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 10 აგვისტო 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 186 (2834)

დ ღ ი უ რ ი

- — საფრანგეთი საომრად ემზადება იტალიის წინააღმდეგ.
- — გაფიცულთა რიცხვის ზრდა საფრანგეთში.
- — არაჩვეულებრივი გვალვა ამერიკაში.
- — პრემიები სამრეწველო-საფინანსო გეგმის საუკეთესოთ შესრულებისათვის.
- — ჭიათურის მუშების წერილი კიევის მეტყავეებს.

დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ პურის დამზადების დეფექტები

პურის დამზადების კამპანია გაჩაღდა. იმ რაიონების უმრავლესობამ, რომელნიც პურის დამზადებას აწარმოებენ, მოსავლის აკრეფა უკვე დაამთავრეს და თავიანთი ყურადღების ცენტრი პურის დამზადების პრაქტიკული ამოცანებისაკენ გადაიტანეს. სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებამ პურის დამზადების საქმის სამომხმარებლო კოოპერაციის განკარგულებაში გადაცემის შესახებ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი და მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოდან დამზადების ტემპს დაეტყო საგრძნობი გარდატეხა გაუმჯობესებისაკენ.

პურის დამზადების კამპანია მიმდინარეობს სოფლად კლასთა ბრძოლის უაღრესად გამწვავების პირობებში: კულაკობა, ჩარჩ-ვაჭრები და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები, როგორც მოსალოდნელი იყო, აღსდგნენ პურის დამზადების კამპანიის წინააღმდეგ და ისინი მავნებლურ-სპეკულიანტურ ოინებით ცდილობენ დამზადების გეგმის ჩაშლას. ეს მდგომარეობა ავალებდა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ბოლშევიკურად დაერაზმათ ღარიბ-საშუალო გლეხთა და კოლმეურნეობათა მასები პურის დამზადების პრაქტიკული ამოცანების გარშემო, ამომწურავად გაერკვიათ მათთვის ამ კამპანიის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა და უზრუნველეყოთ იგი ტეხნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებებით.

ეს წინასწარი პირობა ყველგან არ არის შესრულებული.

ღარიბ-საშუალო გლეხთა და კოლმეურნეთა მასის ყურადღება და აქტივობა არ არის სათანადოდ მობილიზაციაქმნილი პურის დამზადების პრაქტიკული ამოცანების ირგვლივ: გარე-კახეთში, ქიზიყში, ერწო-თიანეთში და გორის ოლქის მთელ რიგ სოფლებში პურის დამზადების დაწყებამდე ღარიბ-საშუალო გლეხებსა და მოჯამაგირეებში არ ჩაუტარებიათ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია პურის დამზადების მნიშვნელობის გასარკვევად. პურის დამზადების გეგმა არ არის დაყვანილი სოფლამდე და კულაკურ მეურნეობამდე. კულაკი არ გრძნობს თავისი სასაქონლო პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარების ვალდებულებას და იგი პურზე სპეკულიაციას დღითი-დღე აძლიერებს. ასეთი მდგომარეობის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. პურის დამზადების სასოფლო გეგმის შედგენის დროს გამორკვეულ უნდა იქნას კულაკურ მეურნეობათა მოსავლიანობა და **კულაკებს უნდა მიეცეს მტკიცე დავალება მთელი მათი სასაქონლო პურის უმოკლეს ვადაში სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ.** საბჭოთა ორგანიზაციების და პურის დამზადების ხელის შემწყობი კომისიების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აიძულონ კულაკობა, რათა მათ უახლოეს ვადაში შეასრულონ სახელმწიფოსათვის მთელი სასაქონლო პურის ჩაბარების ვალდებულება. რაც შეეხება კულაკისა და ჩარჩ-ვაჭართა მიერ პურით სპეკულიაციას, ამას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო იმ ზომებითა და ღონისძიებებით, რომელნიც გათვალისწინებულია კანონით.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პურის დამზადებისათვის კოლმეურნეთა მასის მომზადებას. კოლექტივებს სახელმწიფოსათვის პურის დამზადების საქმეში დახმარების გაწევა შეუძლიათ მას შემდეგ, როდესაც ისინი თავიანთ სასაქონლო პურს მთლიანად ჩააბარებენ სახელმწიფოს. ამისათვის „პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან მიაქციონ ყურადღება კოლექტივების მიერ პურის ჩაბარების სწორი ნორმების დაწესებას, ჩაატარონ ამ ნორმების თავის დროზე დაყვანა თვითეულ კოლმეურნეობამდე და უზრუნველყონ უკანასკნელთაგან პურის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულება“. (საქ. კ.პ. (ბ) ა.-წ. 26 ივლისის დადგენილებიდან). უდავოა, რომ კოლმეურნეობათა მასა პურს სახელმწიფოს ჩააბარებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ კოლმეურნეობათა წრეშიც მოიპოვებიან თითო-ოროლა მერყევნი, რომელნიც ჯერ კიდევ არ გამსჭვალულან „ახალი საზოგადოებრივი დისციპლინით“. ისინი მოისურვებენ სასაქონლო პურის კერძო ბაზარზე მაღალ ფასებში გაყიდვას და ამგვარად გააძნელებენ პურის დამზადების გეგმის ვადაზე შესრულებას; ეს მოხდება იმიტომ, რომ „არტელში კი არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება ახალი საზოგადოების დისციპლინის შექმნის საქმე, გლეხობისათვის სოციალისტური მშენებლობის შესწავლის საქმე“ (მე-16 პარტყრილობის რეზოლიუციიდან).

შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ კახეთში სოფელ ანანაურის სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობამ კოლექტივის ზედმეტი პურის ნაწილი მაღალ ფასებში მიჰყიდა კერძო ვაჭრებს. ეს მდგომარეობა გვავალებს სასტიკად შევებრძოლოთ „თვითმიმდინარეობის“ განწყობილებას, რომლის მატარებელთაც გონიათ, თითქოს ყველა კოლექტივები პურს სახელმწიფოს „თავისთავად ჩააბარებენ“. საჭიროა კოლმეურნეობათა მასას შევაგნებინოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების მნიშვნელობა, საჭიროა დაუღალავი მუშაობის ჩატარება იმისათვის, რომ მთელი კოლმეურნეობათა მასა ჩაბმულ იქნეს პურის დამზადების გეგმის განხორციელების საქმეში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება კულაკური წინააღმდეგობის დამსხვრევა და კამპანიის წარმატებით დამთავრება.

არავითარ შემთხვევაში **არ უნდა დავივიწყოთ პურის დამზადებაში კერძო მეურნე ღარიბ-საშუალო გლეხკაცობის როლი.** სწორედ აქ არის საჭირო მასიურ ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაცხოველება იმისათვის, რომ გაძლიერდეს საზოგადოებრივი თვითვალდებულების გრძნობა სასაქონლო პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე მთლიანად შესრულებული უნდა იქნეს საკონტრაქტაციო დავალება, რომელიც პურის ჩაბარების დარგში ღარიბმა და საშუალო გლეხებმა მიიღეს.

საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ ღარიბი და საშუალო გლეხების არც ერთი გირვანქა პური არ ჩაუვარდეს ხელში კულაკს და სპეკულიანტს. 1919 წელს ლენინი სწერდა: „ის გლეხი, რომელმაც სახელმწიფოს მტკიცე ფასებში მიყიდა პური, ნამდვილი მშრომელი გლეხია, მუშა სოციალისტის სრულუფლებიანი ამხანაგი, მისი ურთგულესი მეგობარი, მისი ღვიძლი ძმა კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის გლეხი კი, რომელმაც კალთის ქვეშ ამოფარებით გაყიდა 40 მილიონი ფუთი პური ასჯერ უფრო მეტ ფასებში, ვიდრე სახელმწიფოს ფასებია, რომელმაც ხელი მოითბო ქალაქის მუშის სიმშილით გაჭირვებისაგან, რომელმაც მოატყუა სახელმწიფო, საფუძველი ჩაუყარა და გასავალი მისცა ძარცვასა და გაიძვერულ მოქმედებას, აი ის გლეხი ნამდვილი სპეკულიანტია, კაპიტალისტის მოკავშირეა, ის მუშათა კლასის მტერია, ის ექსპლოატატორია“. (ლენინი, ტ. XVI) ლენინის ეს სიტყვები უნდა გავხადოთ მკვეთრ ლოზუნგებათ იმ ღარიბ-საშუალო გლეხთა მიმართ, რომლებმაც ზედმეტი პური სახელმწიფოს უნდა მიყიდონ.

გარდა ამისა გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული დამამზადებელი აპარატის კვალიფიციური მუშაკებით გაძლიერებისათვის და ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პურის დამზადების ოპერაციებს შემთხვევითი და საქმის უცოდინარი პირები აწარმოებენ.

ბევრ ადგილებში ტარის და საწყობების უქონლობა ისევ აბრკოლებს დამზადების მიმდინარეობას: კასპის რაიონში დღემდე არ დაუმთავრებიათ პურის საწყობების შეკეთება. ახალქალაქის და გურჯაანის რაიონში სრულებით არ ჩაუტარებიათ ტომრების შეგროვების კვირეული და ერწო-თიანეთის რაიონში კი დღემდე არ მოუმარაგებიათ საჭირო სამრეწველო საქონელი. ყველა ამ დეფექტების და უპასუხისმგებლობის მიზეზები სასწრაფოდ უნდა გამოირკვეს და კონკრეტული დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული; პურის დამამზადებელი პუნქტები კი უნდა უზრუნველვყოთ საჭირო მოწყობილობით.

შევაკავშიროთ და დავრაზმოთ ღარიბ-საშუალო გლეხობა და კოლმეურნეთა მასა პურის დამზადების პრაქტიკული ამოცანების ირგვლივ, პურის დამზადების გეგმა დავიყვანოთ სოფლამდე და კულაკურ მეურნეობამდე, რევოლიუციონურ კანონიერების მთელი სისასტიკით აღვკვეთოთ პურის სპეკულიაცია და მთელი ჩვენი ძალღონით უზრუნველვყოთ დამზადების კამპანიის მთლიანად და ვადაზე შესრულება.

ბოლშევიკურად გარდავქმნათ მუშაობა

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის გარდაქმნის შესახებ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას მე-16 პარტიული ყრილობის იმ გადაწყვეტილებების შესასრულებლად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციას ეხებიან. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში მე-16 პარტიულ ყრილობაზე ამხ. სტალინმა ასე განსაზღვრა კოლექტივიზაციის ამოცანა: „ხუთწლედის დამლევს კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში საერთოდ უნდა დამთავრდეს და კოლმეურნეობათა ნათესის ფართობმა ამ დროისათვის უნდა დაფაროს საბჭოთა კავშირის მთელი ნათესის ტერიტორიის ცხრა მეათედი, რომელსაც ამჟამად ინდივიდუალური მეურნეობანი ამუშავებენ“.

ამ უდიდესი ამოცანის გადაჭრა მოითხოვს დაუღალავ ბრძოლას და მუშაობას წინად არსებული და ახლად შექმნილი კოლმეურნეობების ორგანიზაციული და სამეურნეო მხრით ყოველნაირად განსამტკიცებლად და დაუღალავ ბრძოლას და მუშაობას ინდივიდუალურ მეურნეთა ახალი და ახალი მასების მოსამზადებლად და დასარაზმავად კოლმეურნეობებში შესვლისათვის.

მე-16 პარტიულმა ყრილობამ ხცნო, რომ კოოპერატიული ორგანიზაცია და კოოპერატიული აპარატი თავიანთი ეხლანდელი სახით ვერ უზრუნველჰყოფენ ამ ამოცანების გადაჭრას და რომ კოოპერატიული ორგანიზაცია და კოოპერატიული აპარატი გასწყდნენ ინდივიდუალურ მეურნეთა მასებს და ველარ უწევენ მათ სამსახურს. ამავე დროს მათ ოდნავადაც ვერ შეუფარდეს თავიანთი მუშაობა კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-საწარმოო ხელმძღვანელობის და მომსახურების საქმეს. ამ გარემოებამ აიძულა პარტიული ყრილობა მიეღო გადაწყვეტილება საკოლმეურნეო - კოოპერატიული სისტემის მთელი ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძვლიანი გადათვალიერების შესახებ.

რეორგანიზაცია მიზნად ისახავს ფუნქციების განსაზღვრას ცალკე ორგანიზაციებსა და მთლიანი საკოლმეურნეო - კოოპერატიული სისტემის აპარატებს შორის ისეთ საქმეებში, როგორიც არის ერთის მხრით საორგანიზაციო-საწარმოო სამსახურის გაწევა კოლმეურნეობებისათვის, ხოლო მეორეს მხრით—საწარმოო სამსახურისა და ხელმძღვანელობის გაწევა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის.

მე-16 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილების მიხედვით, ცენტრალური კომიტეტი [illegible] იძლევა „საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მთელი საორგანიზაციო და საწარმოო ხელმძღვანელობის გაწევა რაიონში დაეკისროს კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირს“, ხოლო „მთელი მუშაობა საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანებისა და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათათვის სამსახურის გაწევის დარგში, აგრეთვე დამზადება-გასაღების და მომარაგების ფუნქციები ყველა კოლმეურნეობათა და კოოპერატიულად შეკავშირებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა მიმართ დაეკისროს რაიონის მთლიან კოოპერატიულ კავშირს“.

მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები ვითომ ლენინის კოოპერატიული გეგმის „დასაცავად“ ცდილობენ პარტიის ყრილობის და ცენტრალურ კომიტეტის ეს გადაწყვეტილება გამოიყენონ პარტიაზე თავდასასხმელად. აქა-იქ გაისმის ოპორტუნისტების გოდება იმის შესახებ, რომ პარტია ვითომ არღვევს ლენინის კოოპერატიული გეგმის მთლიანობას და საკოლმეურნეო და კოოპერატიული სისტემების განცალკევებით კოლმეურნეობებს სწყვეტს კოოპერაციას.

მემარჯვენე უკლონისტები ცილს სწამებენ პარტიას და ცდილობენ ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება ისე განმარტონ, თითქოს პარტია ფაქტიურად უარს ამბობდეს ჩვენი ქვეყნის შემდგომ კოლექტივიზაციაზე. ამასთან ისინი ეყრდნობიან გადაწყვეტილების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ინდივიდუალურ მეურნეთათვის საწარმოო სამსახურის გაწევა და ხელმძღვანელობა კოოპერატიულ კავშირებს ევალება.

ბოლოს, „მემარცხენე“ გადამხვევლები მზად არიან პრაქტიკაში კოლმეურნეობები მოსწყვიტონ კოოპერაციას, ხოლო კოლმეურნეობების განმტკიცების ამოცანა, კოოპერატიული საწარმოო გაერთიანებების მარტივი ფორმების საშუალებით, მოსწყვიტონ კოლექტივიზაციისათვის ინდივიდუალურ მეურნეობათა მომზადების ამოცანას; ისინი მზად არიან საკოლმეურნეო სისტემა ჩასთვალონ დამოუკიდებელ სისტემად.

აქედან ცხადია, რომ პარტიული ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის იმ გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის გარდაქმნას ეხება, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ოპორტუნისტების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — დაამახინჯონ ეს პარტიული გადაწყვეტილება. საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემა პარტიას მიაჩნია მთლიან სისტემად, რადგან პარტია, რომელიც ყოველთვის სისწორით ასრულებდა ლენინის კოოპერატიულ გეგმას, კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმეს და კოოპერაციის მარტივი ფორმების საშუალებით ინდივიდუალურ მეურნეთა მასების კოლმეურნეობებში შესასვლელად მომზადების საქმეს მუდამ სთვლიდა ერთისა და იმავე ამოცანის—ჩვენი ქვეყნის სრული კოლექტივიზაციის ამოცანის— ორ განუყრელ ნაწილად.

ამიტომ საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის რეორგანიზაციის შესახებ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ და ნამდვილად უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო და კოოპერატიული კავშირების მჭიდრო და მტკიცე თანამშრომლობა მათ პრაქტიკულ მუშაობაში. ამ კავშირების მუშაობის მიმართულება და მიზანი ერთი უნდა იყოს—საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაციის დამთავრება საერთოდ ხუთწლედის დასასრულისათვის.

კოოპერატიული ორგანიზაციისა და კოოპერატიული აპარატის ეხლანდელი მდგომარეობა, რომელიც პარტყრილობამ პირდაპირ დაუშვებლად აღიარა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია. საცალო ფასების შემცირების საკითხთან დაკავშირებით, ამხ. სტალინმა სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ სთქვა რომ „კოოპერაცია ამ შემთხვევაში მოქმედებს არა როგორც სოციალისტური სექტორი, არამედ როგორც თავისებური სექტორი, რომელიც ერთგვარი ნეპმანური სულით არის შეპყრობილი“-ო. ეს შეფასება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაზედაც შეიძლება გავავრცელოთ საგრძნობლად. ჩარჩული ტენდენციები, როგორც კოოპერაციის წარსული მუშაობის ნაშთი, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია კოოპერატიულ აპარატში. ეს ტენდენციები, რომლებიც გამოხატავდნენ მემარჯვენე გადახრას პრაქტიკაში, აფერხებდნენ კოოპერაციის გადასვლას საწარმოო მუშაობაზე და მის გადაქცევას გამსაღებელ-მომმარაგებელ კოოპერაციიდან საწარმოო-საკოლმეურნეო კოოპერაციად. კოოპერაციაში მემარჯვენე-ოპორტუნისტული გავლენის მეორე მხარეს წარმოადგენდა კოოპერატიული აპარატის „მემარცხენე“ გადახვევები, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა მძლავრად გაიშალა. კოოპერატიულმა აპარატმა ვერ შესძლო გაძღოლოდა კოლექტივიზაციის მოძრაობას, ორგანიზაციულად ჩამოეყალიბებია და განემტკიცებია იგი და დაადგა კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციის და საკოლმეურნეო მოძრაობის ბიუროკრატიული დეკრეტებით შექმნის გზას. თუ რა შედეგები მოჰყვა ამას, ყველამ იცის: კოოპერატიული ორგანიზაცია და კოოპერატიული აპარატი მოსწყდნენ ინდივიდუალურ მეურნეებს და ვერ დაუკავშირდნენ კოლმეურნეებს.

აი ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ცენტრალური კომიტეტის დირექტივას იმის შესახებ, რომ „საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის რეორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს დადებით შედეგებს, თუ ნამდვილად განვამტკიცებთ საკოლმეურნეო - კოოპერატიულ სისტემას შესაფერი სპეციალისტების და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების კადრებით“. ცენტრალური კომიტეტის ეს დირექტივა დაუყოვნებლივ მთლიანად და უყოყმანოდ უნდა შეასრულონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

„საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის რეორგანიზაციას უნდა მოჰყვეს საკოლმეურნეო-კოოპერატიული აპარატის შტატების აუცილებელი შემცირება და მთელი ამ აპარატის მუშაობის რაციონალიზაცია. შტატების შემცირება და მთელი მუშაობის რაციონალიზაცია ნიშნავს შეუპოვარ და მედგარ ბრძოლას „კოოპერატიული“ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას საკოლმეურნეო-კოოპერატიული საზოგადოებრიობის უდიდესი გაშლისათვის, კონტროლისა და თვითკრიტიკისათვის საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სისტემაში. ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაცია და ამ ჯგუფების მუშაობა კოოპერატიულ გაერთიანებებსა და კოლექტიურ მეურნეობათა პირველად ფორმებში, ხშირი ქსელი კოოპერატიული აგრო-ზოო და სხვა რწმუნებულებისა, რომელნიც საზოგადოებრივი დატვირთვის წესით მუშაობენ, ხელმძღვანელ სამუშაოზე გაბედულად და ფართოდ დაწინაურება იმ „ნამდვილად ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოვებულებისა“ „თვით გლეხებიდან“, რომელთაც თავი ისახელე შემოქმედებითი მუშაობით, საწარმოო თათბირების გაშლილი მუშაობა კოლმეურნეობებში და მარტივ გაერთიანებებში, განუწყვეტელი კონტროლის მოწყობა ქვევიდან საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანოების მუშაობაზე, გაბედული ბრძოლა თვითკრიტიკის ჩახშობასთან და გლეხკორების მოძრაობის განმტკიცება და მაქსიმალურად გაფართოება კოლმეურნეობებსა და კოოპერატიულ გაერთიანებებში,—აი რაზე უნდა იმუშაონ საფუძვლიანად პარტორგანიზაციებმა, რათა თავიდან აიცილონ საკოლმეურნეო-კოოპერატიული აპარატის გაბერვა მისი რეორგანიზაციის შემდეგ, რათა ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას მთელი მისი მუშაობის რაციონალიზაცია.

ამასთან შეფარდებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ც. კ-ის იმ დირექტივას, რომელიც მოითხოვს სასწრაფო და ენერგიული ზომების მიღებას „სოფლად კოოპერატიული ქსელის აღსადგენად და განსამტკიცებლად“. საქმე ის როდია—„გამოიძებნოს“ სოფლის ამხანაგობათა ძველი გამგეობები და მოეწყოს კანტორები, როგორც ამას გულმოდგინედ სჩადიან ზოგგან კოოპერაციის მოხელენი,—საქმე ის არის, რომ დაარსდეს ნამდვილი საწარმოო გაერთიანება, რომელშიაც „ნამდვილად მიიღებენ მონაწილეობას მოსახლეობის ნამდვილი მასები“.

კერძოდ, პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ც. კ-ის არსებული დირექტივების იმ მითითებებს, რომლებიც შეეხებიან რაიონული კოოპერატიული კავშირების მშენებლობისა და მეცხოველეობის ტიპის ქვედა საწარმოო გაერთიანებების გაშლას. ეს აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანი პირობაა მეცხოველეობის პრობლემის გადასაჭრელად მსხვილი კოლექტიური მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საფუძველზე.

პარტიული ორგანიზაციები საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის გარდაქმნისათვის ხელმძღვანელობის გაწევის დროს უნდა გამომდინარეობდნენ იმ საერთო მიზნიდან, რომ რეორგანიზაციამ უზრუნველჰყოს მთლიანი კოლექტივიზაციის და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის განხორციელების პოლიტიკა.

„პრავდა“, 9 აგვისტო.

ინდოეთის აჯანყებულ ტომების ჯარი პეშევარს უახლოვდება

ინგლისის პრესა განაგრძობს კამპანიას შეიარაღებული ინტერვენციის სასარგებლოდ ჩინეთში

საბჭოთა ექსპორტის ზრდა მოსვენებას არ აძლევს რუმინეთს.—რუმინეთის ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს „ევროპის საერთო კავშირის“ შექმნას საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ

მდგომარეობა ინდოეთში

აფრიდიების არმია ახლოვდება.

ლონდონი, 8 აგვისტო. აფრიდიების ტომის არმია, რომელიც პეშევარს უახლოვდება, 10.000 კაცისაგან შესდგება. ამ ჟამად აფრიდიების რაზმებსა და ინგლისის ჯარს შორის შეტაკება პეშევარიდან ერთი მილის მანძილზე. ინგლისის ხელისუფლება სასწრაფო გამაფრთხილებელ ზომებს იღებს. პეშევარის ალაყაფის კარი ღამ-ღამობით იკეტება. გარნიზონს ადიდებენ. მთელი რაიონი სამხედრო აეროპლანების განუწყვეტელ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ინგლისის საავიაციო ესკადრილიები ემზადებიან აფრიდიების სოფლებზე თავდასხმისათვის. ამ სოფლებში ამჟამად მხოლოდ ქალები და ბავშვები არიან (ადს).

დაპატიმრებულთა რიცხვი იზრდება.

ლონდონი, 8 აგვისტო. ბომბეის მთავრობამ პოლიციისათვის დამატებით გადასდო 1.419.200 რუპი და 615 რუპიც—საპყრობილეების გასაფართოებლად სამოქალაქო ურჩობის კამპანიასთან დაკავშირებით; დაპატიმრებულთა რიცხვი პირველ ივლისისათვის 7.000 კაცს აღემატებოდა. დაპატიმრებას განაგრძობენ. პირველ აგვისტოს მარტო ბომბეიში აკრძალულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის 200 კაცი დააპატიმრეს. ამ დემონსტრაციის გარეკვის დროს პოლიციამ 500 კაცი დასჭრა (ადს).

გადასახადების შეუტანლობისათვის.

ლონდონი, 8 აგვისტო. მიდნაპორის და ტემლუკის რაიონებში იმ გლეხებს, რომელთაც გადასახადების შეტანაზე უარი განაცხადეს, ხელისუფლება სასტიკი ზომებით გაუსწორდა. დელის რაიონში, სადაც უფრო დიდი მოძრაობაა, მიწის იჯარის გადაუხდელობისათვის მრავალი გლეხი დააპატიმრეს. **დაპატიმრებულნი საპოლიციო უბანში აწამეს** (ადს).

ინდო-ჩინელ რევოლიუციონერებს სიკვდილი მოელით

პარიზი, 8 აგვისტო. როგორც „ლიუმანიტე“-ს ინდო - ჩინეთიდან ატყობინებენ, კაიენაში, საკატორღო საპყრობილეში, გაიგზავნა 128 აჯანყებული, რომელთაც გრძელვადიანი საკატორღო მუშაობა აქვთ მისჯილი. ინდო - ჩინეთის საპყრობილეში 600 სხვა რევოლიუციონერი ზის. „ლიუმანიტე“ სწერს, რომ ინდო-ჩინელ რევოლიუციონერებს გაუგონარ წამებაში ნელი სიკვდილი მოელით და მოუწოდებს საფრანგეთის მშრომელებს — იბრძოლონ ინდო - ჩინელი ძმების განსათავისუფლებლად, რომლებიც საფრანგეთის იმპერიალიზმის სხვერპლი გახდნენ.

ჩ ი ნ ე თ შ ი

აგიტაცია შეიარაღებული ინტერვენციისათვის.

ბერლინი, 8 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში ინგლისის წრეები ჩინეთში გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან შეიარაღებულ ინტერვენციისათვის. ინგლისის პრესა ხელახლა გამოდის დიდი [illegible], რომლებშიც ყოველნაირად ხატავს „წითლების მიერ ჩადენილ საშინელებებს“. (ადს).

აგებენ დიდ სიმაგრეებს

ლონდონი, 8 აგვისტო. როგორც ჩინეთიდან იუწყებიან, საფრანგეთის და იაპონიის კონცესიის ირგვლივ ხანკოუში დიდ სიმაგრეებს აგებენ და მავთულის ხლართებს ავლებენ. (ადს).

მასიური ტერორი მუშა-კომუნისტების მიმართ

ლონდონი, 8 აგვისტო. როგორც ხანკოუდან იუწყებიან, იქ ხელისუფლება მასიურად სდევნის მუშა - კომუნისტებს. ამ დღეებში თავი მოჰკვეთეს ხუთ კომუნისტს, მათ შორის ორ ქალს. მუშებს მასიურად აპატიმრებენ და სჯიან საპყრობილეებში. (ადს).

ჩინეთის ელჩი „ბოდიშს იხდის“

ტოკიო, 8 აგვისტო. ჩინეთის ელჩმა ტოკიოში ვან იუნ-ბამ ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი სიდეხარა და თავისი მთავრობის სახელით სინანული გამოსთქვა ჩანშას იაპონიის საკონსულოში მომხდარი ხანძრის გამო. ჩინეთის გაზეთები აღშფოთებას გამოსთქვამენ „კომუნისტების თავდასხმის გამო იაპონიის საკონსულოზე ჩანშაში“. (ადს).

კომუნისტების დევნა კანტონში.

ლონდონი, 8 აგვისტო. კომუნისტების დევნამ კანტონში სასტიკი ხასიათი მიიღო. უსწორდებიან ყველა იმათ, ვისზედაც ხელისუფლებას ეჭვი შეაქვს. სასამართლოს პროცედურა ფაქტიურად გაუქმებულია, დაპატიმრებულების მიმართ ხელისუფლებას დაუყონებლივ გამოაქვს განაჩენი და მაშინვე სისრულეში მოჰყავს ეს განაჩენი (ადს).

რევოლიუციონური პროფოპოზიციის გამარჯვება

ბერლინი, 8 აგვისტო. ბერლინის ტელეგრაფის მშენებლობის სამმართველოს ქარხკომის არჩევნებში რევოლიუციონური პროფოპოზიციის სიამ მიიღო 1.879 ხმა. რეფორმისტებმა მიიღეს 1.174 ხმა, შარშანდელთან შედარებით 300 ხმით ნაკლები. (ადს).

საფრანგეთი საომრად ემზადება

რომი, 8 აგვისტო. მრავალი გაზეთი ათავსებს ცნობას პარიზიდან იმის შესახებ, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი, რეინის ოლქიდან გადაყვანილ იქნა იტალიის საზღვარზე. იტალიის სანაპირო ოლქში, ტრანტეზმში, მზადებაა დიდი ალპიური მანევრებისათვის, რომლებიც მახლობელ დღეებში გაიმართება. მანევრების რაიონში მრავალი ტანკი გაიგზავნა. (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კესტლმა პასუხი გასცა პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე იმ ხმების შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირს სურს განაახლოს მოლაპარაკება ცნობის საკითხზე; კესტლმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს საბჭოთა მთავრობისაგან არ მიუღია არავითარი ცნობა ამ საკითხზე არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ. მას არ აქვს ცნობები იმის შესახებ, სურს თუ არა მოსკოვს განახლოს მოლაპარაკება.

შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა სავაჭრო ხელშეკრულების დადება ცნობის გარეშე, კესტლმა უარყოფით უპასუხა და განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ გაგზავნონ ოფიციალური წარმომადგენლები საბჭოთა კავშირში ვაჭრობის საკითხებზე ან სხვა რაიმე მიზნით იმის გარეშე, რომ ამან არ გამოიწვიოს საბჭოთა კავშირის ცნობა. (ადს)

რუმინეთის ბურჟუაზიული პრესა ოცნებობს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ბლოკადაზე

ვენა, 8 აგვისტო. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებით, რუმინეთის ბურჟუაზიული პრესა მოუწოდებს ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს, კერძოდ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნებს, შექმნან ბლოკი საბჭოთა კავშირისათვის ფინანსიური და ეკონომიური ბლოკადის გამოსაცხადებლად და ერთიანი ფრონტის განსახორციელებლად საბჭოთა ნავთის და ხორბლის ექსპორტის წინააღმდეგ.

რუმინეთის პრესის ნაწილი შიშს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის და იტალიის სავაჭრო ხელშეკრულების შედეგი იქნება იტალიის ბაზრის დაკარგვა რუმინეთის ხორბლის, ხეტყის და ნავთის ექსპორტისათვის.

ეკონომისტი სტეფანესკუ აცხადებს, რომ რუმინეთს მარტო არ შეუძლია გაუმკლავდეს საბჭოთა კონკურენციას და ამიტომ, საერთაშორისო ეკონომიური კრიზისის გამწვავების პირობებში, რუმინეთმა და სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შეერთებული ღონისძიებებით და ერთა ლიგის დახმარებით უნდა დაიცვან თავიანთი ინტერესები. სტეფანესკუ წინადადებას იძლევა შეიქმნას ევროპის საერთო კავშირი საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ შემდეგ საფუძვლებზე: აიკრძალოს ხორბლის და ნავთის შემოტანა საბჭოთა კავშირიდან, ფასების დაწესება ნავთზე და ხორბალზე უნდა ხდებოდეს განსაკუთრებულ საერთაშორისო ბირჟაზე, მიღებული იქნეს ზომები საერთაშორისო მასშტაბით სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციისათვის კავშირში შემავალ ცალკე ქვეყნებში, რათა აღმოიფხვრას მათ შორის კონკურენცია.

უნგრეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა პურის ბოიკოტში

ვენა, 9 აგვისტო. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, უნგრეთის ოფიციალური პრესა ახასიათებს ხელმძღვანელ პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეების პოზიციას ბუქარესტის და სინაის აგრარულ კონფერენციების მიმართ და სთვლის, რომ დუნაის აგრარულ ქვეყნების ბლოკის ამოცანაა „ბრძოლა არა ამერიკის წინააღმდეგ, რომელიც აწესებს პურის ფასებს მთელს მსოფლიოში, არამედ იმ ფაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ ფასების დაცემას პურის ბაზარზე“.

ამრიგად, უნგრეთის პრესა გაკვრით აღნიშნავს, რომ უნგრეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა პურის ბოიკოტში. (ადს).

შეთანხმება იტალიასთან

მოსკოვი, 9 აგვისტო. იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის ძალითაც შემოღებულ იქნა ყადაღის დადებისა და გადახდევინების წესი ერთ-ერთი მხრის იმ სახელმწიფო ქონებაზე, რომელიც მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 14 ივლისის დადგენილების თანახმად, ყადაღის დადება და ჯარიმის გადახდევინება უცხოეთის სახელმწიფო ქონებაზე შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ნებართვით ყოველ ცალკე შემთხვევაში. ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფოების ქონებაზე, რომლებიც ასეთსავე წესს იყენებენ საბჭოთა კავშირის ქონების მიმართ. რადგან ასეთსავე წესს ამყარებს იტალიის 1926 წლის 15 ივლისის კანონი, რომლის ძალითაც „იუსტიციის სამინისტროს [illegible] უცხო სახელმწიფოს უძრავ-მოძრავი ქონების, სესხების, კრედიტების, აქციების, ფასიანი ქაღალდების და სხვათა აღწერა, გაყიდვა და საერთოდ აღმასრულებელი აქტის შედგენა“, ორივე მხარემ შესაძლებლად სცნეს გაეცვალათ ნოტები, რომლებშიაც დადასტურებულია ორივე სახელმწიფოში მოქმედი წესების ერთნაირობა. ამგვარად, დღეიდან ყოველგვარი აღმასრულებელი აქტის გამოყენება საბჭოთა კავშირის ქონების მიმართ, რომელიც იტალიის ტერიტორიაზე იმყოფება, შეიძლება მხოლოდ იტალიის მთავრობის სანქციით ყოველ ცალკე შემთხვევაში, ისევე, როგორც ყადაღის დადება და ჯარიმის გადახდევინება იტალიის სახელმწიფო ქონებაზე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ნებართვით (ადს).

კიდევ ერთი საზღვაო კონფერენცია?

ლონდონი, 9 აგვისტო. ინგლისის საზღვაო წრეებში შეშფოთებული არიან ხმებით ახალი საზღვაო კონფერენციის პროექტის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობებით, „უცხოეთის სახელმწიფოები შუამავლების საშუალებით ნიადაგს ამზადებენ ლონდონში ახალი კონფერენციის მოსაწვევად სამხედრო-საზღვაო მშენებლობის შეზღუდვის მიზნით“. „დეილი ტელეგრაფი“ ჩქარობს განაცხადოს, რომ ინგლისის მთავრობა არ იკისრებს ასეთი კონფერენციის მოწვევის ინიციატივას და ინგლისი ამაში დაინტერესებული არ არის. სხვა მდგომარეობაში არიან, გაზეთის სიტყვით, შეერთებული შტატები და იაპონია, რომლებისთვისაც აუცილებელია „დიდი ხარჯების გაწევა თავისი პროგრამების შესასრულებლად“? (ადს).

დავუახლოვოთ პროფკავშირების აპარატი

ფართო პროფკავშირულ მასებს

საქ. პროფსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 9 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მიიღო დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლების გატარება საჭიროა პროფორგანიზაციების გარდასაქმნელად. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საოლქო პროფსაბჭოების და საოლქო განყოფილებების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს საოლქო პარტიული და საბჭოთა აპარატის გაუქმებასთან ერთად. იმ ქალაქებში, რომლებიც უშუალოდ რესპუბლიკანურ, სამხარეო და საოლქო („ობლასტ“-ი) ცენტრებს უნდა დაექვემდებარონ, უნდა მოეწყოს პროფკავშირების საქალაქო საბჭოები. რესპუბლიკანურ, სამხარეო და საოლქო („ობლასტ“-ი) ცენტრებში და ყოველ რაიონებში არსდება პროფკავშირთა რაიონული საბჭოები, საქალაქო პროფსაბჭოები კი არ ეწყობა. არ ეწყობა აგრეთვე კავშირები, რაიოკომები. რაიკომები, რესპუბლიკანურ, სამხარეო და საოლქო („ობლასტ“-ი) პროფსაბჭოს დადგენილებით, შეიძლება მოეწყოს მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო და ტყის მუშაკთა, განათლების მუშაკთა, საბჭოთა - სავაჭრო და მედსანშრომის მუშაკთა კავშირების ხაზით, თუ რაიონში მოიპოვება კავშირის არა ნაკლებ 250 წევრისა. ინდუსტრიალურ კავშირებში რაიკომები არ ეწყობა, ამ კავშირების საქარხნო - საფაბრიკო ადგილკომები უშუალოდ ექვემდებარებიან კავშირის რესპუბლიკანურ, სამხარეო და საოლქო („ობლასტ“-ი) განყოფილებას და მათ საერთო ხელმძღვანელობას უწევს პროფკავშირების რაიონული (საქალაქო) საბჭო. პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ — დაუყონებლივ წარუდგინონ საკავშირო პროფსაბჭოს დასამტკიცებლად თავიანთი წინადადებანი, ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სტრუქტურისა და შტატების შესახებ, აგრეთვე აპარატისა და სახსრების განაწილების შესახებ. საქალაქო და რაიონული პროფორგანოების სტრუქტურის დამუშავებისა და შტატების დაწესების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს მუშაობაში მოხალისეების ფართოდ ჩაბმის პრინციპი, ამასთან არ შეიძლება იმ ხარჯების გადაჭარბება, რაც ამჟამად ხმარდება პროფაპარატის შენახვას. კავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა საბჭოებმა და საოლქო („ობლასტ“-ის) განყოფილებებმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკ-ს იმ დირექტივის შესრულების დროს, რომელიც შეეხება საოლქო პროფაპარატის მუშაკთა 90 პროცენტის რაიონებში სამუშაოდ გაგზავნას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამგვარი მომუშავეებით სასოფლო - სამეურნეო და სატყეო მუშაკთა კავშირის ქვედა საფეხურის ორგანიზაციების გამაგრებას. ყველა პროფკავშირთა საბჭოები დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ საკავშირთაშორისო საორგანიზაციო ბიუროების დაარსებას რაიონებში, ხოლო სექტემბრის განმავლობაში მოაწყონ საკავშირთაშორისო რაიონული კონფერენციები, აგრეთვე საკავშირო კონფერენციები, თუ რაიონში ეწყობა ამ კავშირის რაიკომი, იმ პირობით, რომ 1930 წლის 1 ოქტომბრისათვის ყველა რაიონებში დამთავრდეს კავშირების ორგანოების შექმნა. (ადს).

პრემიები სამრეწველო-საფინანსო გეგმის საუკეთესო შესრულებისათვის

მოსკოვი, 9 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭომ და ს.მ.უ. საბჭომ გადასწყვიტეს დააჯილდოონ საბჭოთა კავშირის 25 საუკეთესო საწარმო, 50 დამკვრელი ბრიგადა და 100 დამკვრელი (მათ შორის საწარმოთა დირექტორები და ინჟენერ-ტეხნიკოსები). საწარმოებს, ბრიგადებსა და დამკვრელებს პრემიები მიეცემათ სამრეწველო-საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური მშენებლობისა და დამკვრელობის გაშლისათვის, გმირული შრომის გამოჩენისა[illegible] დება აგრეთვე ისეთი სამუშაოებისათვის, როგორიც არის მუშათა სახლების მშენებლობა, კლუბების, სასადილოების, ფაბრიკა-სამზარეულოების და სხვათა მოწყობა. დამკვრელი ბრიგადებისათვის პრემიად დაწესდება საზღვარ-გარედ გაგზავნა, კვალიფიკაციის ამაღლება, საწარმოო ექსკურსიები საბჭოთა კავშირში. დამკვრელნი გაიგზავნებიან საზღვარ-გარეთ, სასწავლებლად, დასასვენებელ სახლებში და სხვ. შემდეგ, მოწინავე ქარხნები, ის დამკვრელი ბრიგადები და ცალკე დამკვრელები, რომელნიც თავს [illegible] იქნებიან ლენინის და შრომის დროშის ორდენებზე. პრემიებისათვის გადაიდება 90 მილიონი მანეთი (ადს).

საქართველოს და სომხეთის მხატვართა

სურათების გამოფენა მოსკოვში

ერევანი, 8 აგვისტო. დამთავრდა მოლაპარაკება ტრეტიაკოვის გალერეასთან და სხვა მუზეუმებთან წელს ზამთარში საქართველოს და სომხეთის მხატვართა სურათების გამოფენის მოწყობის შესახებ. სომხეთის მხატვრები უკვე ემზადებიან სურათების გამოსაფენად (ადს).

ჭიათურის მუშების წერილი

კიევის მეტყავეებს

ჭიათურა, 8 აგვისტო. მარგანეცის ტრესტს, ტყავსინდიკატთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, წელს უნდა მიეღო 30.000 წყვილი ფეხსაცმელი ჭიათურის მუშებისათვის. ამ ცოტა ხნის წინად კიევიდან მოვიდა 19.484 წყვილი, აქედან 8.000 წუნდადებული აღმოჩნდა.

მომავალში წუნდადებულ ფეხსაცმელის გამოშვების თავიდან ასაცილებლად, ჭიათურის მუშებმა ტყავსინდიკატის ქარხნის მუშებს კიევში მიმართეს შემდეგი წერილით:

„რადგან თქვენ წუნდადებული ფეხსაცმელი გამოგვიგზავნეთ მარგანეცის საბრეჯ ქარხნებში, სადაც მუდამ წყალი სდგას და უფეხსაცმელოდ მუშაობა არ შეიძლება, გეგმა არ შესრულდა და პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა.

საქართველოს მაღაროს მუშებს იმედი აქვთ კიევის მუშების, რომ ისინი, როგორც ყოველთვის, შესაფერ წინააღმდეგობას გაუწევენ ჩვენი მეურნეობის მავნებლებს, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ სამრეწველო - საფინანსო გეგმა. მოგიწოდებთ — მთელი რევოლიუციონური სისასტიკით მისცეთ პასუხისგებაში დამნაშავენი მავნებლობაში (წუნდადებული ფეხსაცმელების მასიურად გამოშვება).

იმედი გვაქვს, რომ განიხილავთ ამ საკითხს მუშათა ფართო კრებებზე და მიიღებთ ზომებს საზიზღარი უყაირათობის აღმოსაფხვრელად.

მოგიწოდებთ, ებრძოლოთ საბჭოთა კავშირის მტრებს, მოსპოთ მუშათა კლასის მავნებელნი და პარტიის გენერალური ხაზის გატარებით და სოციალისტური შეჯიბრებით შეასრულოთ ხუთწლედი 4 წელიწადში.

საქართველოს მარგანეცის მრეწველობის 7.000 მუშის სახელით მაღაროს მუშების კავშირის ჭიათურის რაიონის ბრიგადა“. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ინგლისელები ემზადებიან ხანკოუს დასაცავად

მოსკოვი, 9 აგვისტო. ჩან-კაი-შის მიერ ინგლისისათვის პროტესტის გამოცხადება ინგლისის ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ინგლისის სამხედრო ძალები დახმარებას უწევდენ ნანკინის ჯარებს ჩანშასთან მომხდარ ბრძოლაში. მიუხედავათ ოფიციალური ცნობების უქონლობისა, ბრიტანეთის პრესის ცნობები არავითარ ეჭვს არ სტოვებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ წითელი არმია დაუახლოვდა ხანკოუს, ინგლისის სამხედრო ძალები მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო ოპერაციებში.

არაჩვეულებრივი გვალვა ამერიკაში

მოსკოვი, 9 აგვისტო. „იზვესტია“-ს ბერლინელ კორესპონდენტს მოჰყავს უცხოელ კორესპონდენტების დეპეშები, საიდანაც სჩანს, რომ ამერიკაში არაჩვეულებრივი გვალვაა. იტყობინებიან პირუტყვისა და მოსავლის დაღუპვის შესახებ. თუ უახლოეს კვირაში არ მოვიდა წვიმა, ქვეყანა კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდება. ამერიკის ამინდის ბიურო წინასწარმეტყველობს სიცხეების გაგრძელებას. პურით მოვაჭრეების ანგარიშით, ივლისის სიცხეებმა გამოიწვია 400 მლიონ ბუშელი პურის დაღუპვა. სოფლის მეურნეობის საერთო ზარალი უდრის 2 ნახევარ მილიარდ დოლარს. გვალვა ემუქრება კანადის მოსავალს. გვალვამ გააცოცხლა ველური ცრუმორწმუნეობანი: იმართება წირვა - ლოცვები, ზოგიერთი ოლქების მცხოვრებლები მოითხოვენ რადიო-სადგურების მუშაობის შეწყვეტას და სხვა.

აგვისტო გადამწყვეტი თვეა პურის დამზადებაში

მოსკოვი, 9 აგვისტო. საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრმა აღნიშნა, რომ არც პურის დამამზადებლებს და არც კოლმეურნეობათა ცენტრის აპარატს ჯერ თავის მუშაობის ცენტრში არ მოუქცევიათ პურის დამზადება. დამზადების გეგმა არ არის მიყვანილი კოლმეურნეობამდე, კოლმეურნეობებში არ სწარმოებს მასიური მუშაობა პურის დამზადების საკითხების გარშემო. აგვისტო უნდა გადაიქცეს გადამწყვეტ თვედ პურის დამზადებაში. არა მარტო შევსებული უნდა იქნეს ივლისის დანაკლისი, არამედ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ გაიზარდოს ზედმეტი სასაქონლო ხორბლეულის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებისათვის კოლმეურნეობების მიერ. ამისათვის აუცილებელია ყველა ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების მობილიზაცია პურის დამზადების გარშემო.

პურის დამზადების ფრონტზე

კულაკებისა და ჩარჩ-სპეკულიანტების მორიგი ოინები პურის დამზადების ჩასაშლელად

გორის ოლქში და კახეთში კულაკობა და ვაჭრები პურზე ფასების გადიდებით და სპეკულიაციით ცდილობენ დამზადების ჩაშლას.—გორის ოლქში სამანქანო-სატრანსპორტო სადგური ვერ ასრულებს ხორბლეულის გალეწვის გეგმას

კულაკები და სპეკულიანტები პურის დამზადების წინააღმდეგ

(ლაგოდეხი)

პურის დამზადება ლაგოდეხის რაიონში შეუჩერებლივ მიმდინარეობს. ღარიბი და საშუალო გლეხობა უკვე გარკვეულია პურის დამზადების კამპანიის პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობაში. მიუხედავათ დამამზადებელ ორგანიზაციების სუსტი მუშაობისა, გლეხობა პურის ზედმეტ მარაგს აბარებს სახელმწიფოს. მართალია პურის დამზადებას გლეხობა შეგნებულად შეხვდა — მაგრამ უკანასკნელ ხანებში სოფლად კულაკების, ანტისაბჭოთა ელემენტების და სპეკულიანტ - ჩარჩ-ვაჭრების პროვოკაციამ ზოგიერთ ჩამორჩენილ გლეხობაში მოიდგა ფესვები. პროვოკატორები გაიძახიან გლეხობაში—„რადგანაც ებლა ყველა საქონელს პურზე იძლევიან და ფულზე აღარ ჰყიდიან, ფულით ვაჭრობა ისპობა და ღარიბები უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებით“-ო.

მართალია გლეხობის უმრავლესობას ასეთი ჭორები ბევრი სმენია და აქტიურადაც შებრძოლებია მას, მაგრამ არიან ჩამორჩენილი გლეხები, რომელთა შორისაც, როგორც აღვნიშნეთ — ფეხს იკიდებს ასეთი პროვოკაცია, რასაც შეუნელებელი ბრძოლით უნდა უპასუხოთ. უკანასკნელ ხანებში კერძო ვაჭრები და ჩარჩები დაძვრებიან სოფლად პურის სასყიდლათ. მართალია ვებრძვით პურის კერძოთ სპეკულიაციას, მაგრამ ეს ბრძოლა რთულ ფორმებში სწარმოებს. ყველასთვის ცხადია, რომ პურით კერძო მოვაჭრეს შუბლზე არ აწერია, რომ იგი ჩარჩი და სპეკულიანტია. იგი გლეხურ ფორმაში გამოწყობილი დაწანწალებს სოფლად, ყიდულობს პურის ზედმეტ მარაგს გლეხობიდან და გლეხობისავე ურმით გააქვს ბაზარზე.

ჩარჩ - სპეკულიანტების თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ ისინი არტელებსაც კი ევაჭრებიან პურს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერძო სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლა მოისუსტებს, რასაც შემდგომისათვის სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოდ კი საჭიროა ამ მიმართულებით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები.

კომკავშირის ადგილობრივ „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფებს უნდა დაევალოთ, რომ თვალყური ადევნონ სოფლად მოსულ საეჭვო ელემენტების მოქმედებას, შეისწავლონ ასეთი პირები და თუ აღმოჩნდებიან მოვაჭრეები აცნობონ დანიშნულებისამებრ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პურის დამზადების დამხმარე კომისიების მუშაობის გამოცოცხლებას, ბრიგადების მუშაობას და ქალთა ბრიგადების შექმნას. საჭიროა ბრიგადების ხელმძღვანელთა შორის საინსტრუქციო მოხსენების ჩატარება და მათ მუშაობაში პრაქტიკული დახმარების გაწევა და სხვა.

პურით კერძო სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ პიონერებსაც, რადგანაც პიონერთა ორგანიზაცია უფრო მჭიდროთ არის დაკავშირებული მშობლებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან, რომელთა შორისაც ხდება პურის კერძო პირებზე გაყიდვა. ყოველი პიონერი როდესაც იდგომება ამ სადარაჯოზე უნდა ვსთქვათ, რომ შედეგსაც მივიღებთ. ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს პიონერთა ბრიგადები, რომელთაც დაევალებათ თვალყურის დევნება პურით სპეკულიაციაზე.

ამასთანავე საჭიროა ამ საკითხზე ჩატარდეს საუბრები ღარიბთა ჯგუფებში, საბჭოს წევრებში და დელეგატ ქალთა კრებებზე, რაც უეჭველად დაგვეხმარება პურით სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქალაქიდან სოფლად მოვლინებულმა ბრიგადებმა კი თავიანთ მხრივ უნდა მიიღონ სპეკულიანტების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები, კერძოდ კი მათ პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობაში.

მთელი მშრომელი გლეხობა და კოლმეურნეობათა მასა უნდა დარაზმოთ ჩარჩ - კულაკების წინააღმდეგ და მათ უნდა მოუსპოთ პურით სპეკულიაციის საშუალებანი.

არ. კოკილაშვილი.

პურის დამზადების უვარგისი ტემპი

(წერილი გორიდან)

გორის ოლქში [illegible] აკრეფა უკვე დამთავრდა. გორის რაიონში არსებობს 68 კოლმეურნეობა, რომელთა უმრავლესობამ უკვე დაიწყო პურის ლეწვა. ამ საქმეზე გამოყენებულია 5901 მუშა-საქონელი. ხორბლეულ. ლეწვა გაჩაღებულია აგრეთვე სტალინისისა (ხაშური) და კასპის რაიონში. მომკა-ლეწვასთან ერთად მინდვრად იხვნება საშემოდგომო ხავდრეო ანეულები. გორის რაიონის კოლმეურნეობებში დღემდე მოხნულია 3.000-მდე ჰექტარი, ხოლო ინდივიდუალურ სექტორშიც ამდენივე. მეჯვრისხევის რაიონში დამთავრდა თივის თიბვა და გლეხობა მაშინვე შეუდგა საშემოდგომო ანეულის ხვნას. მოხნულია 700-მდე ჰექტ.

პურის დამზადება

რაც შეეხება პურის დამზადებას, მართალია, გლეხობაში დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სწარმოებს. მაგრამ საქმეს თან სდევს ზოგიერთი დეფექტებიც. ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის საწყობების აგების საქმე. „სოიუზხლებს“ კასპის რაიონში ჯერ არ დაუმთავრებია საწყობის აგება.

აღსანიშნავია, რომ მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით ოლქს უნდა ეზრუნა სასილოსე ორმოების ამოღებისათვის, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ არაფერი გაკეთებულა. კომკავშირის ცეკას დადგენილებით, ოლქის კომკავშირის ორგანიზაციას წელს უნდა ამოეღო 204 სასილოსე ორმო, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კომკავშირს დახმარებას არ უწევენ, სილოსის ორმოების საქმე საფრთხის წინაშე სდგას.

მანქანა-იარაღების გამოყენება არ სწარმოებს რაციონალურად. ოლქში სულ არის 14 სამკელი მანქანა, რაც არასაკმარისია. რაიონებმა (მაგ. ხაშური) დროზე არ გაანაწილეს სოფლად მანქანები. ერთი მანქანა დამტვრეული მოვიდა თბილისიდან. მანქანა-იარაღების შემკეთებელი სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. გორის სარემონტო სახელოსნოს არა აქვს სათადარიგო ნაწილები. ოლქში მოეწყო 9 სარემონტო სახელოსნო, მაგრამ ზოგიერთ მათგანს არა აქვს სათადარიგო მასალები. გორის სატრაქტორო სადგურში მუშაობს 19 საკუთარი და 16 აბაშის სატრაქტორო სადგურის ტრაქტორი. ტრაქტორები მხოლოდ 14 საათი არიან დატვირთულნი დღე-ღამეში. აგარის სატრაქტორო სადგურის 6 სალეწი მანქანა ნაყოფიერად ვერ მუშაობს, რადგან მათზე მომუშავენი გამოუცდელნი არიან. გეგმით გათვალისწინებულია 200.000 ფუთის გალეწვა. ეს დავალება რომ სადგურმა პირნათლად შეასრულოს, საჭიროა ტრაქტორების „ფარნებით“ მოწყობა ღამით მუშაობისათვის, თვითმკვრელებისა და სალეწი მანქანებისათვის სათადარიგო ნაწილების მომარაგება და სხვა.

როგორც ვიცით წელს გორის ოლქში უნდა დამზადდეს 190.000 ფუთი პური. ეს რაოდენობა რაიონებზე შემდეგნაირად განაწილდა: სტალინისში დამზადდება 100.000 ფუთი, გორის რაიონში—70.000 და კასპის რაიონში—20.000 ფუთი. საწარმოო რაიონების კოლმეურნეობები პურს ჩააბარებენ მოსავლის ერთი მეათედიდან ერთ მეექვსედამდე, ხოლო არა საწარმოო რაიონებში აღმასკომმა დააწესა ერთი მეთორმეტედიდან ერთ მეოცედამდე პურის ჩაბარება.

აღმასკომმა დაამუშავა საკითხი სამრეწველო საქონლის განაწილების შესახებ. აღმასკომის დადგენილებით, კოლმეურნეობებს მიეცემათ 33 პროცენტი სამრეწველო საქონელი, ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხობას 30 პროც., სამრეწველო საქონლის ფონდიდან გამოიყოფა 10 პროც. იმ მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს პურს არ აბარებენ. კულაკებს სამომხმარებლო საქონელი არ მიეცემათ. ამ ღონისძიებათა გასატარებლად სოფლად მიმაგრებული არიან პ. მგ. მუშაკები.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობის ფარგლებში კულტურული სამსახური უწევს პურის დამზადების კამპანიას. ოლქში დიდი წარმატებით მუშაობს საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი ამხ. ბუხნიკაშვილის ხელმძღვანელობით. ამ კამპანიაში გამოყენებულია აგრეთვე რადიოც. 26 ივლისს სპეციალური რადიო-გადაცემა მოაწყო რადიო-ცენტრის გამსვლელ რედაქციამ, რომელიც აუარებელ გლეხებმა მოისმინეს. კოლმეურნეობებში კოოპერაცია აწყობს საბავშო ბაგებს და საბავშო მოედნებს.

ვ. ჯ.

გეგმას გადავაჭარბეთ

(სტალინისი)

პურის დამზადების პირველ კვარტალში (10 აგვისტომდე) სტალინისის რაიონში უნდა დამზადებულიყო 3000 ფუთი პური. ამ გეგმის განსახორციელებლად დარაზმული იქნა ყველა ძალები და ორგანიზაციები. ადგილობრივი პარტორგანიზაციის და დამამზადებელი აპარატის სწორი ხელმძღვანელობით პურის დამზადების პირველი საკვარტალო გეგმა შესრულებული იქნა გადაჭარბებით: ნაცვლად 3000-სა ა/წ. 6—აგვისტოსათვის დამზადებული იყო 5000 ფუთი პური.

დამზადებას რაიონში ხელს უშლიან კულაკები და სპეკულიანტები. ისინი პურზე ფასებს ადიდებენ და ცდილობენ ხელთ ჩაიგდონ კოლექტივების და გლეხების ზედმეტი პური. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობანი და ღარიბ - საშუალო გლეხობა თავის დროზე და მთლიანად აბარებს თავის ზედმეტ პურს კოოპერაციას სახელმწიფო ფასებში.

პურის დამზადების პირველი კვირის გამოცდილება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ დამზადების გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

გ. ლალუაშვილი.

5 აგვისტოსათვის ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 48.622 ცენტნერი პურეული

„ზაკსელსოიუზი“-ს ცნობით, აგვისტოს პირველ ხუთი დღის განმავლობაში პურეულის დამზადების ტემპი საგრძნობლად გამოსწორდა. დამზადების საქმეში ივლისის განმავლობაში ჩამორჩენილი იყვნენ აზერბეიჯანი და სომხეთი. სომხეთში პურეულის დამზადება დაგვიანებით დაიწყო.

აზერბეიჯანში დამზადების კამპანია ძალიან ნელი ტემპით დაიწყო. კამპანიის დაწყების პირველ ხუთ დღიურის განმავლობაში აზერბეიჯანმა დაამზადა სულ 1.000 ცენტნერამდე პურეული. დამზადების ტემპი აზერბეიჯანში სუსტად ვითარდებოდა და ივლისის უკანასკნელ ხუთ დღიურში დამზადდა სულ 6 ათას ცენტნერამდე.

ივლისის დამლევიდან, როგორც საერთოდ, ისე აზერბეიჯანში შესამჩნევი გახდა გარდატეხა პურეულის დამზადების საქმეში. 1 აგვისტოდან 5 აგვისტომდე აზერბეიჯანში დამზადებულ იქნა 15.000 ცენტნერი, ე.ი. დამზადების ტემპი თითქმის ერთი სამად გაიზარდა. ასეთივე მდგომარეობაა საქართველოში, სადაც დამზადება დღითი-დღე ფართოვდება.

„ზაკსელსოიუზ“-ის გეგმის მიხედვით წელს ა.-კავკასიაში უნდა დამზადდეს სულ 818,000 ცენტნერი ხორბლეული. აქედან აზერბეიჯანში უნდა დამზადდეს 591.000 ცენტნერი, საქართველოში 128.000 და სომხეთში 101.000 ცენტნერი.

5 აგვისტოსთვის მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 48.622 ცენტნერი პურეული, რაც დამზადების მთლიანი გეგმის 5,94 პროც. შეადგენს.

აზერბეიჯანში დამზადებულია სულ 29.575 ცენტნერი ანუ გეგმის 5 პროც. საქართველოში დამზადებულია 18.836 ცენტნერი, შესრულებული იყო გეგმის 12,4 პროც.; სომხეთში დამზადებული იყო 211 ცენტნერი, ე. ი. გეგმის 2 პროც.

ვემზადოთ წითელ ჯარში გაწვევისათვის

მომავალმა გაწვევამ უნდა მისცეს წითელ ჯარს ფიზიკურად ჯანმრთელი, წერა-კითხვის მცოდნე, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარებული მშრომელი ახალგაზრდები

კახეთის ოლქი სუსტად ემზადება გაწვევისათვის: სოფლის საბჭოები და რაიონული აღმასკომები გულგრილად ეპყრობიან ახალგაზრდების კლასობრივ შერჩევას. ზუგდიდის და სენაკის მაზრებში სამზადისი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.—გორის ოლქში ბრკოლდება ზურგის ლაშქარში ჩასარიცხად ელემენტების გამოაშკარავება

გავაცხოველოთ მუშაობა ჯარში გაწვევის ირგვლივ

ერთი თვის შემდეგ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკებში დაიწყება 1908 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. გაწვევამდე დარჩა ძალიან მცირე დრო, მაგრამ სამზადისი გაწვევისათვის ჯერ-ჯერობით არ არის ფართოდ გაშლილი. ეს უმთავრესად შეეხება სოფელს.

სოფლად ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა გაწვევისათვის სამზადისში. სოფლის საბჭოები, რაიონული აღმასკომები, პარტუჯრედები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები არ ემზადებიან გაწვევისათვის, იჩენენ დაუშვებელ გულგრილობას ამ უდიდესი მნიშვნელობის კამპანიისადმი.

უცხო ელემენტების გამომჟღავნება, რომლებიც უნდა ჩაირიცხონ ზურგის ლაშქარში, ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ზოგიერთმა რაიონმა და სოფლის საბჭომ დღევანდლამდე არ იცის, თუ ვის ეხება ჯარში გაწვევა და ვინ იქნება ჩარიცხული ზურგის ლაშქარში. რაიონულ აღმასკომებს არ მოეპოებათ როგორც გასაწვევთა, ისე ზურგის ნაწილებში ჩასარიცხ მოქალაქეების სიები. ასეთი მდგომარეობაა გორის ოლქში, კახეთის ოლქის მრავალ რაიონში. ეს გარემოება დიდათ აბრკოლებს გასაწვევ კონტიგენტის საბოლოოდ გამორკვევის საქმეს.

უმოქმედობას იჩენენ სოფლის საბჭოებთან ჩამოყალიბებული გაწვევის ხელისშემწყობი კომისიები. ეს კომისიები, მეტ წილად, არაფერს აკეთებენ. კახეთის ოლქში ერთ თვეზე მეტია, რაც დაარსდა ასეთი კომისიები და სამხედრო კომისარიატს დღემდე არ მიუღია არავითარი ცნობები მათი მუშაობის შესახებ. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი აფხაზეთში, აჭარისტანში, გორის ოლქში.

სოფლად მოისუსტებს სააგიტაციო- საპროპაგანდო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაწვევის ირგვლივ. სავსებით უყურადღებოთ არიან მიტოვებული მთაში საზაფხულოდ გასული გასაწვევი ახალგაზრდები. ავიაქიმის ორგანიზაციებს დღემდე არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯი მუშაობის საწარმოებლად გასაწვევთა შორის, არ იღებენ სათანადო ზომებს სოფლის პარტიული და კომკავშირის უჯრედებიც.

საგიტაციო მუშაობას აქვს დიდი მნიშვნელობა გაწვევისათვის. ამ მუშაობის საშუალებით გასაწვევი ახალგაზრდობა ჯარში გაწვევამდე უნდა გაერკვეს წითელი არმიის მიზნებსა და ამოცანებში. ყოველი გასაწვევი შეგნებულად უნდა მიდიოდეს წითელ ჯარში და უნდა იცოდეს, თუ რა მოთხოვნილებას უყენებენ მას მშრომელები, როგორც მებრძოლს საბჭოთა ხელისუფლების და სოციალისტური მშენებლობის დასაცავად. კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები შეეცდებიან გაწვევასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროვოკაციული ხმების გავრცელებას. მათ პროვოკაციას უნდა დაუპირისპიროთ კარგად დაყენებული საგიტაციო და ახსნა-განმარტებითი კამპანია.

ჯარში გაწვევას სოფლად უნდა მიეცეს მასიური, საზეიმო ხასიათი. გასულ წლებში თვით გასაწვევი ახალგაზრდობა თავისი ინიციატივით მართავდა გასაწვევ პუნქტებზე გამგზავრების წინ საზეიმო კრებებს, საღამოებს ამზადებდა წითელ დროშებს, პლაკატებს. გასაწვევთა საზეიმო გაცილებას უნდა ჰქონდეს ორგანიზაციული ხასიათი, გაცილება უნდა გადავაქციოთ ზეიმათ, რითაც უნდა აღინიშნოს ახალგაზრდობის შესვლა მუშურ-გლეხურ წითელი არმიის რიგებში, იმ არმიაში, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მტრებისაგან არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესები.

ი. გ—ლი.

სოც. შეჯიბრება ფართოდ გაიშალა

მოსამზადებელი მუშაობა წითელ ჯარში გაწვევის ირგვლივ ფართოდ გაიშალა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ჩამოყალიბებულია გაწვევის ხელისშემწყობი კომისიები, ტარდება გასაწვევ ახალგაზრდობის კონფერენციები. სტალინისის რაიონში (გორის ოლქი) ჩატარდა გასაწვევთა საცდელი შეკრება. ამავე რაიონმა თავისი თავი გამოაცხადა დამკვრელად და იკისრა გაწვევის საუკეთესოდ ჩატარება.

სენაკის მაზრაში ჯარში გასაწვევმა ახალგაზრდობამ დაადგინა შეაკეთონ საკუთარი ძალებით შესაკრები პუნქტები.

სამხრეთ-ოსეთის პოლიტგანმა აიღო ვალდებულება მოაწყოს ყველა ქოხ-სამკითხველოებთან საცნობო მაგიდები საკონსულტაციო მუშაობის საწარმოებლად.

გორის ოლქში კარგად არის გამოყენებული რადიო ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება გაწვევის ირგვლივ. ქუთაისის ოლქში სოც. შეჯიბრებაში ჩაბმულია ყველა რაიონები.

თვით გასაწვევი ახალგაზრდობა იჩენს დიდ აქტივობას და ინიციატივას. გასაწვევნი ადევნებენ თვალყურს უცხო ელემენტების გამომჟღავნებას და გასაწვევთა რიგების გაცხრილვას. მრავალი ახალგაზრდა უარს აცხადებს კუთვნილ შეღავათებზე და მოითხოვს ჩარიცხვას კადრის ნაწილებში.

მაგრამ, ჯერ კიდევ არის მრავალი წარმოება— დაწესებულება, რომლებიც არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ჯარში გაწვევას.

ქუთაისის სახ. განათლების განყოფილებას ჯერ არ დაუმზადებია იმ მოწაფეების სიები, რომლებსაც ეხებათ ჯარში გაწვევა და უნდა გაუგრძელდეს გაწვევის ვადა. გორის ოლქში სუსტად მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გასაწვევთა შორის. ამავე ოლქში ბრკოლდება სოციალურად უცხო ელემენტების გამომჟღავნების საქმე, რადგან სოფლის და რაიონული საბჭოები აგვიანებენ მასალების დაგროვებას.

არაფერს აკეთებენ გაწვევის ირგვლივ აფხაზეთის პარტიული, კომკავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ნ. ირ.

წინასწარი მუშაობა დამთავრდა

(ზუგდიდის მაზრა)

მაზრაში უკვე დამთავრდა 1908 წელში დაბადებულ ახალგაზრდების მიწერა გასაწვევ უბნებზე. ამ საქმეში უახლოესი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა. დაამთავრეს მუშაობა რაიონულმა კომისიებმა, რომლებიც არკვევდნენ შეღავათების საკითხს.

წრეულს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გასაწვევი ახალგაზრდობის გაცხრილვას; მიღებულია ზომები, რომ წითელ ჯარში არ მოხვდეს არც ერთი ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ელემენტი. სოფლებში ჩატარდა საერთო კრებები, რომლებზედაც გლეხებს განემარტა გაწვევის მნიშვნელობა, მოეწყო გასაწვევ ახალგაზრდობის კონფერენციები, სადაც დამუშავდა გაწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავიაქიმის ორგანიზაციების დაუდევრობით გასაწვევთა შორის არ სწარმოებს არავითარი სამხედრო მუშაობა. თითქმის არც ერთ სოფელში არ არსებობს სამხედრო წრე.

გასაწვევი ახალგაზრდობა დიდი სიხარულით მიდის წითელ ჯარში. მრავალმა ახალგაზრდამ, რომლებსაც აქვთ შეღავათის მიღების უფლება, უარი განაცხადეს შეღავათებზე და ითხოვენ ჩარიცხვას წითელი ჯარის საკადრო ნაწილებში.

ი. იზორია.

კახეთის ოლქი ჩამორჩა

(წერილი კახეთიდან)

კახეთის ოლქის აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენებები გაწვევისათვის სამზადისის შესახებ კახეთის ოლქში. გამოირკვა, რომ მზადება 1908 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის ოლქის ყველა რაიონებში სუსტად მიმდინარეობს. გასაწვევთა მიწერა გასაწვევ უბნებზე მთლიანად არ ჩატარებულა. იმათ წინააღმდეგ, ვინც აარიდა თავი მიწერას, არ ყოფილა მიღებული სათანადო ზომები. მთავარი მუშაობა გაწვევის ირგვლივ—შეღავათების გამორკვევა— დაიწყო 1-ლ მაისიდან, მაგრამ ეს მუშაობა მიმდინარეობდა არა დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან სოფლის საბჭოები და რაიაღმასკომები არ უწევდნენ მას სათანადო ხელმძღვანელობას.

7 სასოფლო საბჭოს დღევანდლამდე არ წარუდგენია სამხ. კომისარიატისათვის საშეღავათო მოწმობები და სხვა მასალები. 3 სასოფლო საბჭოს წარდგენილი აქვს ამ მასალების ნაწილი, ხოლო 6 სასოფლო საბჭოს მიერ წარდგენილი მასალები აღმოჩნდა სრულიად უვარგისი.

მუშაობის ასეთი მდგომარეობა უმთავრესად აიხსნება სასოფლო საბჭოების და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების დაუდევარი მოპყრობით ამ ფრიად მნიშვნელოვანი კამპანიისადმი.

საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმმა გაწვევის ირგვლივ ჩატარებული მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად. გაწვევის ხელისშემწყობი კომისიების სრულ უმოქმედობასა და გაწვევის მოსამზადებელი მუშაობისადმი უყურადღებობისათვის, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. სასტიკი საყვედური გამოეცხადა აგრეთვე 7 სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს. ამასთან ერთად პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა რაიონულ აღმასკომებს და სოფლის საბჭოებს დაუყოვნებლივ მოაწესრიგონ და წარადგინონ სადაც ჯერ არს ყველა ის მასალები, რომლებიც ეხება გაწვევის კამპანიას.

ლიხანელი.

მუშაობა ნაყოფიერია

(სენაკის მაზრა)

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის ირგვლივ სენაკის მაზრაში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა. ამ მუშაობას ხელი შეუწყო სენაკის მაზრის სამხ. კომისარიატის გამოწვევამ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოხუმის სამხედრო კომისარიატის მიერ. შეჯიბრების პირობები ითვალისწინებენ: გასაწვევთა კონფერენციების ჩატარებას ყველა რაიონებში, გასაწვევთა უკლებლივ გამოცხადებას შესაკრებ პუნქტებზე, გასაწვევთა შორის კულტურული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებას, კუთხეების მოწყობას, ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოებას, კლასიურად უცხო ელემენტების სავსებით გამომჟღავნებას, გაწვეულთა სწორად განაწილებას წითელი ჯარის ნაწილებში.

მაზრის თითქმის ყველა სოფლებში ჩატარდა მოხსენებები გაწვევის ირგვლივ. მოხსენებების მთავარი მიზანი იყო შეღავათების საკითხის გაშუქება. ჩატარდა აგრეთვე გასაწვევთა კონფერენციები. კონფერენციებზე გაშუქებული იქნა გაწვევასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, როგორიც არის შეღავათების სწორად განაწილება, გასაწვევთა მოვალეობა, მათი აღრიცხვა. კონფერენციების ჩატარების დროს გამოსწორებული იქნა ბევრი შეცდომა, დაშვებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეღავათების გამორკვევის დროს. ყურადღება ექცეოდა უცხო ელემენტების გამომჟღავნებას. მუშაობის დროს გამომჟღავნებული იქნა 32 ზურგის ლაშქარში ჩასარიცხი ახალგაზრდა.

მუშაობა გაწვევის ირგვლივ მაზრაში გრძელდება. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სამხედრო კომისარიატი, პარტიულ, კომკავშირის და პროფორგანიზაციების აქტიური დახმარებით, გაწვევის კამპანიას წარმატებით დაამთავრებს.

ზრ. საბ—შვილი.

გაწვევის ირგვლივ

მორიგ გაწვევას წითელ ჯარში ჩაატარებენ გამწვევი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: სამხედრო კომისარი— თავმჯდომარე, ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე, პროფკავშირების და სახ. პოლიტსამმართველოს წარმომადგენლები და ორი ექიმი (ერთი სამხედრო, ერთი სამოქალაქო).

ყველა საკითხებს გამწვევი კომისია განიხილავს კოლეგიალურად.

მიმდინარე წელს წითელ ჯარში გაიწვევიან 1908 წელში დაბადებული მშრომელი ელემენტები. გაწვევასთან ერთად წითელ ჯარში მიღებული იქნებიან მოხალისეები 1909—1911 წელში დაბადებული ახალგაზრდები— წერა-კითხვის კარგად მცოდნე და სავსებით ჯანმრთელნი.

მოხალისეები, მიღებულნი წითელ ჯარის რიგებში ვალდებულნი არიან დაჰყონ ყაზარმაში კანონით დაწესებული დრო. მათი დათხოვნა ჯარიდან იწარმოებს არმიელთა გაშვების დროს მორიგ გრძელვადიან შვებულებაში (შემოდგომით).

გასაწვევ ახალგაზრდებს ჯარში გაწვევის ვადა უგრძელდებათ სხვადასხვა მიზეზებით.

მოწაფეებს გაწვევის ვადა უგრძელდებათ განათლების დასამთავრებლად. სოფლის მასწავლებლებს გაწვევის ვადა უგრძელდებათ იმისათვის, რომ არ შემცირდეს სოფლად კულტურულ მუშაკთა კადრი, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში ტარდება დაჩქარებული ტემპით. გარდა ამისა ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელებით სარგებლობენ: მეცნიერების მუშაკნი, ახალ მიწებზე გადასახლებულნი და დასახლებულნი, მიწის მზომელები, მიწათმომწყობნი და სხვ.

კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ ანიჭებს ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების უფლებას (სამხ.-საზღვაო საქმეთა სახ. კომისრის განკარგულებით) იმ პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლების გაწვევამ ჯარის რიგებში შეიძლება იქონიოს უარყოფითი გავლენა სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების უფლებით სარგებლობენ აგრეთვე 25 ათასელები, რათა მათ მიეცეს საშუალება გააგრძელონ მუშაობა კოლექტიური მშენებლობის დარგში.

ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების უფლება დღევანდლამდე ჰქონდათ გამწვევ კომისიებს. წრეულ, ცდის სახით, ეს უფლება მიეცათ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო ხელმძღვანელებს. ამ წესს მიზნად აქვს გამწვევი კომისიების განტვირთვა ზედმეტი მუშაობისაგან.

ჩვენი წითელი არმია

მარცხნივ—მეცადინეობა ძაღლებთან გორის ბანაკში მარჯვნივ — კითხულობენ კედლის გაზეთს

საერთაშორისო მიმოხილვა

ანტისაბჭოთა კამპანიის დამარცხება ამერიკაში. — ახალი სავაჭრო შეთანხმება იტალიასთან. — სამხედრო მანევრები ომის მოსამზადებლად.— იმპერიალისტების ინტერვენცია ჩინეთში—მაკდონალდის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მორიგი ანტისაბჭოთა კამპანია ჩრდილოეთ-ამერიკაში დამარცხდა. ამ კამპანიას ასულდგმულებდნენ ის ვიწრო კაპიტალისტური წრეები, (კერძოთ ხე-ტყის და მარგანეცის სამრეწველო-სავაჭრო ფირმები), რომელნიც ცდილობენ ჩვენი ექსპორტის აღკვეთას და ამ გზით თავიანთის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას ამერიკის ბაზარზე. მაგრამ ისინი სუსტი აღმოჩნდნენ იმ ჯგუფებთან შედარებით, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, ერთი მხრით, ჩვენი ნედლეულის მიღებით, მეორეთი—თავიანთი პროდუქციის გაზიდვით საბჭოთა კავშირში.

ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ფინანსთა სამინისტრო იძულებული შეიქნა გაეუქმებია თავისი დადგენილება ჩვენი ხე-ტყის შეზიდვის აკრძალვის შესახებ. ამასთან მეტად საგულისხმოა, რომ მაშინ, როცა ამერიკაში ზოგიერთი ელემენტები სხვადასხვა ცილისწამებას ავრცელებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვენ ჩვენთან საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტას,—სწორედ ამ დროს მთელი რიგი გავლენიანი სამრეწველო ფინანსიური დაწესებულებანი „ამტორგ“-თან ახალ ხელშეკრულებებს სდებენ საქონლის მიწოდებაზე და აფართოვებენ კრედიტებს ჩვენთან აღებ-მიცემობის განსავითარებლად. „ძნელია შეერთებულ შტატებს შეაძულოთ ის, ვინც 9 თვის განმავლობაში მისგან იძენს 114 მილიონი დოლარის საქონელს“-ო,—სწერდა ამას წინად ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი. გაზეთს მხედველობაში აქვს საბჭოთა კავშირი, რომლის ხვედრითი წონა ამერიკის ექსპორტში საგრძნობლად გაიზარდა. რაც შეეხება იმას, სძულთ თუ არა ამერიკელ კაპიტალისტებს პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა, ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია: ისინი ისე, როგორც საერთოდ ბურჟუაზია, ამ გრძნობით უხვად არიან „დაჯილდოებულნი“. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ-ამერიკა და მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულება იქონიონ.

ამასთან, ჩვენთან ვაჭრობის გაფართოების აუცილებლობა ამერიკაში იწვევს მოძრაობას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ, რადგან ჩვენთან საქმიან დამოკიდებულების განვითარებით დაინტერესებულ ჯგუფებისათვის აშკარაა, რომ მხარეთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ხელსაყრელ იურიდიულ ბაზას შექმნის ამ ვაჭრობისათვის და დიდად შეუწყობს ხელს მის შემდგომ გაშლას. ამ მხრივ საყურადღებოა მაგალითად, „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ახლანდელი ნიუ-იორკელი კორესპონდენტის, საბჭოთა კავშირის ცნობილ მოძულის შეფერის წერილი, რომელშიაც ის ადასტურებს, რომ „ბოლო დროს ამერიკაში ნათლად იჩინა თავი მისწრაფებამ საბჭოთა კავშირის ცნობისადმი“. ამას აქვს ადგილი, მიუხედავად გაფთრებული კამპანიისა ჩვენს წინააღმდეგ ამერიკაში.

რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკის მმართველი წრეები ჩვენი ცნობის საკითხში ამჟამად თავიანთ პოზიციას შეიცვლიან. „ვაჭრობა ცნობის გარეშე“—ასეთია მათი თვალსაზრისი, თუმცა ამერიკის მიერ ჩვენი „არ ცნობა“ აშკარად აფერხებს მხარეთა შორის ვაჭრობას. საგულისხმოა თვით ფაქტი ჩვენი ცნობის მისაღწევად მოძრაობის გამოცოცხლებისა. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად არიან დაინტერესებული ამერიკის მნიშვნელოვანი სამრეწველო-სავაჭრო წრეები ჩვენთან საქმიანი ურთიერთობის გაფართოებით. ამასვე ცხადჰყოფს ჩვენი ექსპორტის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის ჩაშლა.

ყოველივე აქედან მაინც სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკაში შეწყდება. უდავოა, რომ ანტისაბჭოთა კამპანიის მესვეურები ახალ ხრიკებს მიმართავენ თავიანთი ზრახვების გასატარებლად. საერთოდ, კაპიტალიზმის კრიზისის შემდგომი გაღრმავება უფრო გაამწვავებს მის წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირთან, რომლის ხარჯზე ცდილობენ იმპერიალისტები თავიანთი ტკივილების მოშუშებას. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს საზიფათოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ პირველ ყოვლისა კაპიტალისტური სისტემისათვის, რომელსაც ზურგი ყოველმხრივ ძალზე შერყეული აქვს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი მტკიცდება და სულ უფრო ძლიერდება.

⁂

ეჭვს გარეშეა, რომ ანტისაბჭოთა კამპანიის დამარცხება ჩრდილოეთ-ამერიკაში, სხვათა შორის, გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ ჩვენ საქმიან ურთიერთობას ვაფართოებთ სხვა ქვეყნებთან. ტყუილად კი გამოსთქვამდნენ შიშს ამერიკის ზოგიერთი სამრეწველო წრეები, რომ თუ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის ამერიკაში ნორმალურ პირობებს არ შევქმნით, ის თავის ოპერაციებს სხვაგან გადაიტანსო. ეს შიში სავსებით საფუძვლიანია. ამას მოწმობს თუგინდ ამას წინად მიღწეული იტალია-საბჭოთა შეთანხმება.

უკანასკნელ ხანებში იტალიის და საბჭოთა კავშირის საქმიანი ურთიერთობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. მაგალითად, განვლილ წელში ჩვენი შესყიდვები იტალიაში, წინა წელთან შედარებით, გადიდდა 60 პროცენტით. აღნიშნული შეთანხმება კი ითვალისწინებს მხარეთა შორის ვაჭრობის ორჯერ გადიდებას და საბჭოთა შეკვეთების უზრუნველყოფას კრედიტებით იტალიის მხრით.

რითაა გამოწვეული სავაჭრო დამოკიდებულების გაფართოება იტალია-საბჭოთა კავშირს შორის? „საბჭოთა კავშირი ამზადებს ძვირფას ნედლეულს, რომელიც აუცილებელია ისეთი სამრეწველო ქვეყნისათვის, როგორიცაა იტალია“,—სწერს რომის გაზეთი „პიკკოლო“. იტალია კარგა ხანია შესდგა სამრეწველო განვითარების გზაზე, მაგრამ მას მეტ წილად არ გააჩნია საკუთარი ნედლეულის ბაზა და ის იძულებულია უცხოეთიდან შეზიდოს სამრეწველო ნედლეული. ასეთ პირობებში ის გვერდს ვერ აუხვევს საბჭოთა კავშირს. მეორე მხრივ, ჩვენც შეგვიძლია იტალიიდან ზოგიერთი საქონელი შემოვიტანოთ. იგივე გაზეთი სწერს: „საბჭოთა კავშირმა დასახა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გიგანტური გეგმა, რომლის განსახორციელებლად ესაჭიროება დიდძალი მანქანების და მრეწველობის პროდუქტების შეზიდვა. ამ საქონლის ნაწილი მას შეუძლია იტალიამ მიაწოდოს“. ამგვარად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ურთიერთ ეკონომიურ დაინტერესებასთან. ეს დაინტერესება მით უფრო მეტია, რომ ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის გაადვილებულია საზღვაო ტრანსპორტის ხელსაყრელი პირობებით. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ იტალია სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების ბაზრებზე მკაცრ წინააღმდეგობას აწყდება დანარჩენ, უფრო მძლავრ კონკურენტების მხრით, რაც განსაზღვრავს მის მისწრაფებას ჩვენთან განავითაროს ეკონომიური დამოკიდებულების ორივე მხრისათვის მისაღებ საფუძველზე.

ამიტომ იტალია უაღრესად დაინტერესებული უნდა იყოს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცებით. ეს ეხება საკითხის არა მარტო ეკონომიურ მხარეს. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარება მგულისხმობს იტალიის (ისე როგორც სხვა ქვეყნების) მხრით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა კომბინაციებში მონაწილეობისაგან თავის შეკავებას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იტალიის მთავრობა ამ მხრივ წარსულში „უცოდველი“ არ არის. (მისი პოზიცია ბესარაბიის საკითხში).

⁂

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებს იძულებულს ხდის ჩვენთან დროებით მაინც შეინარჩუნოს და კიდეც გააფართოვოს ურთიერთობა, უეჭველად, არის მათ შორის არსებული წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა იშლება მთელ ფრონტზე, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ხაზით, რასაც თან სდევს მოპირდაპირე იმპერიალისტური სახელმწიფოების გაცხოველებული მზადება ერთმანეთთან ომისათვის.

აიღეთ, მაგალითად, იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა, რომელიც ძალზე გამწვავებულია. მათ შორის ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკება არავითარ შედეგებს არ იძლევა. ამ მოლაპარაკების გვერდით ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე აძლიერებს სამხედრო მშენებლობას და იარაღს აჩხარუნებს. საფრანგეთის ინიციატივით სამხრეთ-სლავიის მთავრობას იტალიის საზღვრების გასწვრივ გაჰყავს სტრატეგიული გზები. თვით საფრანგეთის მთავრობამ ამას წინად ქ. ლიონის მიდამოებში ჩაატარა დიდი საჰაერო მანევრები. მანევრების მიზანი იყო ქალაქის დაცვა იმ შემთხვევაში, თუ მას იტალიის საავიაციო ფლოტი დაესხმება. ეს იყო „საზოგადოებრივი აზრის“ მომზადება იტალიასთან ომისათვის. რომის მთავრობა თავის მხრივ „ვალში არ რჩება“,—ისიც ახდენს საპასუხო მანევრებს და თავის სამხედრო ძალებს აწყობს საფრანგეთთან „ანგარიშების გასასწორებლად“. ეს „ანგარიშები“ ცნობილია: ბრძოლა ჰეგემონიისათვის ბალკანეთში და ხმელთაშუაზღვაზე, იტალიის მისწრაფება საფრანგეთის აფრიკელ კოლონიების დაუფლებისაკენ — ასეთია მათი „სადაო“ საკითხები.

შეურიგებელია საფრანგეთ-გერმანიის ინტერესებიც. ვერსალის ზავით დამონებული გერმანია რევანშის ოცნებას ატარებს. საფრანგეთის იმპერიალისტებს ეს კარგად ესმით და ისინი მსოფლიო ომის შედეგად მიღებულ ნადავლს მაგრად ებღაუჭებიან. ამ მხრივ, სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ სექტემბერში საფრანგეთის მთავრობა ლორენში მართავს მთელი თავისი შეიარაღებული ძალების მანევრებს, რომლებმაც უნდა უჩვენონ გერმანიას საფრანგეთის სამხედრო სიძლიერე და მას დაუკარგონ თავის საზღვრების გადასინჯვის ცდის ხალისი. აღსანიშნავია, რომ იმავე სექტემბერში გერმანიაც აწყობს თავის ჯარების მანევრებს. გერმანიის ბურჟუაზია წელში გატეხილია, მაგრამ ის ძველი იმპერიალისტური ოცნებობით საზრდოებს.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის საჭიროებაზე. ასეთ თვალსაზრისს კერძოთ ანვითარებდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ზაუერვეინი. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მათ შორის განსაზღვრულ საკითხებში შეიძლება მიღწეულ იქნას დროებითი და მერყევი შეთანხმება, მაგრამ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა, რომელიც ვერსალის ზავს ემყარება, მუდამ ატარებს მდგომარეობის გართულების შესაძლებლობას და ომის საფრთხეს. გერმანია ესწრაფვის ვერსალის სისტემის საფუძვლიან რევიზიას, რაზედაც საფრანგეთის იმპერიალიზმი, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დასთანხმდება.

⁂

იმპერიალისტური ქვეყნების ურთიერთო დამოკიდებულების გამწვავებასთან ერთად, ჩვენ მოწმენი ვართ ბრძოლის გაძლიერებისა მათსა და აღმოსავლეთის ხალხთა შორის.

აქ ჩვენ პირველ ყოვლისა გვინდა შევეხოთ ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას. ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვებამ, ჩინეთის მილიტარისტებთან ერთად, აამოძრავა მთელი იმპერიალისტური ძალები. ცნობილია, რომ იმპერიალისტური ქვეყნები ფაქტიურად იმთავიდანვე ატარებენ ჩინეთის ინტერვენციას. მათი საზღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალები იმყოფებიან ჩინეთის მიწაწყალზე და ზარბაზნებით იცავენ უცხოელ მოძალადეთა პრივილეგიებს. მაგრამ ეს მათ სავსებით „ნორმალურად“ მიაჩნიათ.

ახლა, როგორც წინადაც ეს არა ერთხელ მომხდარა, ისინი იარაღით ხელში ერევიან ჩინეთის შინაურ საქმეებში. მათი სამხედრო გემების დახმარებით შესძლო ნანკინის მთავრობამ ჩინეთის წითელი არმიის მიერ დაპყრობილ ქ. ჩანშას უკან დაბრუნება. ისინი ახალ ძალებს უყრიან თავს ჩანშასა და ხანკოუს რაიონში, რათა ჩინეთის მშრომელ მასების რევოლიუციონური მოძრაობა სისხლში ჩაახრჩონ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისის „მუშათა“ მთავრობის მოქმედება. თვით ოფიციალური ცნობის მიხედვით, „ბრიტანეთის მთავრობამ დაადასტურა სამხედრო გემების გაგზავნა ხანკოუში კომუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ემუქრებიან ჩინეთის ხელისუფლებას“. მაკდონალდის „მუშათა“ მთავრობა, რომელიც თავგამოდებით იცავს ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებს, აშკარად გამოდის ჩინეთის ინტერვენციის მეთაურად. მისი ელჩი ვაშინგტონში მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის მთავრობასთან ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ გაერთიანებულად გამოსვლის შესახებ. ამ მიზნით იმპერიალისტური ქვეყნები ფაქტიურად უკვე მთლიანი ფრონტით მოქმედებენ. კომუნისტების წარმატება ჩინეთში სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა მათ ბატონობას და ისინი ნანკინს უმაგრებენ ზურგს, რომ გააგრძელონ ჩინეთის ძარცვა.

რას იტყოდნენ იმპერიალისტები, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას ჩინეთის რევოლიუციონურ ძალებისათვის დახმარება გაეწია? ისინი ველურ განგაშს ასტეხდნენ: საბჭოთა კავშირი ერევა ჩინეთის შინაურ საქმეებში და იმპერიალისტურ პოლიტიკას ატარებსო. კიდეც ავრცელებენ ხმებს, რომ საბჭოთა მთავრობა იარაღს აწვდის ჩინეთის წითელ არმიასო. მაგრამ ეს ხმები იმდენად უსაფუძვლოა, რომ თვით ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებულია აღიაროს, რომ „არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირი იარაღს გზავნის ჩინეთში“, ან „რუს კომუნისტებს კავშირი აქვთ ჩინელ კომუნისტებთან, რომელნიც უჩანის პროვინციაში ებრძვიან ნანკინის მთავრობას“. სამაგიეროთ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამერიკა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნები სამხედრო გემებს და ჯარებს გზავნიან ჩინეთში, აშკარად ერევიან მის შინაურ საქმეებში და ნამდვილად ატარებენ ინტერვენციას.

იმპერიალისტების და ჩინელ მილიტარისტების გაერთიანებულ ფრონტს ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ უნდა დაუპირდაპირდეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ფრონტი.—შორს იმპერიალისტების სისხლიანი ხელები ჩინეთისაგან—ასეთია საერთაშორისო პროლეტარიატის ლოზუნგი, რომლის აქტიურად გატარების გარეშე ჩინეთის მასების განმანთავისუფლებელ ბრძოლას უდიდესი საფრთხე მოელის.

⁂

ინგლისის „მუშათა“ მთავრობის მოქმედება ჩინეთის მიმართ გვიჩვენებს, რომ ის იმპერიალისტურ პოლიტიკის გატარებაში შუბლმაგრებს არაფრად ჩამორჩება. ამასვე მოწმობს მისი „მოღვაწეობა“ ინგლისის კოლონიებში.

ამ კოლონიებში ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას წყალი აქვს შემდგარი. აჯანყებულ ინდოეთს მიჰყვა ეგვიპტე. ახლა არაბები პალესტინაში იმუქრებიან ლონდონის წინააღმდეგ ბრძოლის განაღდებას. თავის განსათავისუფლებლად ამოძრავებულ მასებს მაკდონალდი ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდება. ინდოეთი და ეგვიპტე მორწყულია ინგლისელ მოძალადეთა მიერ დახოცილ-დაჭრილ მასების სისხლით.

ზარბაზნების ამეტყველებასთან ერთად, ინგლისელი იმპერიალისტები სხვადასხვა პროვოკაციულ ხრიკებს მიმართავენ დაჩაგრულ ხალხთა დასამონებლად. ერთ-ერთი ასეთი ხრიკია ამ ხალხების ერთმანეთზე გადაკიდება, ამ გზით მათი დასუსტება და მათზე თავიანთი ბატონობის განმტკიცება. ამ მიზნით ისინი მოხერხებულად იყენებენ კოლონიალურ ხალხთა ჩამორჩენილობას და მათ შორის აღვივებენ შუღლს მათი ნაციონალური და სარწმუნოებრივ განსხვავების საფუძველზე. აიღეთ უკანასკნელი სისხლის ღვრა ინდოელებსა და მუსულმანებს შორის ინდოეთში, რაც, ეჭვს გარეშეა, გამოწვეულია ინგლისელ იმპერიალისტების პროვოკაციით.

ყოველივე ამასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ინდოეთის ნაციონალისტებთან მათი კაპიტულიაციის შესახებ. ინდოეთის ბურჟუაზია კიდეც ემზადება იმპერიალიზმთან „შეთანხმებისათვის“ მშრომელთა ხარჯზე თავისთვის უმნიშვნელო დათმობის მისაღებად.

მაგრამ როგორადაც არ უნდა დამთავრდეს ამჟამად ინდოეთის ბრძოლა, მისი მშრომელ მასების გაჩუმება შეუძლებელია მიტომ, რომ ისინი კლასიურად თანდათან უფრო ცნობიერდებიან და ირაზმებიან. ტყუილად კი არ ჩივის გაზეთი „ფორვერტს“ (გერმანიის სოციალ-ფაშისტების მთავარი ორგანო], რომ „ლეიბორისტული მთავრობის უდიდესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მან უბრძოლველად დაუთმო ბოლშევიკურ პროპაგანდას ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ასპარეზი, სახელდობრ—ინდოეთის პროფმოძრაობა“-ო. რა თქმა უნდა, წინააღმდეგ „ფორვერტს“-ის მტკიცებისა, მაკდონალდები ინდოეთის რევოლიუციონური პროფმოძრაობის წინააღმდეგ სასტიკ დევნას აწარმოებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდოეთის მუშათა კლასი გამოფხიზლდა და რევოლიუციონური ბრძოლის გზას ადგას. მისი მეთაურობით ინდოეთის მშრომელი მასები გამარჯვებას მოიპოვებენ.

ვ. კ—ლი.

რა ხდება ადგილებზე

არღვევენ უმაღლეს ორგანოების დირექტივებს

ქუთაისი, 9 აგვისტო. ხარაგოულის რაიონულმა კოოპერ. კავშირმა დაარღვია უმაღლეს ორგანოს დადგენილება ხილის დამზადების საქმეში. რაიკავშირი კერძო პირებს საშუალებით აწარმოებს ხილის დამზადებას და გვერდს უვლის გამსაღებელ ორგანიზაციებს. საჭიროა სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები უმაღლეს ორგანოების დირექტივების ასე უხეშად დამრღვევთა წინააღმდეგ.

საქ. პროფსაბჭოს ბრიგადა.

დაუდევრობა კურორტების სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში

ნოქალაქევი, 9 აგვისტო. (საკ. კორ.). სამეგრელოს კურორტებს ნოქალაქევს და ლებარდეს აუარებელი მოაგარაკე მოაწყდა. 2 აგვისტოსათვის კურორტ ლებარდეზე 7 ათასზე მეტი მოაგარაკე იყო, გარდა ბავშვებისა. მოაგარაკეთა ასეთი სიმრავლის გამო კურორტებზე მეტად მწვავე ხასიათი მიიღო ბინის კრიზისმა. აგრეთვე თავი იჩინა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ, რასაც ხელს უწყობს კურორტ ლებარდეზე მისავლელი გზების შეუკეთებლობა და, უმთავრესად, კოოპერაციის დაუდევრობა ლებარდესათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმეში.

მეჯოგეთა კავშირმა, მიუხედავად იმისა, რომ მთაზე საკმაო ჯოგი ჰყავს, დღემდე ვერ მოაგვარა კურორტებისათვის ხორცის მიწოდების საკითხი. ადგილობრივი საკურორტო ქვე-განყოფილება ვერ იჩენს საკმაო აქტივობას. ამინდი კურორტებზე ჯერ-ჯერობით კარგია.

ა. კირცხალია.

200.000 ცალი გაფუჭებული კვერცხი

ფოთი, 9 აგვისტო (საკ. კორ.). მეფრინველეთა კავშირიდან ფოთის მუშკოოპის სახელზე პირველ აგვისტოს მიღებულ იქნა 100.000 ცალი გაფუჭებული კვერცხი. მიუხედავად მიღებულ ზომებისა, დამატებით მოვიდა კიდევ ორ პარტიათ 100.000 ცალი გაფუჭებული კვერცხი. ამის შესახებ ცეკავშირს და „ზაკსოიუზს“ ოთხი დღის წინეთ ეცნობა დეპეშით, მაგრამ პასუხი არ სჩანს.

კომისიამ მიღებული 200.000 ცალი კვერცხი უვარგისად სცნო. საცავში დაწყობილმა კვერცხმა შეიძლება გააფუჭოს სხვა საექსპორტო საქონელი.

გ. ულენტი.

კურსები კოლმეურნეებისათვის

ქუთაისი, 8 აგვისტო. რძის რაციონალური გადამუშავების პრაქტიკულად შესწავლის მიზნით, მეცხოველეობის მთავარ რაიონში—ამბროლაურის რაიონში სპეციალურად კოლმეურნეებისათვის ეწყობა ერთთვიანი კურსები 50 კაცისათვის. (ადს).

აგებენ თამბაქოს საშრობებს

ბათომი, 8 აგვისტო. ამჟამად ხულოს და ქედის რაიონებში სწრაფი ტემპით აშენებენ თამბაქოს საშრობ ფარდულებს, რასაც დღემდე რკინის სიმცირე აფერხებდა. სასწრაფოდ გაიგზავნა საჭირო რაოდენობის რკინა და ლურსმანი. ხულოში შენდება 53 დარაბიანი საშრობი ფარდული, ხოლო ქედაში—31 დარაბიანი. გონიოს და კახაბრის რაიონებში დამთავრდა 3 ცეცხლსაშრობი ფარდულის აგება. თამბაქოს („დიუბეკ“-ი) პირველი შეტეხვა გრძელდება. მუშაობას ხელს უწყობს ცხელი ამინდი. საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე უდრის 8 ნახ. ტონას, მაგრამ ზოგიერთ პლანტაციებზე 10 ტონას გადააჭარბებს. (ადს).

სკოლების რეორგანიზაცია

ბათომი, 8 აგვისტო. აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა შვიდწლედების პოლიტექნიზაციას. ყველა შვიდწლედი გადაკეთდება საფაბრიკო-საქარხნო სკოლად და მიემაგრება საწარმოს. ბათომის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლა გაფართოვდება (იქნება 110 ადგილი), ამავე დროს ხდება ათწლედების რეორგანიზაცია. მეორე კონცენტრის ჯგუფებს გადააკეთებენ სამრეწველო-ეკონომიურ და საექიმო ტეხნიკუმებად.

ქობულეთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა გადაკეთდება საკოლმეურნეო ტეხნიკუმად, რომელთანაც გაიხსნება შვიდწლედი საკოლმეურნეო ახალგაზრდობისათვის. (ადს).

პედაგოგიური კადრების მომზადება

ბათომი, 8 აგვისტო. აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტი უშვებს 80 ახალგაზრდა პედაგოგს. მეორე გამოშვება მოხდება 1931 წლის იანვარში. ბათომში იხსნება მოკლევადიანი კურსები სოფლის სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კურსებზე მიღებულთა შორის 50 პროცენტი აჭარელი იქნება.

სამოსწავლო წლის დაწყებიდან აჭარისტანის სოფლის მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 50 მან.-დან 65 მან-მდე გადიდდება. ბათომში საშუალო ხელფასი აყვანილი იქნება 85 მანეთამდე. (ადს).

სასკოლო შენობების სიმცირე

ბათომი, 8 აგვისტო. საყოველთაო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, საგრძნობი ხდება სასკოლო შენობების სიმცირე. კრიზისს აღრმავებს ის გარემოება, რომ სასკოლო შენობების ნაწილი საცხოვრებელ ბინებს უჭირავს. პედაგოგიური ტეხნიკუმის შენობაში მთელი კორპუსი კერძო პირებს უჭირავთ. ასეთივე მდგომარეობაა ებრაელთა ათწლედშიც. (ადს).

შევამოწმოთ შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის მზადება ტრანსპორტზე

„მიუხედავად ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობისა, ტრანსპორტის მეურნეობა, ამ მეურნეობის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ ჩამორჩება განვითარების საერთო ტემპს... განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას?...

(ამხ. სტალინის მოხსენებიდან)

რას მოგვცემს შემოწმება

ამჟამად ა.-კ. რკინის გზაზე ტარდება შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის ტრანსპორტის მომზადების შემოწმების ერთთვიური.

ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებისაკენ არის მიპყრობილი დღეს სატრანსპორტო სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მთელი ყურადღება. შემოდგომა- ზამთრის ტვირთზიდვისათვის ტრანსპორტის მომზადების შემოწმება ხელს შეუწყობს საერთოდ ამ საქმის უნაკლოდ ჩატარებას; იგი დააჩქარებს ყველა იმ ღონისძიებათა რეალიზაციას, რომლებიც მიმართული არიან შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის უზრუნველყოფისაკენ.

შემუშავებულია ერთთვიურის ჩატარების გეგმა; ამ კამპანიის ჩატარების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შემოწმება იმისა, თუ როგორ ასრულებს ტრანსპორტი ყველა იმ დირექტივებს, რომლებიც შეეხება ტვირთზიდვის გეგმების შესრულებას.,

ერთთვიურის ჩატარების პერიოდში შემოწმებული იქნება სატრანსპორტო-საფინანსო გეგმების რკინისგზელთა ფართო მასებისათვის გაცნობის საკითხი; გამოირკვევა, მიყვანილია თუ არა ეს გეგმები ცეხებამდე და ცალკე ჯგუფებამდე, იცნობენ მას რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები თუ არა.

ამასთანავე შემოწმების კამპანია მიზნად ისახავს ერთმმართველობის განმტკიცებისათვის საუკეთესო დამკვრელ მუშების ადმინისტრატიულ -სამეურნეო თანამდებობებზე დაწინაურებისათვის და სხვა ასეთ ღონისძიებების გატარებისათვის ხელის შეწყობას.

მიღებული იქნება ყველა ზომები იმისათვის, რომ შემოდგომა- ზამთრის ტვირთზიდვის საქმეში ფართოდ იქნეს გამოყენებული სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდები. ყურადღება მიექცევა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ფართო მასების სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში ფართოდ ჩაბმას და მისი შედეგების აღნუსხვას.

ერთთვიურის ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს რკინისგზელთა ყურადღების და აქტიობის გაცხოველებას გადაზიდვის გეგმების ირგვლივ. გზის მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებში შექმნილი იქნება გადაზიდვის ხელშემწყობი ბრიგადები. პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციების მთელი გულისყური მიპყრობილი იქნება შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის წარმატებით შესრულებისაკენ.

ამ ღონისძიებამ უკვე ჰპოვა გამოხმაურება რკინის გზაზე. მეორე რაიონი ფართოდ ჩაება ამ მუშაობაში და ტვირთზიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სოცშეჯიბრებაში გამოიწვია პირველი და მესამე რაიონები.

ნაკლოვანებები ეხლავე უნდა გამოსწორდეს

საქ. კ. პ. (ბ) ლენინაკომის პარტაქტივის კრებაზე ა.-კ. რკინის გზის მეორე რაიონის უფროსმა ამხ. ბ. რაზმაძემ გააკეთა მოხსენება შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. რაზმაძემ პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ გზის სამეურნეო ერთეულების ზოგიერთი ხელმძღვანელები იჩენენ ერთგვარ გულგრილობას და მოუქნელობას დავალებულ საქმის შესრულებისადმი, რითაც ისინი აფერხებენ ტრანსპორტის მომზადების საქმეს შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის.

არც გზის დირექციის ხელმძღვანელი მუშაკები იჩენენ საჭირო აქტიობას ამ საქმეში. ისინი აგვიანებენ სამუშაო გეგმების მიწოდებას ადგილებისათვის.

თბილისის საქონლის სადგურის მუშაობას აფერხებს ვაგონების თავის დროზე განტვირთვა. ამის მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობს იმაში, რომ გზის კლიენტებს არ გააქვთ სადგურებიდან ტვირთები და ნაწილობრივ იმაში, რომ ალმასკომი არ აჩქარებს სადგურთან მისასვლელ გზების შეკეთებას. ბრძოლის ქუჩა, რომელიც უმთავრესი გზა არის სადგურთან მისასვლელად, აქამდე შეუკეთებელია. მისი შეკეთება კუს ნაბიჯით მიდის. ძალზე აფერხებს სადგურის განტვირთვას საქონლის გასაზიდ სატრანსპორტო საშუალებათა (ავტომობილები, ფურგონები, დროგები) სიმცირე ეხლა არსებული საწყობები რკინის გზაზე ტვირთებს ვერ იტევენ, ხოლო ახალ საწყობების შენება ძალიან ნელის ტემპით მიმდინარეობს. ტვირთების დასაწყობი ადგილი, რომ არ მოიპოვება, ვაგონებიდან საქონელს პირდაპირ მიწაზე ყრიან, ცის ქვეშ.

მომხსენებელი შეეხო მოძრავ შემადგენლობის შეკეთების საკითხს და განაცხადა, რომ ორთქლმავლების და ვაგონების შეკეთების საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული გზის ქარხანა- სახელოსნოებში და საშიშროების წინაშე აყენებს შემოდგომა- ზამთრის გადაზიდვებს. მოძრავი შემადგენლობის შეკეთების ცუდი ხარისხი ხშირად შედეგია ქარხანა-სახელოსნოების ადმინისტრაციის სუსტი მუშაობისა, რადგან იგი სათანადოთ არ სინჯავს შეკეთებულ ორთქლმავალ-ვაგონებს და მათ უშვებს გარედ ჯერ კიდევ სავსებით შეუკეთებელ მდგომარეობაში.

გზის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების საკითხთან. ამ პერიოდში გზას დასჭირდება გაცილებით მეტი მუშაკები, ვინემ მანამდე. მაგრამ გზის ადმინისტრაცია აქამდე არავითარ პრაქტიკულ ნაბიჯებს არ სდგამს კადრების მომზადებისათვის. მაგალითად, ეხლა ხან რკინის გზაზე შემოიღეს მატარებლების მოძრაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციაქმნილი სისტემა,რადიო აპარატების გამოყენებით, რაც მეტად აადვილებს საქმეს. ეს ახალი სისტემა საჭიროებს მცოდნე პირებს, რომელიც გზას არ მოეპოება და გზის ადმინისტრაციას აქამდე არ უფიქრია ამ მუშაკების მოსამზადებელ კურსების გახსნაზე. ბირჟაც ვერ აკმაყოფილებს გზის მოთხოვნილებებს მუშა-ხელზე, რადგან იქ საჭირო კადრები არ მოიპოვებათ. კვალიფიციურ კადრებს რომ თავი დავანებოთ, ბირჟას არ შეუძლია მოთხოვნილების დაკმაყოფილება მტვირთავ მუშებითაც.

ერთი სიტყვით, კადრების საკითხი რკ. გზაზე მეტად მწვავედ სდგას. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოცდილ მუშაკებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ, უბრალო სამუშაოებზე.

ყოველივე ამას ზედ ერთვის ერთმმართველობის საკითხის გადაუჭრელობა. ხშირად სამეურნეო მუშაკები თავს არიდებენ პასუხისმგებლობას და ეფარებიან პროფორგანიზაციების ზურგს უკან. უნდა ითქვას, რომ ფუნქციები განაწილებული არ არის.

ეს საკითხები დროზე ყურადღების მიქცევას მოითხოვენ, რადგან შემოდგომა-ზამთრის პერიოდამდე მეტად მცირე დროა დარჩენილი და მათ სათანადოდ გადაუჭრელობა გზას არასასურველ მდგომარეობაში ჩააყენებს.

თბილისის სადგურზე მდგომარეობა უცვლელია

როგორც ვსწერდით, იმის გამო, რომ სამეურნეო ორგანიზაციებს რკინის გზის სადგურებიდან არ გააქვთ მათ სახელზე იქ მიღებული ტვირთები, სადგურების მუშაობა გაძნელებულია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თბილისში და ნავთლუღში, სადაც დიდძალი ტვირთი აწყვია და მრავალი ვაგონები დგახან განტვირთვის მოლოდინში. ამის გამო შეჩერებულია ახალი ტვირთების მიღება ჩრდილოეთიდან.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და 3 აგვისტოს გამოსცა სპეციალური დადგენილება თბილისის და ნავთლუღის სადგურების განტვირთვის შესახებ, გამოცხადდა 5 დღიური სადგურების განსატვირთავად. სამეურნეო ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დაკვეთილი წესით ეწარმოებინათ სადგურებიდან მათი ტვირთების გაზიდვა, ხოლო „სოიუზტრანს“-ს დაევალა ამ გადაზიდვების უზრუნველყოფა გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებებით.

უკვე ერთი კვირა გავიდა ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ მდგომარეობას გამოსწორება არ ემჩნევა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ნავთლუღში, სადაც ტვირთების გაზიდვა უფრო ცხოველის ტემპით მიმდინარეობს. თბილისში კი ამ სამი დღის განმავლობაში შესძლეს მხოლოდ 26 ვაგონი ტვირთის გადაზიდვა. მარტო სამხრეთის პარკში აწყვია ასი ვაგონი ტვირთი, იქ ვაგონის მოსაბრუნებელი ადგილი არ არის და ვაგონების მიყვანაც შეუძლებელია.

ეს იმით აიხსნება, რომ გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებები არ მოეპოვება „სოიუზტრანს“. არ აქვს ავტომობილები, არ ჰყავს ცხენები. როგორც ირკვევა, „სოიუზტრანს“ მხოლოდ ეხლა გაუგზავნია თავისი წარმომადგენელი რუსეთში ცხენების შესაძენად.

უნდა აღინიშნოს მუშკოოპის დეზორგანიზაციული მუშაობა ტვირთების გადაზიდვის საქმეში. იგი დამოუკიდებლად მოქმედებს: მის სახელზე მიღებულია დიდძალი შეშა და იგი მას არ ეზიდება. ადგილის უქონლობის გამო შეშას ყრიან პირდაპირ ლიანდაგებზე და ამის გამო სამანევრო მუშაობა შეუძლებელი ხდება.

თბილისში არსებული რთული მდგომარეობა გავლენას ახდენს მთელი გზის მუშაობაზე. იმის გამო, რომ იქ ადგილი აღარ მოიპოვება ვაგონების მისაღებად, თბილისში გამოგზავნილი ვაგონები დგანან ნავთლუღში და ამის გამო უკანასკნელის მუშაობაც გართულებულია. ამავე მიზეზით დაკავებულია საქონლით სავსე მატარებელი სადგურ ველ'ში, გოდაბანში და სხვაგან.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებაში აშკარად და გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ამ ხუთდღიურის პერიოდში უნდა მოეხდინათ ქალაქში არსებულ ყველა ტვირთების გადასაზიდ სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაცია და „სოიუზტრანს“ უნდა გამოეყენებია ეს საშუალებები სადგურების განსატვირთავად და გასაკვირია რატომ არ ტარდება ცხოვრებაში ეს დადგენილება. საქართველოს ვაჭრობის სახკომისარიატმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს უფრო გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მგზავრების გადაყვანის საქმე ა. კ. რკ. გზაზე მოუწესრიგებელია

სახალხო მატარებლების მოძრაობის მოწესრიგება და მგზავრებისათვის წესიერი სამსახურის გაწევა რკინის გზის ტრანსპორტის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს. განსაკუთრებით ეს საჭირო ხდება ზაფხულის პერიოდში, როდესაც მგზავრების მოძრაობას არაჩვეულებრივი გაძლიერება ეტყობა; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ა.-კ. რკინის გზებზე აქამდე მოწესრიგებული და სათანადო ნიადაგზე დაყენებული ვერ არის. მგზავრების გადაყვანაში განსაკუთრებული მოუწესრიგებლობა ემჩნევა წელს და ეს იმის შედეგია, რომ გზის მმართველ ორგანოებმა თავის დროზე არ გაითვალისწინეს მგზავრების მოძრაობის პერსპექტივები.

ჯერ კიდევ ზაფხულის დამდეგამდე გზათა სახ. კომისარიატმა მიაქცია რკინის გზების ყურადღება იმ გარემოებას, რომ მგზავრების გადაყვანის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ღონისძიებების ეხლავე მიღება. კომისარიატმა ამის შესახებ რკინის გზებს დაუგზავნა სათანადო ცირკულიარი, სადაც დასახელებული იყო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები მგზავრთა მოძრაობის გასაუმჯობესებლად.

ეს ცირკულიარი ა.-კ. რკინის გზის დირექციამ მიიღო ივნისის პირველ რიცხვებში, მაგრამ მის ცხოვრებაში გასატარებლად რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. იგი მაუდის ქვეშ ამოდო.

ზაფხულის პერიოდისათვის შემუშავებული სახალხო მატარებლების მოძრაობის ცხრილით, ა.-კ. რკინის გზაზე გათვალისწინებული იყო თბილისიდან ბათუმის, ფოთის, ქუთაისის და ბორჯომის მიმართულებით ათი მატარებლის გაშვება. ამის მიხედვით ბაკურიანის შტოზე უნდა ევლო 5 მატარებელს და ჭიათურის შტოზე ოთხ მატარებელს. კახეთის შტოზე გადაწყვეტილი იყო სამი მატარებლის გაშვება. ბაქოსკენ გათვალისწინებული იყო სამი მატარებლის დანიშვნა, გარდა მოსკოვ-ლენინგრადის, ბაქო-შეპეტოვკას და ბაქო-როსტოვის ხუთი მატარებლისა ერევანის და ჯულფის მიმართულებით უნდა ევლო ოთხ მატარებელს.

ეს დაპირება არ არის შესრულებული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მატარებლების მოძრაობის ცხრილი თავიდანვე ვერ იყო შედგენილი წესიერად. ზოგიერთი მატარებელი დანიშნული იყო ისეთ საათებში, რომლებიც მგზავრებს ვერ აკმაყოფილებდა და ასეთ უხერხულ დროებში მოძრავი მატარებლები ცარიელი დადიოდნენ, დანარჩენები კი ზედმეტად იტვირთებოდნენ. ამის გამო ეხლა უხდებათ ცხრილის გადასინჯვა და იქ შესწორებების შეტანა. მოძრაობის ცხრილში შეტანილია ზოგიერთი მატარებლები, რომლებიც უნდა გაუშვან საჭიროების მიხედვით. არც ეს გადაწყვეტილებაა განხორციელებული, თუმცა საჭიროება დიდია.

ეს რომ ასეა იქიდან სჩანს, რომ ეხლა მოძრავი მატარებლები ყველა მიმართულებით ზედმეტად არიან გადატვირთულნი. გარდა იმისა, რომ ვაგონებში ყველა ადგილები დაკავებულია, დასადგომ ადგილსაც ვერ იშოვით. მგზავრებს უხდებათ ფეხზე დგომით მგზავრობა ისეთ მანძილებზე, როგორიცაა განჯა-თბილისი, თბ.-სამტრედია, თბილისი-ბორჯომი და სხვა. აღარას ვიტყვით თბილის-გორის უბანზე მოძრავ მატარებელზე, რომელზედაც პირდაპირ აუტანელი მდგომარეობაა გამეფებული. ვაგონები აღარ მოსჩანან მგზავრთა ზღვაში. კიბეების საფეხურები, ბუფერები, გასავლელები ვაგონებს შორის მთლიანად ავსილია ხალხით. თუ კი სადმე მოიპოვება ფეხის დასადგმელი, ან ხელის მოსაკიდებელი, იქ მგზავრები არიან ჩამოკიდებული. კონდუქტორები რასაკვირველია ამ ზღვა ხალხში არ სჩანან და თავისთავად ცხადია, რომ ბილეთების გასინჯვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს უბილეთო მგზავრობას, რომლის წინააღმდეგ გზა თითქოს ენერგიულად იბრძვის, მაგრამ ეს ბრძოლა შედეგებს ვერ აღწევს მატარებლებში გამეფებულ ქაოსის გამო და. პირიქით, უფრო ხელს უწყობს უბილეთო მგზავრობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეხლა ორ ვაგონს ემსახურება თითო კონდუქტორი. ეს დაკანონდა გზათა კომისარიატის ბრძანებით. ამ ბრძანებამ დიდი უხერხულობა შექმნა მგზავრების გადაყვანაში და მათთვის სამსახურის გაწევაში. წინად თითოეულ ვაგონს თითო კონდუქტორი ემსახურებოდა, კონდუქტორი სინჯავდა თითოეული მგზავრის ბილეთს, მან იცოდა ვინ სად მიდიოდა და დანიშნულ სადგურთან მიახლოებისას იგი აფრთხილებდა მგზავრს. ეხლა თითო კონდუქტორი ემსახურება ორ ვაგონს და ცხადია, რომ იგი ვერ უწევს ისეთ სამსახურს მგზავრებს. მგზავრმა არ იცის სად ჩავიდეს. მას ერეკებიან ერთი ვაგონიდან მეორეზე, იქმნება ქაოსი და არევ-დარევა პერონებზე, მგზავრები აწყდებიან ერთი ვაგონიდან მეორე ვაგონს, ნერვიულობენ და არ არის თავიდან აცილებული მგზავრების დარჩენა სადგურებში.

ამას თან ისიც ერთვის, რომ პერონები ყოველთვის სავსეა უსაქმოდ მოხეტიალე ხალხით.

უწესრიგობა ბილეთების გაყიდვაში

არსებობს დებულება, რომლის თანახმად საბილეთო სალაროები უნდა გაიღონ ორი საათით ადრე მატარებლის წასვლამდე. მაგრამ ეს დებულება არც ერთ სადგურზე არ სრულდება. ბილეთების სალაროებს აღებენ 20-30 წუთით ადრე. მგზავრები ვერ ასწრებენ ბილეთების შეძენას, რჩებიან მატარებლებზე და ეს იწვევს მგზავრების დიდ უკმაყოფილებას და უწესრიგობას. ხშირად საქმე ისე მატარებლები არ ჩერდებიან. იყო შემთხვევა თბილისის სადგურში, როდესაც სალარო გააღეს გვიან, მგზავრებმა ვერ მოასწრეს ბილეთების შეძენა და ერთ-ერთმა გლეხმა, რომელსაც ცხვირის წინ დაუკეტეს სალარო, ვეღარ მოითმინა და გამწარებულმა სილა გააწნა წესრიგის დამცველ აგენტს.

აღსანიშნავია დაუდევრობანი მოლარეების მუშაობაშიაც. ისინი ყიდიან ბილეთებს ჩქარ მატარებლებზე ისეთ სადგურებამდე, სადაც ეს მატარებლები არ ჩერდებიან. იყო შემთხვევა, რვა გლეხს თბილისში მისცეს ბილეთები მატ. № 44-ზე (ჩქარი) კასპამდე, სადაც ჩქარი მატარებელი არ ჩერდება. მგზავრები იძულებული იყვნენ ჩასულიყვნენ გორში. აქედან მათ მოუხდათ უკან ფეხით დაბრუნება, რადგან ბილეთის ფული აღარ ჰქონდათ.

ზოგიერთ პატარა სადგურებში სალაროებს აღებენ სწორედ მატარებლის მისვლის მომენტში. ამით აიხსნება, რომ იქ მგზავრებს 2-3 დღით უხდებათ ცდა. ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც სადგურის მორიგეებმა არ იციან როგორ გამოიყენონ თავისუფალი დრო.

არ არის მიღწეული შეთანხმება ქალაქის და ხაზის სადგურებს შორის. განსაკუთრებით გართულებულია საქმე მას შემდეგ, რაც ქალ. სადგურები გადაეცა „სოიუზტრანსს“. არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ადგილს ჰყიდის როგორც ქალაქის, ისე ხაზის სადგური.

ამას გარდა ბილეთების შეძენაში მტვირთავი მუშები ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას. ისინი წინასწარ იძენენ ბილეთებს და შემდეგ ჰყიდიან მათ ზედმეტ ფასებში. ასეთი უწესოება მტვირთავებს ტრადიციულად მოსდევთ და ეს ბოროტება აქამდე აღმოფხვრილი არ არის.

ეხლა თბილისის სადგურმა შემოიღო ბილეთების გაყიდვის ახალი წესი. იქ სალაროებს აღებენ მთელი დღის განმავლობაში და მგზავრებს საშუალება ეძლევათ წინასწარ შეიძინონ ბილეთები ყოველ მატარებელზე. თითქოს ამას უნდა მოესპო რიგები სალაროებთან, მაგრამ ეს ჯერ არ ემჩნევა. ამის მიზეზი, ალბად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ფართო საზოგადოება არ იცნობს ამ სისტემას. თან ისიც უნდა ითქვას, რომ მოლარეები ხშირად გაურბიან ამ სისტემას.

როგორ მუშაობენ საბარგო სალაროები

არც საბარგო სალაროებშია უკეთესი მდგომარეობა. ბარგის მიღება იქ ხდება დიდი დაგვიანებით, ხშირად მატარებლის წასვლამდე რამოდენიმე წუთის წინ. სალაროები ვერ ასწრებენ ბარგების მიღებას. მტვირთავები კი —დატვირთვას. ბარგის დატვირთვაში აქვს ადგილი დაუდევრობას და უპასუხისმგებლობას. მტვირთავები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ბარგის გამგზავნელთა წინაშე. უხეშად ეპყრობიან ბარგებს, არ ტვირთავენ მათ იმ მატარებლებზე, რომლითაც მათი გამგზავნელები მიდიან. მგზავრი ჩადის დანიშნულ სადგურში ბარგი კი არსად სჩანს.

უკანასკნელ ხანებში შემოღებულია მგზავრებისათვის მატარებლებში ქვეშსაგებლის და მისი თეთრეულის მიწოდება. ამ საქმეს დღევანდლამდე რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება განაგებდა და უნდა ითქვას, რომ სამაგალითოდ ჰქონდა იგი დაყენებული. საბჭოთა კავშირის რკინის გზების ქსელში მას მოწყობილი ჰქონდა ბაზისები, სადაც სწარმოებდა ქვეშსაგებლის და მის თეთრეულის გამოცვლა, აქვე ატარებდნენ მათ დეზინფექციაში და რეცხავდნენ. მგზავრი ოთ მანეთად ოთხი დღის განმავლობაში ღებულობდა სუფთა ქვეშსაგებელს და უზრუნველყოფილი იყო რაიმე სენისაგან.

ეხლა სხვა მდგომარეობაა. ეს საქმე გადაეცა რკინის გზებს და უნდა ითქვას საქმე გაუარესდა. მთელი ქონება, რომელსაც წინად პატრონობდა ერთი ორგანიზაცია, ეხლა დანაწილებულია ცალკე რკინისგზებს შორის. წინად წითელი ჯვარი ისე ანაწილებდა ქვეშსაგებლის კომპლექტებს, რომ მათი ნაკლოვანება არ ემჩნეოდა. ეხლა კი ასე არ არის. მგზავრი ყოველთვის ვერ შოულობს ქვეშსაგებელს. თანაც ქვეშსაგებელი ცუდ მდგომარეობაშია. ზეწრები, ბალიშის პირები და პირსახოცები დახეულია, ლეიბები და საბნები ჭუჭყიანი.

საჭიროა მიღებული იქნეს გადამწყვეტი ზომები ტრანსპორტზე მგზავრთა მოძრაობის საქმის მოსაწესრიგებლად, მატარებლებში და სადგურებში აბსოლიუტური წესრიგის და სისუფთავის დასაცავად და სხ. რკ. გზა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა აგიტაცია-პროპაგანდის და პოპულარიზაციის ერთ მთავარ ძალად უნდა გადაიქცეს.

ტონი.

ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა ყრილობა

მეოთხე სხდომა

8 აგვისტოს დილის სხდომაზე, ამხ. ივანიშვილის მოხსენების გარშემო კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მოხსენება ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა კადრების მომზადების შესახებ და ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს მოხსენება.

შრომის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ათაბეკოვმა ყრილობას გააცნო ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებულია ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკების მოსამზადებლად. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტოხელოსანთა კადრის შექმნას, რისთვისაც მომავალი სამეურნეო წლიდან თბილისში და ბაქოში იხსნება ავტოსაქარხნო-საფაბრიკო სკოლები სულ 500 კაცისათვის.

ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. სტეფანოვმა ყრილობას გააცნო, თუ რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს ამ.-კავკასიაში გზატკეცილების მშენებლობის დარგში.

ავტოტრანსპორტის შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ ამ მეურნეობის განვითარებას აფერხებს ავტომანქანების შეკეთების მოუგვარებლობა, გარაჟების დაქსაქსულობა და სუსტი შრომის დისციპლინა შოფერებს შორის.

მანქანების შეკეთების საქმე განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული საქართველოში და სომხეთში. აქ არ მოიპოვება შესაფერისად მოწყობილი სახელოსნოები და კადრები. არ მოიპოვება მანქანების შეკეთებისათვის საჭირო მასალები. ამ ნაკლს, ალბად, გამოასწორებს თბილისში განზრახული ავტომანქანების შემკეთებელ სახელოსნოს აგება.

იმავე სხდომაზე გაიხსნა კამათი ორივე მოხსენების გარშემო.

უკანასკნელი სხდომა

8 აგვისტოს, საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ამხ. სტეფანოვის მოხსენების გარშემო და არჩეულ იქნა კომისია მოხსენების შესახებ რეზოლიუციის შესადგენად.

სხდომის დანარჩენი ნაწილი მოხმარდა არჩეულ კომისიების მუშაობას.

9 აგვისტოს დილის სხდომაზე ყრილობამ მიიღო კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და გადავიდა ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ორგანიზაციულ საკითხებზე. არჩეულ იქნა კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტი, არჩეულ იქნა 23 წევრის და 6 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიაში არჩეულია ხუთი კაცი.

ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ა.-კ. კომიტეტის პლენუმი

ყრილობის დახურვისთანავე შესდგა ახლად არჩეულ ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ა.-კ. კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია კავშირის ხელმძღვანელი აპარატი.

კავშირის თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. მ. კერვალიძე, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. არუთინოვი და ხაზინადრად ამხ. სუხოვი (ყველა მუშები).

გარდა ამ ამხანაგებისა პრეზიდიუმში პლენუმმა შეიყვანა კიდევ სამი კაცი. მათ შორის ამხ. დ. ორჯონიკიძე და ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა რესპუბლიკანურ კავშირების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარეები.

სამომხმარებლო კოოპერაცია და პროფკავშირები საჭირო აქტიობით არ იბრძვიან

მუშათა რეალური ხელფასის გადიდებისათვის

დანაშაულებრივი უყურადღებობა და დაუდევრობა ქალაქების გარე უბნებში მეურნეობების მოწყობის საქმისადმი

ივლისის მეორე ნახევარში ქალაქების საგარეუბნო მეურნეობათა მშენებლობის მდგომარეობის საკითხის განხილვის დროს საკავშირო პროფსაბჭომ აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა ამ დარგში სრულიად არადამაკმაყოფილებელია. გარეუბნების მეურნეობათა (ბოსტნეულის, სარძეო, მეღორეობის და სხვ.) მეურნეობათა მშენებლობას ახასიათებს საორგანიზაციო-მოსამზადებელი მუშაობის დაგვიანება, ხელმძღვანელობის სისუსტე, ცენტრის სისტემატიური კონტროლის უქონლობა. ადგილებზე მუშაობაზე ამ მიმართულებით, მეღორეობის განვითარების გეგმის შეუსრულებლობა (27,1 პროც.), ნაკლებ პროდუქტიული საქონლის დიდი პროცენტი სარძეო მეურნეობებში, ბოსტნების ფართობის არა რაციონალურად გამოყენება“ და სხვ.

საქონლის სადგომების და საღორეების მშენებლობაში ხშირია უყაირათობის და დაუდევრობის შემთხვევები, რაც ზოგჯერ აშკარა მავნებლობის ხასიათს იღებს. სრულიად არა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია მეურნეობებში.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა მის წინაშე მდგომ უდიდეს ამოცანებთან შეფარდებით; ზოგ ადგილებში მან სათანადოდ ვერ შეაფასა მსხვილ სარძეო, ბოსტნეულის და მეცხოველეობის მეურნეობების ორგანიზაციის მნიშვნელობა მუშათა მომარაგების გაუმჯობესების და რეალური ხელფასის გადიდების საქმეში.

მაგრამ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა აგრეთვე, რომ, საკავშირო პროფსაბჭოს მრავალი დირექტივების მიუხედავათ, პროფორგანიზაციები მეტად სუსტ მონაწილეობას იღებდნენ კოოპერაციის მუშაობაში, თავის დროზე არ უწევდნენ მას საჭირო დახმარებას, არ მოახდინეს მუშათა მასის ყურადღების მობილიზაცია გარეუბნების მეურნეობების მშენებლობის გეგმის შესრულებაზე, დაუშვეს ამ მიზნისათვის ფინანსების მიწოდების დაგვიანება. ამის გამო პროფკავშირები კოოპერაციასთან ერთად არიან პასუხისმგებელი იმ ჩამორჩენილობისათვის, რომელიც ჩვენ გვაქვს მუშაობის ამ დარგში. განსაკუთრებით შეეხება ეს ამიერ-კავკასიას, სადაც ბოსტნეულის თესვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით. ადგილობრივ საბჭოთა (და საკოლმეურნეო) ორგანოებმა არ მიიღეს ზომები კოოპერაციისათვის თესლის, ინვენტარის, საშენებელი მასალების და საჭირო იარაღის დროზე მისაწოდებლად და დააგვიანეს ქალაქების გარეუბნებში საჭირო მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ყველა ეს ნაკლოვანებები შეეხება გარეუბნების მეურნეობათა მშენებლობას მთელს საბჭოთა კავშირში.

მაგრამ, თუ საბჭოთა კავშირის რაიონების უმრავლესობათა მიმართ ლაპარაკია ბოსტნეულის ფართობის არა რაციონალურად გამოყენებაზე, ნაკლებ პროდუქტიული საქონლის დიდ პროცენტზე სარძეო მეურნეობებში, მეღორეობის გეგმის შეუსრულებლობაზე და სხვ., საქართველოს და კერძოთ თბილისის მიმართ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ცარიელ ადგილზე ამ მხრივ და როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის, ისე პროფკავშირების სრულ უმოქმედობაზე. რეალური, რაც თბილისის მუშკოოპს გააჩნია—ეს არის საბჭოთა მეურნეობა ნავთის ქალაში, რომელიც მან. საქ. სახ. ვაჭრობის სახალხო ამხანაგობისგან მიიღო. ამ საბჭოთა მეურნეობაში, როგორც ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, მეურნეობას ისე უმზგავსოდ უძღვებიან, რომ მას უფლებაც არ აქვს საბჭოთა მეურნეობის სახელწოდება ატაროს: ძროხები უფრო ნაკლებ რძეს იძლევიან, ვიდრე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში, ერთი ძროხის გამოკვება რამდენიმე ათეული მანეთი ჯდება, ბოსტნეული მიმდინარე წელს დაიღუპა, შრომის ორგანიზაცია არავითარი არ არსებობს.

განზრახულია საბჭოთა მეურნეობის მოწყობა სოღანლუღში, ათი კილომეტრის მანძილზე თბილისიდან; მუშკოოპს ქაღალდის ფურცლების უსასრულო რაოდენობაზე შედგენილი აქვს ამ საბჭოთა მეურნეობის განვითარების გეგმა, რომელიც, სამწუხაროდ, სრულიად არა რეალურია, რადგან იგი შედგენილია კაბინეტური წესით და რამდენიმე თვეც არ დარჩა საჭირო, რომ გამოაშკარავებულიყო მისი განუხორციელებლობა. საქონლის შესაძენად საჭირო თანხა გეგმაში შეტანილია... თითიდან გამოწოვილ ცნობების მიხედვით. მაგრამ საქმისადმი კანცელარიულად მიდგომაში მარტო მუშკოოპი არ არის დამნაშავე. „ზაკსოიუზმა“ უნდა უხელმძღვანელოს მუშკოოპის მუშაობას, მაგრამ ხელმძღვანელობის მაგიერ იგი აფერხებს მშენებლობას.

სოღანლუღში საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობათ წინასწარ საჭიროა 1½—2 მილიონი მანეთის დახარჯვა მორწყვის საქმეზე. ამის გარეშე არავითარი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა სოღანლუღში არ შეიძლება. „ზაკსოიუზმა“ კი გარეუბნებში მეურნეობების მშენებლობისათვის საჭირო თანხები წმინდა მექანიკურად გაანაწილა და სოღანლუღში მორწყვის საქმისთვის მხოლოდ 150.000 მანეთი გადასდო.

თუ როგორ უნდა მოხდეს მეურნეობათა განვითარება თბილისის გარშემო—ეს რიგიანად არავინ იცის. „ზაკსოიუზ“ არც კი მოეპოება მუშკოოპის საკონტროლო ციფრები ამ მხრივ. არის მხოლოდ დაუსრულებელი ვოლოკიტა, საპნის ბუშტები და საკითხის „შეთანხმება“. მაგრამ სრულიად არ სჩანს ცოცხალი საქმე.

საჭიროა დაუყოვნებლივ გადაისინჯოს გარე უბნების მეურნეობათა მშენებლობის გეგმა საქართველოში. ამ საქმეს უნდა ჩამოეშოროთ ის ხალხი, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით.

დაყოვნება დაუშვებელია!

ვ. ქ.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

მრეწველობის 9 თვის მუშაობის შედეგები

პლენუმის მეექვსე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, თავმჯდომარის ამხ. პ. საბაშვილის და პროფსაბჭოს წარმომადგენელ ამხ. ეირაძოვის მოხსენებები საქართველოს მრეწველობის 9 თვის მუშაობის შედეგების შესახებ.

მოხსენებებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ გასულ 9 თვის განმავლობაში საქართველოს მრეწველობამ შეასრულა ამავე პერიოდის საწარმოო გეგმის 99,7 პროც. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია მით რომ მარგანეცის წარმოებამ (რომლის ხვედრითი წონა ჩვენს მრეწველობაში 66 პროცენტს შეადგენს) გეგმა ვერ განახორციელა. გეგმის პირველი ვარიანტით თვითღირებულება წელს საშუალოდ 11 პროც.-ით უნდა შემცირებულიყო. გეგმის გადასინჯვის შემდეგ ეს ნავარაუდევი პროცენტი დაყვანილ იქნა 5,6 პროც.-მდე საანგარიშო პერიოდში თვითღირებულებამ ფაქტიურად 5,5 პროც.-ით დაიკლო. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა არ არის მთლიანად შესრულებული. მუშა - ხელის გამოყენების საქმე ზოგიერთ წარმოებაში მოუწესრიგებელია.

გამოირკვა, რომ წელს შრომის დისციპლინას გაუარესება ემჩნევა — საგრძნობლად გაიზარდა არა საპატიო მიზეზებით სამუშაოს გაცდენის შემთხვევები, რაც არანორმალურ მოვლენას წარმოადგენს.

ერთმმართველობის პრინციპი ჩვენს მრეწველობაში სათანადოთ არ არის გატარებული. ზოგიერთ ხელმძღვანელს ჰგონია, რომ ერთმმართველობა განხორციელებული იქნება, თუ იგი გვერდს აუვლის, როგორც პროფესიონალურ ისე პარტიულ ორგანოებს. ზოგი კი პირიქით, საჭიროდ სცნობენ, ამ ორგანოებისადმი სრულ დამორჩილებას.

უმაღლეს ორგანოების დირექტივის თანახმად ყოველი წარმოება ვალდებული იყო მთლიანი საწარმოო - საფინანსო გეგმა დაენაწილებინა ცალკე ქარხნებზე, საამქროებზე, ცეხებზე და სხ. და ეს გეგმები მიეყვანა დაზგამდე, რომ თვითეულ მუშას ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი, თუ რას მოითხოვს მისგან, მთელი ცეხისაგან და ქარხნისაგან, გეგმის განხორციელება. გეგმა მართალია, დანაწილებულია, მაგრამ მუშათა უმეტესობას არ აქვს განმარტებული გეგმა მთლიანად და ამ გეგმის ის ნაწილი, რომელიც მის საამქროს და დაზგას შეეხება. სწორედ ამიტომ ბევრმა მუშამ დღემდე არ იციან, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სამრეწველო - საფ. გეგმა.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ ზოგიერთი წარმოება ხშირად სულ უბრალო მოწყობილობის უქონლობით იძულებული ხდება რამდენიმე ხნით შეჩერდეს.

პლენუმის დახურვა

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე 8 აგვისტოს, საღამოს, გაგრძელდა კამათი მუშათა მომარაგების საქმის მდგომარეობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. ორატორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობას. მართალია ამჟამად ადგილი აქვს სასურსათო და სამრეწველო საგნების ნაკლებობას, მაგრამ ამ საგნების განაწილების მოუგვარებლობა გაცილებით უფრო აუარესებს მდგომარეობას. კოოპერატიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ არიან გაწმენდილი უცხო ელემენტებისაგან. ხშირია შემთხვევა, როცა კოოპერატიულ მაღაზიაში გიპასუხებენ: ესა და ეს საქონელი არ მოგვეპოება, მაგრამ თუ კუნჭულებს დაათვალიერებთ, ნახავთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი საქონელი მიმალულია, ალბათ „კოოპერატორების“ — ნაცნობ - მეგობრებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე დამზადების საქმე. მართალია, ჩვენი ქვეყანა უფრო მომხმარებელი ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ მეტად ხელსაყრელი პირობები გვაქვს ზოგიერთ საგნების (მაგალითად ბოსტნეულის, ხილის და სხ.) დასამზადებლად. ეს შესაძლებლობები კი მინიმალურადაც ვერ გამოგვიყენებია. ჩვენი ერთ - ერთი კურორტი იძულებული შეიქნა კარტოფილი მეზობელ რესპუბლიკიდან მოეტანა ,მაშინ, როდესაც ამავე კურორტის მიდამოებში დამზადებული იყო 1.000 ფუთი კარტოფილი. ამ კარტოფილის გარშემო ხანგრძლივი დავა სწარმოებდა დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის. ეს დავა გაგძელდა მანამ, სანამ კარტოფილი სულ არ გაფუჭდა.

მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია ხშირად არა კეთილსინდისიერად ექცევა მომხმარებელს. არის შემთხვევები, როცა წარმოებებში კოოპერატიული კომისიები და პროფორგანიზაციები მუშებს ურიგებენ ორდერებს ამა თუ იმ საგნების მისაღებათ. მუშა მიდის მაღაზიაში რამოდენიმეჯერ და ყოველთვის უარით ბრუნდება უკან. ამ ხნის განმავლობაში გადის ორდერის ვადა და მოტყუებული რჩება მუშაც, პროფორგანიზაციაც და კოოპკომისიაც.

მოუგვარებელია აგრეთვე საზოგადოებრივი კვება. სასადილოებში ჯერ კიდევ მოიპოვებიან არასაბჭოთა და მიუღებელი ელემენტები.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. შემდეგ პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა შრომის გმირების სია.

პლენუმი დაიხურა.

მუშათა მასების მონაწილეობა

საკონტროლო ციფრების დამუშავებაში

პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობით მასების მონაწილეობამ 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების დამუშავებაში დიდი ნაყოფი გამოიღო და უზრუნველჰყო ამიერ - კავკასიის ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალური ტემპები. მთელ ამიერ - კავკასიაში საკონტროლო ციფრების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 100.000 მუშამ. ციფრების განხილვის დროს მთავარი ყურადღება მიექცა შინაგანი რესურსების მობილიზაციას, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლას, მთელი დღე-ღამეობით მუშაობის შემოღებას, წარმოების რაციონალიზაციას და სხვას.

მრავალმა ორგანიზაციამ საკონტროლო ციფრები განიხილა ამ ციფრების სამეურნეო ორგანიზაციების წარდგენამდე.

კოლექტიური განხილვის შედეგად მუშებმა საკონტროლო ციფრებში მრავალი მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს. ცალკე შემთხვევებში მათ საერთო პროდუქციის ზრდა, სამეურნეო ორგანიზაციების მაჩვენებლებთან შედარებით, გაორკეცებული რაოდენობით გაითვალისწინეს. მაგალითად: მუშებმა შესაძლებლად ჩასთვალეს თბილისის მაუდის ქარხნის საერთო პროდუქციის ზრდის აყვანა 1.644.000 მეტრამდე, მაშინ, როდესაც სამეურნეო მუშაკების პროექტში შეტანილი იყო მხოლოდ 1.000.000 მეტრი. აბრეშუმის საქსოვ ახალ ფაბრიკაში (საქართველო) მუშები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სავსებით შესაძლებელია ამ ფაბრიკის საერთო პროდუქციის აყვანა 1.104.000 მეტრამდე, ნაცვლად სამეურნეო ორგანოს საგეგმო განყოფილების მაჩვენებლის — 842.000 მეტრისა.

დამახასიათებელია, რომ მუშების ასეთ წინადადებებს თან სდევდა მათ მიერ დეტალურად დამუშავებული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ გამომუშავების ზრდის შესაძლებლობას (მრავალწყების შემოღება, ნედლეულის უკეთ გამოყენება, წუნდადებული საქონლის რაოდენობის შემცირება და სხვ.).

ასეთი სერიოზული შესწორებები მუშებს შეჰქონდათ არა მარტო რიცხვობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებშიაც.

წელს, მუშების წინადადებით, საკონტროლო ციფრებში პირველად შეიტანეს იმ ეკონომიის თანხები, რომლის მიღწევაც მოსალოდნელია წარმოების რაციონალიზაციის წყალობით.

ამ დიდ მუშაობას ბევრ შემთხვევაში აფერხებდა ის გარემოება, რომ მას სუსტად უჭერდნენ მხარს სამეურნეო მუშაკები და ზოგჯერ ცალკე სახელმწიფო დაწესებულებანიც კი (მაგალითი: რესპუბლიკანურმა სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა თითქმის არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოეწყოთ დასამუშავებელ საკითხებში კონსულტაცია მუშებისათვის). მიუხედავად ამისა, მასებმა ამ მუშაობაში დიდი აქტიობა გამოიჩინეს და საგრძნობი დახმარება გაუწიეს სახელმწიფოს.

ორშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე, საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების საზაფხულო კლუბში შესდგება

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

დღის წესრიგშია ამხ. ჩაპლინის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობის შედეგების შესახებ.

საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ.-ის, თბილისის კომიტეტის, საკ. ა. ლ. კ. კ. ა. კ. საოლქო კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ბილეთებით, რომლებსაც დაარიგებენ სათანადო რაიკომები.

კულტურული კავშირი უცხოეთთან

ქართული ხელოვნების გამოფენა გერმანიაში

(წერილი ბერლინიდან)

ორი წლის მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, რომელსაც ბევრი ნივთიერი ღონისძიებაც დასჭირდა და ენერგიაც, უცხოეთთან კულტურული კავშირის გაბმა უკვე საბოლოო განხორციელების ფაზისში ჩადგა. იმ თავითვე სამი მთავარი საკითხი იყო მუშაობის ცენტრში მოქცეული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთს შედარებით, მეორეხარისხოვან საკითხებს, როგორიცაა წიგნების გაცვლა-გამოცვლა, მეცნიერთა მივლინება, მათი ლექციების მოწყობა-ჩატარება და სხვ. მთავარი საკითხი კი მთელი ამ წინასწარი მუშაობის განმავლობაში იყო: 1) ჩვენი ხელოვნების, განსაკუთრებით საშუალო საუკუნოების ძეგლების გამოფენა უცხოეთში, 2) არქეოლოგიური გათხრები ჩვენში და 3) უმაღლესი საკვლევა-ძიებო ინსტიტუტი თბილისში, რასიული პათოლოგიის შესწავლის მიზნით.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინასწარ ზოგიერთ ზომებს მე-2 და მე-3 საკითხის შესახებ, როგორც მაგ. პროფ. ი. ზაუერის მიერ (რომელიც სპეციალურად მოვლინებული იყო საქართველოში) ნაქალაქევის, მცხეთის და სხვ. ადგილების დათვალიერებას და აგრეთვე ბერლინსა და მოსკოვის ტვინის საკვლევ ინსტიტუტის დირექტორის პროფ. ოსკარ ფოხტის პროექტს, რომელიც თბილისში შესწავლილ იქნა, მაშინ მთავარი და უფრო მომზადებული არის გამოფენის საკითხი.

გამოფენის ექსპონატების საგანგებო ვაგონი თბილისიდან მოსკოვამდე შედარებით მალე ჩამოვიდა. ექსპონატები ჩამოვიდა 4 ივლისს. ბერლინში, სადაც, თანახმად პირობისა, გადაბარების პროცედურა იქნა შესრულებული, დამშვიდდა საზოგადოებამ აღიარა ნივთების უნაკლოდ ჩამოსვლა, ხოლო მთელმა კომისიამ სცნო არა მარტო სურათების და სხვა, არამედ თვით ყუთების მხატვრული შესრულებაც, რისთვისაც მადლობა უნდა გამოეცხადოს განათლების კომისარიატის სამნეო განყოფილებას, რომელმაც ეს საქმე იკისრა და პირნათლად შეასრულა. ასეთივე მადლობის ღირსია სამხატვრო გალერეის გამგე მხატვარი დ. შევარდნაძე, რომლის გეგმით და ხელმძღვანელობით ჩალაგებული, ხშირად მეტად სათუთი, ნივთი უნაკლოდ და დაუზიანებლად ჩამოვიდა.

ჩამოსვლის უმალ მოხდა სხდომა ჩვენი მომწვევი „აღმოსავლეთის შემსწავლელ გერმანულ საზოგადოების“ შენობაში. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდენ დ-რ იონას, პროფ. გ. ჩუბინაშვილი, პროფ. ნუცუბიძე და სხვ. ამავე დროს ბერლინში ჩამოვიდა ამხ. დავ. კანდელაკი, რომელიც დაესწრო საბოლოო სხდომას, სადაც შემუშავებულ იქნა გამოფენათა პროგრამა როგორც ბერლინისათვის, ისე სხვა ქალაქებში; ამავე კრებაზე დამტკიცებულ იქნა კატალოგის ფორმა და მოცულობა. ამავე ხნის განმავლობაში დავათვალიერეთ დარბაზი, სადაც განზრახული იყო გამოფენის გახსნა. გერმანელებს საგანგებო ფერის მატერია გადაკრული კედლები და ლიხარები დაემზადებიათ გამოფენისათვის და პროფ. ჩუბინაშვილთან ერთად, გამოფენის რამოდენიმე სპეციალისტი მსჯელობდენ რა გეგმაზე უნდა მოეწყოს და დალაგდეს ექსპონატები.

რადგან ჩვენ ძალიან დავაგვიანეთ, დარბაზისათვის მთელი ბრძოლა დაგვხვდა გამართული, თავი რომ დავანებოთ დიდ ხარჯს, რაც ჯდებოდა ამ ვეებერთელა დარბაზის ქირა, რადგან იგი ცენტრშია,პოსტდამის მოედნიდან სულ რამოდენიმე ნაბიჯი — თვით დარბაზს მოითხოვდენ სხვადასხვა ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა საქმე გაურთულებლად მოაგვარეს და დაიწყო გამოფენის სამზადისი, რომელსაც პროფ. გ. ჩუბინაშვილი დაუღალავად ხელმძღვანელობდა.

ჩვენ ჩამოსვლისას მინისტრი შმიდტ ოტი სამოგზაუროდ იყო წასული. მათთანვე იყო ჩვენი არქეოლოგიურ წარმოებათა ექსპერტი ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. იოსებ ზაუერი. მინისტრ შმიდტ-ოტს აცნობეს დეპეშით ჩვენი ჩამოსვლა. მან შესწყვიტა მოგზაურობა და დეპეშითვე ორი დღის შემდეგისათვის დანიშნა სხდომა.

სხდომა, რომელიც მინისტრ შმიდტ ოტის თავმჯდომარეობით გაიხსნა, არქეოლოგიურ გათხრების და სამეცნიერო ინსტიტუტის თბილისში გახსნის საკითხების განხილვას ისახავდა მიზნად.

სხდომას გერმანელების მხრივ დაესწრნენ გარდა თავმჯდომარისა—შმიდტ-ოტისა, გენერალური მდივანი დოქ. იონას და გამოჩენილი გერმანელები — მათ შორის პროფ. ოსკარ ფოხტი (პიონერი და მეთაური მთელ მსოფლიოში ტვინის ანატომიური განაკვეთებით მისი ფენების მიხედვით შესწავლისა. მას საგანგებო ინსტიტუტი აქვს მოსკოვში და განსაკუთრებით ბერლინში, სადაც სხვათა შორის მოთავსებულია ლენინის ტვინის განაკვეთის პრეპარატი), ცნობილი ისტორიკოსი — ედუარდ მაიერი, ცნობილი არქეოლოგი ვიგანდი, რომელმაც თორმეტი წლის მუშაობის შემდეგ გათხარა პერგამონის სამეფოს ძეგლები და მათგან დღეს უდიდეს მუზეუმს აგებს ბერლინში. აგრეთვე ცნობილი არქეოლოგი უნფერცაგტი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია მცირე აზიის არქეოლოგიურ სამუშაოებში და სხვ.

კრების დასაწყისში მინისტრ შმიდტ ოტმა წარმოსთქვა სიტყვა, საიდანაც სჩანდა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ზოგიერთ ნაბიჯებს გაუგებრობა გამოუწვევია გერმანულ სამეცნიერო წრეებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ვითომდა შექმნილ ცენტრს საქართველოში კულტურულ კავშირის გასაბმელად. ჩვენ დაუყოვნებლივ მოვსპეთ ყოველგვარი გაუგებრობის შესაძლებლობა და ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობასთან ბერლინში არსებულ კულტურულ სექციის თავმჯდომარე ამხ. ლორენცთან ერთად განვაცხადეთ, რომ ჩვენის მხრივ არ არსებობს არავითარი დაბრკოლება კულტურულ თანამშრომლობის გაგრძელებისა და მისი კიდევ უფრო გაღრმავებისათვის, რასაც მოწმობს ექსპონატების გამოფენისათვის მომზადება, რაც დიდი ფული დაუჯდა საბჭოთა მთავრობას და აგრეთვე თვით ჩვენი აქ კრებაზე მოსვლა, სადაც ჩვენ უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე გვინდა დავაყენოთ წინასწარ მოლაპარაკების საფეხურ განვლილი საკითხები.

ამით ამოიწურა მთელი გაუგებრობა. საკითხების განხილვით გამოირკვა, რომ პროფ. ი. ზაუერს, რომელიც ჩვენი გათხრების მთავარი ექსპერტია, სარექტორო მოღვაწეობასთან დაკავშირებით მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეეძლო ჩამოსვლა. ამიტომ კრებამ განიხილა ძირითადი საკითხები. ვადაწყდა, რომ გათხრები ნაქალაქევში დაიწყება ამ შემოდგომაზე, ხოლო მცხეთაში — გაზაფხულზე. ვადები იცვლება გადაუდებლად. მცხეთას აგვიანდება, რადგან მისთვის დანიშნული ხელმძღვანელი ამჟამად იერუსალიმში ხელმძღვანელობს გათხრებს და მხოლოდ გაზაფხულისათვის განთავისუფლდება და იქიდან პირდაპირ საქართველოში უნდა წამოვიდეს. ნაქალაქევის გათხრის ხელმძღვანელი პროფ. უნფერცაგტი ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდეს საქართველოში.

ჯერ-ჯერობით გერმანელები აპირებენ საცდელ გათხრას, ხოლო თუ ეს იმის მაჩვენებელი აღმოჩნდა, რომ აზრი ნაქალაქევის შესახებ გამართლდა, ე. ი. რომ ის მართლა „არქეოპოლის“ არის, მაშინ დაიწყება სისტემატიური და გეგმიანი გათხრა. დაწყებითი სამუშაოს თანხაც გამორკვეულ იქნა აქვე კრებაზე. უნდა აღინიშნოს განსაკუთრებული ინტერესი საქმისადმი არქეოლოგ ვიგანდის. სხდომის შემდეგ მან მითხრა — „მთავარია, რომ ჩვენ დავიწყოთ საქმე და თუ რამე აღმოჩნდება, სანამ არ შევასრულებთ, არ მოვისვენებთ, — პერგამონის გათხრა სკეპტიკურად დაიწყო და შემდეგ თორმეტი წლით მთელი ოჯახობით სტამბოლში გადავსახლდი მისი სახელმძღვანელოდ. როგორც საცდელი გათხრა რასმეს გამოარკვევს, მე თვითონ წამოვალ საქართველოში“-ო.

როგორც წინასწარ მიწერ-მოწერის დროს, ისე ეხლაც გერმანელებმა აუცილებლად დაინახეს ქართველ ახალგაზრდა არქეოლოგების მათთან მივლინება თანამშრომლობის მიზნით. ჩვენ აღუთქვით ასეთი თანამშრომლების მივლინება და თანახმად მათი სურვილისა დაუსახელეთ კიდეც.

გათხრების საკითხის დეტალების გამოსარკვევად არჩეულ იქნა კომისია. მან რამოდენიმე დღიში მოამზადა მასალა საგანგებო სხდომისათვის, რომელიც მოწვეულ იქნა გერმანულ არქეოლოგიურ ინსტიტუტის შენობაში. ამ კრებაზე დასასწრებლად ფრაიბურგიდან საგანგებოდ ჩამოვიდა არქეოლოგი პროფ. იოსებ ზაუერი; ჩვენი კრების წინ გერმანელ არქეოლოგიურ ინსტიტუტის წევრების კრება მოეწყო. კრების დამთავრებისას გერმანიის სიძველეთა და ისტორიის მეცნიერებათა ბურჯები, მათ შორის ვილლამოველ - მოელენდორფი, ედუარდ მაიერ, ვიგანდი, ზაუერი მეგობრულად მოგვესალმნენ. დაუყოვნებლივ გაიხსნა თათბირი ჩვენ საკითხებზე ე. ი. ნაქალაქევის და მცხეთის გათხრაზე. ჩვენის მხრივ იყვნენ პროფ. ჩუბინაშვილი და შალვა ნუცუბიძე; საბოლოოდ გარკვეულ იქნა ყველა საკითხები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნაქალაქევის ფერდობს გააპობს არქეოლოგიის პირველი ნიჩაბი. ჩვენს მთავრობას უფლება ექნება იამაყოს, რომ საქართველოში—არქეოლოგიური ნაშთებით მოფენილ ქვეყანაში, სადაც არქეოლოგია აქამდე მხოლოდ საოცნებო იყო მეცნიერულ არქეოლოგიას მხოლოდ საბჭოთა მთავრობის დროს ჩაეყრება საფუძველი.

ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ ჩვენი ჩამოსვლით გამოწვეულ ჩვენი ორგანიზაციებსა და გერმანელ წრეებს შორის ურთიერთობის გაცხოველებას. პირველი საზეიმო შეხვედრა მოეწყო ჩვენს წარმომადგენლობაში. დაესწრო ამხ. კრესტინსკის მოადგილე ამხ. ბროდოვსკი. (კრესტინსკი მოსკოვში იყო წასული) ამხ. ლორენცი და სხვ. გერმანელები მრავლად იყვნენ: საგარეო უწყების თვალსაჩინო წევრები, კერძოდ აღმოსავლეთის განყოფილების გამგე; აქვე იყო მინისტრი შმიდტ-ოტი, პროფ. აკადემიკოსი ედუარდ მაიერი, ვიგანდი, ფოხტი, იონას, და სხვ. შემთხვევით ჩემს გვერდში იჯდა ედუარდ მაიერი. როცა ლაპარაკი ჩვენს არქეოლოგიურ გათხრებზე იყო და მე საქართველოს მეცნიერების სახელით მადლობა უთხარი ჩვენთან თანაგრძნობით მოპყრობისათვის, მან მიპასუხა:—„ჯერ-ჯერობით ჩემი როლი ძალიან პასიურია. უნდა გითხრათ, ძალიან მაინტერესებდა საქართველოში ჩამოსვლა, მე ძალიან ვწუხვარ, რომ არ ვისარგებლე შემთხვევით, როცა საკავშირო აკადემიის ორასი წლის იუბილეზე ვიყავი“.

მეორე საზეიმო შეხვედრა მოეწყო გერმანელების მხრივ. — დაესწრო მთელი ჩვენი წარმომადგენლობა გარდა ისევ ამხ. კრესტინსკისა, მთელი რიგი იმავე პირების გერმანელების მხრივ. მეცნიერთა შორის ახალი პირი იყო ცნობილი ფიზიკოსი მაქს პლანკი, მიუხედავად თავისი 84 წლისა, საკმაოდ მხნე და საგანგებოდ ჭკუამახვილია. როცა ლაპარაკი გაიმართა პატარა წრეში, სადაც სხვათა შორის შმიდტ-ოტი, ედუარდ-მაიერი და მაქს პლანკი იყო, იმის შესახებ, თუ რამდენად ადევნებენ ქართველი მეცნიერები თვალყურს ევროპის და კერძოდ გერმანულ მეცნიერებას, მე მივმართე ედუარდ მაიერს და ვუთხარი, რომ მას ქართველი ისტორიკოსები კარგად იცნობენ და ხშირად ასახელებენ თავის ნაშრომებში-თქო, მაქს პლანკმა ხუმრობით განაცხადა,—„მეც უსათუოდ აინშტაინის წყალობით მიცნობენ, რადგან როცა ძველ ფიზიკაზე ლაპარაკობენ, მე უსათუოდ მასახელებენ“-ო. საზოგადოდ საკვირველია გერმანელ მეცნიერების ხნიერობა: ედუარდ მაიერი 83 წლისაა, ვილლამოველ-მოელენდორფი 87-ის და ყველანი კიდევ განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას. ზეიმზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა ქართულ კულტურის და მის დღევანდელ ხელმძღვანელობის შესახებ შმიდტ-ოტმა. ამხ. კანდელაკის პასუხმა, გადათარგმნილმა დ-რ იონასის მიერ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მესამე საზეიმო შეხვედრა იყო მინისტრ შმიდტ-ოტის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო აღმოსავლეთის შემსწავლელ გერმანელ საზოგადოების მიერ მოწყობილ საიუბილეო საღამოზე. ამ იუბილეს მიეცა აღმოსავლეთის კულტურის შესწავლის იერი და გაიხსნა პროფ. ჩუბინაშვილის მოხსენებით „ქართულ ხელოვნების განვითარების მთავარი ეტაპების შესახებ“. საღამოს დიდი საზოგადოება დაესწრო. მთელი კულტურული გერმანია აქ იყო. მოხსენება განსაკუთრებული ცოდნით და ოსტატობით იქნა გაკეთებული, ბრწყინვალე სანათით ნაჩვენები სურათები განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდენ. მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითონ იუბილიარი, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს წარსულის და აწმყოს შესახებ და მადლობა გადაუხადა გერმანიის სამეცნიერო ორგანიზაციების სახელით საბჭოთა მთავრობას, რომლის წყალობით მოეწყო ეს ძვირფასი გამოფენა.

შემდეგ გაიმართა დიდი ბანკეტი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვეს— ჩვენი ელჩის მოადგილემ ამხ. ბროდოვსკიმ, „ოსტეუროპას“ თავმჯდომარის მოადგილემ პროფ. ჰოეჩმა და პროფ. შალვა ნუცუბიძემ და თვით იუბილიარმა.

თავისთავად ცხადია, რომ ცენტრალური ადგილი მთელ დასახელებულ ფაქტებს შორის გამოფენას უჭირავს. გახსნა მოხდა 8 ივლისს დღის 12 საათზე. დანიშნულ დროისათვის დიდი დარბაზი ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტისა გავსებული იყო ხალხით.

გერმანელ მთავრობის და საგარეო საქმინისტროს სახელით სიტყვა სთქვა ელჩმა ფრაიტაგმა, საბჭოთა მთავრობის სახელით—ელჩის მოადგილემ ამხ. ბროდოვსკიმ. პროფ. ჩუბინაშვილმა მოკლე წინასწარი განმარტების შემდეგ მოაწყო სურათების და ძეგლების ჩამოვლა და ახსნა.

გამოფენამ იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა. არ დარჩენილა არც ერთი გავლენიანი თუ პატარა გაზეთი, რომ რაიმე არ დაეწერა; თვით დამსწრე საზოგადოება, როგორც სპეციალისტები,ისე ჩვეულებრივი მნახველი,გაოცებული იყო. აქვე გადაწყდა გაეგზავნოს დეპეშა საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს; წინადადება და ტექსტი მინისტრ შმიდტ-ოტის ეკუთვნის.

საუკუნოების განმავლობაში ჩამონგრეულ კედლებიდან გამომზირალ ქართულ ძეგლების წინაშე გაკვირვების სახემ მოიცვა სპეციალისტები და გაისმა—„სენსაცია ხელოვნების ისტორიის მეცნიერებისათვის“.

პროფ. შალვა ნუცუბიძე.

ბერლინი, ივლისი.

საზოგადოებრივი კვების შემოწმებამ საჭირო შედეგები ვერ მოგვცა

შემოწმების დროს აღმოჩენილი დეფექტები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასადილოებში სადილის ხარისხი უარესდება

ნუ შევანელებთ ბრძოლას საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის

მეტი ყურადღება საზოგადოებრივ კვებას

[illegible] თვეა, რაც დამთავრდა საზოგადოებრივ კვების შემოწმება. შემოწმების მიზანი იყო საზოგადოებრივი კვების დეფექტების გამომჟღავნება, მათი აღმოფხვრა და კვების საქმის შემდგომი გაუმჯობესება.

რა მივიღეთ სინამდვილეში? პრაქტიკულად შემოწმების დასრულების შემდეგ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის. თითქმის ყველა ორგანიზაციებმა, რომლებსაც კი აქვთ კავშირი საზოგადოებრივ კვებასთან, თავი მიანებს კვების გაუმჯობესების საქმეს და ძველებურად უყურადღებოთ დასტოვეს. მართალია, კვების მდგომარეობის შემოწმების შემდეგ მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში გაიხსნა მუშათა სასადილოები და თბილისის მუშათა კოოპერატივმაც გახსნა რამოდენიმე წითელი სასადილო ქალაქში, მაგრამ ამით დიდად არ გაუმჯობესებულა კვების ხარისხი და არ გაიაფებულა სადილი.

თბილისის მთელ რიგ სასადილოებში, კერძი, გაიაფების მაგიერ, უფრო გაძვირდა, მისი ხარისხი გაუარესდა და სხ. ეს ითქმის განსაკუთრებით ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და სხვა არტელების სასადილოებზე. იშვიათად ნახავთ ისეთ სასადილოს, სადაც დაცული იყო სისუფთავე. მაგალითად, მუშკოოპის მე-23-ე სასადილო (ქორესის ქ.), როცა არ უნდა შეხვიდეთ იქ, ნაგავით არის სავსე. სისუფთავეს აქ არ ექცევა ყურადღება. უარესი მდგომარეობაა ყრუ-მუნჯთა სასადილოებში.

ყველაფერი ესკი აიხსნება იმით, რომ საზოგადოებრივი კვების შემოწმებამ ვერ მოგვცა საჭირო შედეგები.

შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ სასადილოების უმრავლესობაში მოკალათებულია ისეთი ხალხი, რომლებსაც არაფრად აინტერესებთ საზოგადოებრივი კვების საკითხი. ცხადია შემოწმების შედეგად უნდა მიგვეღო სასადილოების გაწმენდა ასეთი ხალხისაგან, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა სასადილოების მუშაობას, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა. სასადილოებში ჯერ კიდევ მაგრად არიან მოკალათებული ძველი ვაჭრები, რომლებიც თავიანთი საქციელით ხელს უშლიან საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საქმეს. ყრუ-მუნჯთა დამხმარე საზოგადოების სასადილოები სავსეა ასეთი ხალხით.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მუდმივი მასიური კონტროლი საზოგადოებრივ კვებაზე, ჯერ კიდევ არ არსებობს. არც ერთ პროფორგანოს ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მუშებმა აიღონ შეფობა სასადილოებზე და დაეხმარონ მათ კვების გაუმჯობესებაში. საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესება არ შეიძლება მოხდეს კამპანიებით. ამისათვის საჭიროა მუდმივი მუშათა კონტროლის დაწესება. სამწუხაროდ ეს არ კეთდება.

საერთოდ, საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელ ორგანოებმა, შემოწმების შემდეგ სავსებით მიივიწყა ეს საკითხი. მათი აზრით საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის საკმარისია მარტო შემოწმება და კრიტიკული სურვილები. დაავიწყდათ ის გარემოება, რომ ბრძოლა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის ჯერ სათანადოთ არც კი დაწყებულა.

ტ—ძე.

გვაძლიეროთ მასიური კონტროლი საზკვებაზე

(ქუთაისი)

საზოგადოებრივი კვების შემოწმება ქუთაისში კარგა ხანია დამთავრდა.

შემოწმებამ გამოარკვია, რომ თითქმის ყველა ადგილზე საზოგადოებრივი კვების საქმე ცუდად იყო დაყენებული. სასადილოებში მზადდება ძვირფასიანი სადილი და მასთან უვარგისი, აგრეთვე სასადილოები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და სხვა.

მართალია შემოწმების შემდეგ კვების საქმე ნაწილობრივად გაუმჯობესდა, მაგალითად: სადილები ზოგან მზადდება ხელმისაწვდომ ფასებში და სხვა, მაგრამ შემოწმებამ სასადილოების მდგომარეობა კიდევ სავსებით ვერ გამოასწორა ისე, რომ იგი შეეფარდებოდეს დღევანდელ პირობებს.

და ეს იმიტომ, რომ შემოწმება არკვევდა მხოლოდ ნაკლს და მისი გამოსასწორებელი პრაქტიკული ზომები კი არ მუშავდებოდა, თუ როგორ და რა გზით გამოსწორებულიყო ნაკლი.

პროფსაბჭოსთან არსებული კვების შემოწმების ხელმძღვანელ შტაბს ევალება ნაკლოვანებათა გამოსასწორებელი ღონისძიებათა დამუშავება, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბრიგადის მიერ შემოწმების დროს ნაკლიდან მეტი პრაქტიკული ზომების გამონახვა შეიძლება, რაც დიდად შეუწყობდა ხელს ხელმძღვანელ შტაბს შემდგომ მუშაობაში და მასთან დააჩქარებდა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას.

ჩვენ აქ უნდა ავიღოთ მაგალითი ქუთაისის მაუდის ფაბრიკიდან, რომლის მუშა-მოსამსახურეებმა აიღეს შეფობა ქუთაისის მუშკოოპზე და მის სასადილოებზე.

რას ისახავს ეს შეფობა მიზნათ? მაუდის ფაბრიკამ წინასწარ გასაზღვრა თუ რაში უნდა გაუწიოს მუშკოოპს შეფობა.

შეფი ფაბრიკა უწევს მუშკოოპს თავის მუშაობაში მასიურ კონტროლს, თუ როგორ და რა რიგად ხელმძღვანელობს მუშკოოპი თავის სასადილოებს, როგორია სასადილოების მდგომარეობა, ხომ არ აქვს სურსათის წახდენას ადგილი, სასადილოების მომარაგება აკმაყოფილებს თუ არა მშრომელი მასის მოთხოვნილებას კარგი ხარისხიანობის ანდა მისი ღირებულების მხრით ან და როგორია სასადილოს შემადგენლობა—შტატი. რადგანაც ხშირია შემთხვევა, რომ სასადილოებში შტატი დიდია, რაც იწვევს სადილის გაძვირებას.

აგრეთვე შეფი უწევს მას შეძლებისდაგვარად მატერიალურ დახმარებასაც. ფაბრიკამ ჯერ-ჯერობით შეამოწმა სასადილოს შტატი.

ასეთი შეფობა აუცილებლად გააძლიერებს საზოგადოებრივი კვების საქმეს.

საჭიროა მუშკოოპებმა გამოსთქვენ ამ საკითხის ირგვლივ თავიანთი აზრი, რადგანაც კვების საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და მის მოწესრიგებაზეა დამოკიდებული მშრომელთა მასის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ალ. შენ—ია.

როგორ მუშაობენ ბუფეტები რკ. გზებზე

სადგურის ბუფეტებიდან კერძო მოიჯარადრეები განდევნილ იქნენ და ეს საქმე გადაეცა სატრანსპორტო კოოპერაციას. ამიერკავკ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას დავალებული ჰქონდა რკინის გზაზე აეგო 104 ბუფეტი. ეს დავალება საზოგადოებამ ვერ შეასრულა. მან ბუფეტები გახსნა მხოლოდ 27 სადგურში, მაგრამ იქაც ვერ შესძლო საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. მთელ რიგ გამოკვლევებიდან დამტკიცდა, რომ ბუფეტებში სურსათ-სანოვაგის მარაგი არ მოიპოება, იქ დამზადებული საჭმელები მდარე ხარისხისაა. ბუფეტებში ანტისანიტარიაა გამეფებული. ქვაბებს არ კალავენ, პურჭელი არ მოიპოებათ საჭირო რაოდენობით და რაც მოეპოებათ, მასაც არ ულიან. ფასები საჭმელებზე დიდია და მშრომელთათვის ხელმიუწვდომელი. ბუფეტებში გამეფებულია ლოთობა. მიუხედავად სპეციალური ბრძანებისა, რომელიც კრძალავდა მაგარი სასმელებით ვაჭრობას, სადგურებში არაფერი არ იქნა გაკეთებული.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მგზავრებს საშუალება არ აქვთ ისარგებლონ ბუფეტებით, რადგან უკანასკნელები ყოველთვის სავსეა ადგილობრივი მცხოვრებლებით. რკინიგზელებით. იყო გამოცემული გზათა კომისარიატის ბრძანება, რომ სახალხო მატარებლების გავლის დროს ბუფეტებში არ დაეშვათ ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგრამ ამ მხრივაც ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ეხლა, სატრანსპორტო კოოპერაციის ლიკვიდაციის შემდეგ, ბუფეტების საქმე რკინის გზაზე უფრო გაუარესდა. სატრანსპორტო კოოპერაციის ფუნქციების საერთო-სამოქალაქო კოოპერაციაზე გადასვლით შეიქმნა ერთგვარი გაურკვევლობა. გზის ადმინისტრაციამ აღარ იცის ვისთან დაიკავოს საქმე. სამოქალაქო კოოპერაციას გამოცდილება არ მოეპოება ამ საქმეში და იგი არავითარ ზომებს არ ღებულობს ახალ ბუფეტების გასახსნელად. პირიქით, არის ცნობები, რომ სატრანსპორტო კოოპერაციის ლიკვიდაციის შემდეგ გზაზე ბუფეტების რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა.

იყო დადგენილება, რომ ამ საქმეში ჩაებათ არტელები, მაგრამ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა.

კვების საქმე კვლავ მოუგვარებელია

(ბათომი)

ბათომში ჩატარდა საზოგადოებრივი კვების შემოწმება. მუშათა ბრიგადების გამოკვლევით და პრაქტიკული მითითებით, კვება თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ ამ უკანასკნელად საზოგადოებრივი კვება უფრო უარესდება. კერძოდ ბათომის მუშკოოპის № 6 სასადილოში, უსუფთაობას აქვს ადგილი, პურჭელი უსუფთაოა, საჭმელში ხშირად შეხვდებით ბუზებს და სხვა. ამასთან სადილი ძვირია ისე, რომ მუშას ბიუჯეტი მას ვერ იტანს. სასადილოში მომუშავეებს სადილის მიმტანებს — არა აქვთ სპეცტანსაცმელი და სხვა. სამაგიეროთ სასადილოში ბლომად იშოვება ღვინო. სასადილოს გამგე მოქ. გვიბერიძე სათანადოთ ვერ ზრუნავს კვების მოგვარებისათვის.

არც სხვა სასადილოშია კვების საქმე კარგად. ამ მხრივ ბათომის თითქმის ყველა სასადილოები ერთნაირ მდგომარეობაში არიან. ინტერნატებში კვების საქმე ძალზედ ცუდია. ჩვენის აზრით, ნაცვლად არსებულ თვითეული ინტერნატის პატარა სასადილოებისა, საჭიროა მუშკოოპმა გახსნას ერთი მთლიანი სასადილო ყველა ინტერნატებისათვის. ინტერნატები ერთმანეთზე ახლოს არიან და ეს სრულიად ადვილია. ამასთან საჭირო იქნება სასადილოზე მყოფ ახლო ქარხნებიდან გამოიყოს ნებაყოფლობის საფუძველზე მუშაბრიგადელები, რომლებიც გაუწევენ მუდმივ მეთვალყურეობას სასადილოებს. ასეთი მუშათა ბრიგადების შექმნა საჭირო იქნება არა მარტო ბათომში, არამედ სხვა ადგილებშიდაც. აღნიშნულ საკითხებს ყურადღება დროით უნდა მიექცეს.

დავით გაბრიაძე.

კვება არ გაუმჯობესებულა

(ზესტაფონი)

„საქსახმრეწვმშენი“-ს სამუშაოებზე ათასამდე მუშა მუშაობს. 4 თვეა, რაც გამოყოფილი იქნა კომისია მუშათა კვების საქმის მოგვარებისათვის, რომელსაც დაევალა სურსათ-სანოვაგით მომარაგების შემოწმება, მაგრამ კომისია „ეპოს“ თავმჯდომარემ ახლოსაც არ გაიკარა და აბუჩად აიგდო, მუშებისათვის არ არის პირველ მოთხოვნილების საგნები. უკანასკნელად „ეპო“-მ გახსნა პატარა ფარდული სამუშაოებზე, მაგრამ შიგ არაფერი არ მოიპოება. აქვე გახსნეს სასადილო, სადაც მოკალათებულია არასიმედო ხალხი. მაგ., დამლაგებლად აქ ბრძანდება ვინმე ამილახვარი, რომელიც ზნეობრივად გახრწნილია, ზოგიერთ „დიდ“ კაცებს ამის გასამართლებელ საბუთად მოჰყავთ ის, რომ ამილახვარი, სამსახურში მიღებით ჩამოცილდება თავის გახრწნილებას. ეს მხოლოდ თავის ტყუებაა და სხვა არაფერი.

სამზარეულოში არიან ისეთები, რომლებსაც არაფერი გაეგებათ თავის მოვალეობის. ეს ვაჟბატონები მუშებს უხეშად ეპყრობიან, მაშინ, როდესაც მუშა სთხოვს სადილს დაჩქარებით, ისინი უპასუხებენ: „თუ გეჩქარება, წადი, როდის დაგპატიჟე, რომ მოდიო“. იხარშება ძალზედ ცუდი ხორცი, გამომცხვარი პური ცუდია და სხვ.

სულორისპირელი.

აუტანელი სიძვირე სადგ. ფოთის ბუფეტებში

ბევრი წერილი დაიწერა სად. ფოთის ბუფეტების შესახებ, მაგრამ მის გამოსწორებას ვერაფერი ეშველა. უსუფთაობა, სიძვირე, ფასების ხელოვნურად გადიდება, მომხმარებლებისადმი უხეში მოპყრობა და სხვ.—აი რას ვხედავთ სად. ფოთის ბუფეტებში.

უკანასკნელ ხანებში თბილისიდან გვეტუმრა „ზაკტპო“-ს ბუფეტების გამგე რუხაძე, რომელსაც თან მოჰყვა ზევიდან დანიშნული ახალი გამგე, ახალი იმედებით ვინმე სტაჟაძე. მაგრამ ნათქვამია, ვინც ბევრს ლაპარაკობს, ის არაფერს აკეთებსო, და სწორეთ ასეც მოხდა. სტაჟაძემ მთლად გააუარესა პირობები, სტაჟაძე გამოდგა სტაჟიანი მჭამელი. დილიდან საღამომდე ჭამაშია გართული და საქმეზე კი არ ზრუნავს.

დროა სადგ. ფოთის ბუფეტებს მიექცეს ყურადღება, თორემ სტაჟაძის ტრაბახით და ბევრი ლაპარაკით საქმე არ გაკეთდება.

კოოპერატორი.

რიონჰესის მთავარი ჯებირის მშენებლობა

ვინ აფერხებს

მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას

წელს საქციო საზოგადოება „ოვცევოდ“-ი აწყობს მეცხვარეობის სამ დიდ საბჭოთა მეურნეობას: აზერბეიჯანში მინგეჩაურის სადგურთან — 32.000 ცხვრით 1930-31 წლისათვის, სომხეთში ალაგეზის რაიონში — 32,000 ცხვრით იმავე 1930-31 წლისათვის და ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკაში ბეიუკ-დუზში — 20,000 ცხვრით. სამშენებლო მუშაობა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ჯიშიანი დედალი ცხვრის სიმცირე აფერხებს საქმეს. „სოიუზმიასო“ ძალიან აჭიანურებს ცხვრის გამოგზავნას. მას, ხელშეკრულების თანახმად, „ოვცევოდ“-ისათვის 1 აგვისტოს უნდა ჩაებარებია 8,000 ჯიშიანი დედალი ცხვარი, მაგრამ აქამდე მხოლოდ 1,309 (16 პროც.) დედალი სული ცხვარი ჩაბარა. ცხვარი კი „სოიუზმიასო“-ს საკმაოდ მოეპოება თავის ფარაში. „ოვცევოდ“-ი მოითხოვს ჯიშიანი დედალი ცხვრის დაუყოვნებლივ მიწოდებას საბჭოთა მეურნეობებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიშლება დაგრილების კამპანია.

მომავალ წელს გეგმის მიხედვით მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოგვცენ 22,000 სახორცე ცხვარი ამიერ-კავკასიის მუშათა ცენტრებში გასანაწილებლად. წელს კი საბჭოთა მეურნეობები ამავე მიზნისათვის გვაძლევენ 2.000 სულ სახორცე ცხვარს.

საერთო ტერიტორიალური შეკრების წინ

საერთო ტერიტორიალური შეკრება დაიწყება 20 აგვისტოს ზემო-ავჭალის ბანაკში. — შეკრებიდან არ იქნება განთავისუფლებული არც ერთი ცვალებადელი. — სოფლის საბჭოებმა და მილიციის ორგანოებმა დროზე უნდა აცნობონ ცვალებადელებს შეკრებაზე გამოცხადების ვადა.

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზია ემზადება საერთო მორიგ ტერიტორიალური შეკრებისათვის.

დღევანდელ პირობებში, როდესაც იმპერიალისტები გაცხოველებით აწარმოებენ საომარ მზადებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, შეკრებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. შეკრებამ ერთხელ კიდევ უნდა გაუსვას ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოს მშრომელები—მუშები და გლეხები— ყოველთვის მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარი და წითელი საზღვრები.

შეკრებასთან დაკავშირებით პარტიულ, კომკავშირის და საბჭოთა ორგანოებს ეკისრებათ დიდი მოვალეობა. ცვალებადი შემადგენლობა გაფანტულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ბევრმა ცვალებადელმა დასტოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ზოგი ცვალებადელი წასულია საზაფხულოდ სამუშაოდ სხვა ადგილას ქალაქიდან და სოფლიდან. საბჭოთა ორგანოებმა, სოფლის საბჭოებმა და რაიონულმა აღმასკომებმა უნდა მიიღონ ზომები და დროზე აცნობონ ცვალებადელებს შეკრებაზე გამოცხადების ვადები. ა.-კ. ცაკის და ა.-კ. სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 3 ივნისის დადგენილება ავალებს სოფლის საბჭოების და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს და მილიციის ორგანოებს მიიღონ ენერგიული ზომები შეკრების წარმატებით ჩატარებისათვის, დროზე აცნობონ ცვალებადელებს შეკრებაზე გამოცხადების ადგილი და ვადები. ეს დადგენილება აკისრებს ზემოხსენებულ ორგანოებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადელები შეკრებაზე გამოცხადდებიან დაგვიანებით.

შეკრებამდე დარჩენილია ძალიან ცოტა დრო. დაუყოვნებლივ მიღებული უნდა იქნეს ზომები ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გასაშლელად შეკრების ამოცანების ირგვლივ. ამ მუშაობისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოების პლენუმები, გლეხებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო კრებები და სხვ. სოფლად აუცილებლად უნდა მოეწყოს ცვალებადელთა საზეიმო გაცილება შეკრებაზე.

შეკრებიდან, როგორც წესი, არ იქნება განთავისუფლებული არც ერთი ცვალებადი არმიელი და მეთაური. დივიზიის სარდლობამ მრავალჯერ აცნობა ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების ადმინისტრაციას, რომ იგი არ განიხილავს არც ერთ შუამდგომლობას ცვალებადელის განთავისუფლების შესახებ შეკრებიდან. მიუხედავად ამისა, დივიზიის სარდლობას მოსდის მრავალი შუამდგომლობა სხვადასხვა დაწესებულებებიდან. ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ საერთო ტერიტორიალური შეკრება არის სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაწილი და ამ სამსახურიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

საერთო შეკრებასთან დაკავშირებით, მეორე ქართ. მსრ. დივიზიის შტაბი აცხადებს:

დივიზიის ზურგის დაწესებულებების უფროსთა შემადგენლობა უნდა გამოცხადდეს ქვემო-ავჭალის ბანაკში 20 აგვისტოს, დილის 7 საათზე;

უმცროს მეთაურთა შემადგენლობა და მძიმე ტყვიამფრქვეველ განაყოფების მეტყვიამფრქვევენი—10 აგვისტოს.

ცალკე ცხენოსან ესკადრონის ოთხივე წლის რიგის არმიელები და ცალკე საკავშირო და მესანგრეთა ასეულების 1903, 1904 და 1905 წელში დაბადებული რიგის არმიელები—15 აგვისტოს;

ქვეითი და საარტილერიო ლეგიონების და ზურგის დაწესებულებების ყველა დანარჩენი რიგის წითელარმიელები— 20 აგვისტოს.

გაზ. „კომუნისტი“-ს 184 ნომერში (8 აგვისტოდან) ნაჩვენები იყო რომ დივიზიის მთელი შემადგენლობა თავმოყრილი უნდა იყვეს ავჭალის ბანაკში 29 აგვისტოს, რაც შეცდომით არის წასული. უნდა იყვეს: „დივიზიის მთელი შემადგენლობა თავმოყრილი უნდა იყვეს ავჭალის ბანაკში 20 აგვისტოს“.

საქ. ბანკის აპარატის წმენდის შედეგები

დამთავრდა სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორის წმენდა. გამწმენდი კომისიის დადგენილებით, პირველი კატეგორიით მოხსნილი არიან სამსახურიდან: 1) მოლარე ა. მიქაძე, იგი ყოფილ მენშევიკია. წმენდის დროს შეეცადა დაემალა თავისი პოლიტიკური წარსული. შრომის სიაში შეტანილი აქვს არა სწორი ცნობები; თანამშრომლებთან ცუდი განწყობილება ჰქონდა; სამსახურისადმი იჩენდა დაუდევრობას; 2) ბუხჰალტერი გ. ბუზენი — სამსახურისადმი იჩენდა დაუდევრობასა და გულგრილობას; კავშირი ჰქონდა კერძო პირებთან, თანამშრომლებს უხეშად ეპყრობოდა; 3) მოლარე ნ. ლაფარაშვილი — იგი ყოფილი ბოქაულია; წმენდის დროს დაფარა თავისი წარსული.

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან: 1) მემანქანე ქალი კლარა იაროშევსკაია — ეწეოდა კონტრაბანდით, არღვევდა შრომის დისციპლინას; 2) ბუხჰალტერი დ. ზენდელიანი, სამსახურში იჩენდა არაკეთილსინდისიერებას და დაუდევრობას; თავის მაგიდის უჯრაში „ინახავდა“ ორ მილიონიან ღირებულების საბუთს; 3) კონსულტანტი ს. ნელიდოვი — თავის ხელქვეითებს უხეშად ეპყრობოდა; აჭიანურებდა საქმეებს, ეწეოდა პროტექციონიზმს; ახალგაზრდებს არ ასწავლიდა საქმეს. ყოფილი თეთრი ოფიცერია; 4) მოლარე ალ. გოზალოვი, მსახურობდა მენშევიკების მილიციაში, წმენდის დროს დამალა თავისი წარსული, 5) მთ. ბუხჰალტრის თანაშემწე ნ. ლიპინსკი, ყ. თეთრი ოფიცერი, სათანადოთ ვერ ერკვევა საკრედიტო რეფორმის საკითხებში. ეწევა პროტექციონიზმს; წმენდის დროს დაფარა თავისი წარსული.

მესამე კატეგორიით მოხსნილი არიან: 1) ბუხჰალტრის თანაშემწე ი. ბუროვი, უვარგისი მუშაკი, უხეში კლიენტებისადმი, 2) მემანქანე ქალი ე. შახბუდაგოვა, 3) მემანქანე თ. ბაქრაძე, ინტრიგანი, საზოგადოებრივ საქმეებს გაურბის; 4) ბუხჰალტერი კ. ლიტკე; 5) ბუხჰალტერი გ. მიქაძე, დებოშირი, არღვევდა შრომის დისციპლინას, დაფარა თავისი წარსული — ყოფილი მენშევიკია; 6) ბუხჰალტერი მ. ხურანაკოვი სუსტი მუშაკი და უხეში. გარდა ამისა მთელ რიგ მოსამსახურეებს გამოეცხადათ საყვედური, გაფრთხილება და სხვ.

უწესოებანი კურორტ აბასთუმანში

ამ ზაფხულს დიდძალი ავადმყოფები მოაწყდა აგარაკ აბასთუმანს. ოთხივე სანატორიუმი, პანსიონატი, სასტუმრო და კერძო ბინები, რომლებიც კურორტთა სამმართველოს ხელშია, გადამეტებით არის დატვირთული.

სურსათ-სანოვაგე საკმაოდ არის. არც საგრძნობი სიძვირეა, გარდა ზოგიერთი საგნებისა, [illegible]ლებიც ამ ბოლო დროს გაძვირდა. აბასთუმანში კერძო ვაჭრები არ არიან, აქ ყველაფერი კოოპერატივების ხელშია, მაგრამ ამ მდგომარეობით კოოპერაცია სათანადოთ ვერ სარგებლობს.

კოოპერატივის რომელ სავაჭროშიც არ უნდა შეხვიდეთ, ყოველგან რიგებია, ორი-სამი საათით გიხდება რიგში დგომა. კოოპერატივის სავაჭროში მომუშავე თანამშრომლები, გარდა მცირე გამონაკლისისა უდიერად და უხეშად ეპყრობიან მომხმარებლებს.

იქ, სადაც რძე იყიდება, დაუსრულებელი რიგია და ამის გამო დასუსტებულ ავადმყოფებს ხანგრძლივად უხდებათ ფეხზე დგომა და ლოდინი. რძეში ხშირად დიდი რაოდენობით ურევია წყალი, რაც იწვევს კანონიერ უკმაყოფილებას. ეს მაშინ, როცა აბასთუმანის კურორტს საკუთარი რძის ფერმა აქვს, რომელიც კარგად არის მოწყობილი. საჭიროა გამორკვევა, თუ ვინ ურევს წყალს რძეში და დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

რაც შეეხება რიგებს, ამის წინააღმდეგ ახალციხის კოოპერაციამ დროზე უნდა მიიღოს შესაფერისი ზომები და რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვაროს ეს საკითხი. ამის შესაძლებლობა უთუოდ არის.

აქ არიან კერძო მეეტლეები, რომელთა თავხედობას საზღვარი არა აქვს. ისინი ტყავს აძრობენ მოაგარაკეებს. საჭიროა მათი ალაგმვა.

„სოიუზტრანსმა“ ერთი ავტომობილი მუდმივად უნდა ამუშაოს ქვემო და ზემო აბასთუმანს შუა. ეს მეტად დიდ დახმარებას გაუწევს ავადმყოფ მოაგარაკეებს და თვით „სოიუზტრანსიც“ არ ნახავს ზარალს.

ცნობილია აქაური ბუნებრივი თბილი აბანოები, რომელნიც გამოირჩევიან თავისი სამკურნალო თვისებებით და რომლებიც ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებენ. მაგრამ ამას ზედ ერთვის კიდევ ის, რომ ამ აბანოებს იყენებენ როგორც უბრალო ტანის საბან აბაზანებათ, რაც დაუშვებელია.

მომავალ წელში კურორტთა სამმართველომ უნდა მოაწყოს ცალკე აბაზანები, რომლებიც გამოყენებული იქნება ჰიგიენურ მიზნით.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებას პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა პარტუჯრედებმა.

მოაგარაკე.

ქრონიკა

სპეც. მატარებელი ნიადაგმცოდნეობის კონგრესის დელეგატებისათვის

ამ დღეებში საქართველოში ჩამოვლენ ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესის დელეგატები. ისინი თბილისიდან გაემგზავრებიან ბორჯომში, ბაკურიანში და ბათომში.

ა.-კ. რკინის გზის დირექციამ კონგრესის დელეგატებისათვის გამოჰყო სპეციალური მატარებელი ათი რბილი ვაგონის და ერთი ვაგონ-რესტორანის შემადგენლობით. ცალკე მატარებელია გამოყოფილი აგრეთვე ბაკურიანის შტოზე სამგზავროდ.

საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა

საქართველოს პროფსაბჭოს მე-10 პლენუმის დადგენილებით, საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა გადადებულია 15 თიბერისათვის.

რკინის გზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

25 აგვისტოს თბილისში გაიხსნება რკინის გზელთა პროფკავშირის ა.-კ. საგზაო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

სხვა საკითხთა შორის პლენუმი განიხილავს შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის ტრანსპორტის მომზადების საკითხს, ა.-კ. რკ. გზის 1930-31 საკონტროლო ციფრებს და კადრების მომზადების საკითხს.

ა.-კ. რკ. გზ. ჟანდართელობის სამმართველოს გაუქმება

ა.-კ. რკ. გზის დირექციაში მიღებული ცნობით, საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად, ა.-კ. რკ. გზის ჟანდართელობის დაცვის სამმართველო უქმდება. მის ნაცვლად გზის დირექციასთან დაარსდება ჟანდართელობის დაცვის განყოფილება.

სამრეწველო საქონელი მესაქონლეთათვის

საქართველოს მესაქონლეთა კავშირმა მესაქონლეებს შორის დამატებით განაწილა 36.000 მეტრი ნაჭერი და 108.000 მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, ფართალი და ფეხსაცმელი.

საქლავი საქონლის დამზადება

საქართველოს მესაქონლეთა კავშირის ცნობით, 1 აგვისტოსთვის დამზადებული იყო 4.377 სული მსხვილფეხა საქონელი, 3.690 სული ღორი და 10.259 სული ცხვარი.

პრ. ფ. ქ. ამირაჯიბი — შრომის გმირი

საქართველოს პროფსაბჭოს მე-10 პლენუმმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა პროფ. ქ. ამირაჯიბის დამტკიცების შესახებ შრომის გმირად.

ნ. ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა

კვირას, 10 აგვისტოს, საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნება მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა. გამოფენილი იქნება მხატვრის 100 სურათზე მეტი. გამოფენა ღია იქნება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

სხვადასხვა

საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 10 აგვისტოს, საღ. სრულ 7 საათზე, საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20) საკონფლიქტო კომისიის წევრების და კანდიდატების და აგრეთვე იმათი, ვინც საპელაციო განცხადება შეიტანა, დასწრება სავალდებულოა.

— ა.-კ. ხის დამმუშავებელთა 1-ლი ყრილობა. 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნება ხის დამმუშავებელ მუშაკთა პირველი ამიერ - კავკასიის ყრილობა.

დღეს, 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაელთა კლუბში (პლეხანოვის პროსპ.), გაიმართება კითხვა - პასუხის საღამო. სადაც თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვანო ბოლქვაძე გასცემს პასუხს მუშა-მოსამსახურეთა შეკითხვებზე.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: პროფ. ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. გამოცემა „ქართული წიგნი“-ს.

დავით კლდიაშვილი: ორი მოთხრობა: „სოლომონ მორბელაძე“. და „როსტომ მანველიძე“. გამოც. „ქართული წიგნი“-ს.

პ. ს. კოგანი: „ნარკვევები დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიიდან“ ტ. 1. თარგმანი ქს. კვანტრესი.

უზრუნველვყოთ სასკოლო მშენებლობის გეგმის შესრულება ტრანსპორტზე

ამხ. რუხიმოვიჩის ბრძანება

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ რკინის გზებზე კადრების აღზრდის საკითხი მეტად მწვავედ სდგას. რკინის გზის ტრანსპორტი უზრუნველყოფილი არ არის საჭირო კვალიფიციური მუშაკებით და ეს გარემოება დღევანდელ პირობებში, როდესაც ტრანსპორტის როლი არაჩვეულებრივად გაიზარდა, ტრანსპორტს მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

კადრების მომზადების საკითხი ამის გამო ეხლა სატრანსპორტო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. გზათა კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხის სასწრაფოდ გადაჭრას და არ ზოგავს საშუალებებს მისთვის. იხსნება მთელი რიგი სასწავლებლები, რომლებიც საჭიროებენ შესაფერის შენობებს. სამწუხაროდ ამ შენობების აგების საქმე სათანადო ნიადაგზე არა სდგას. ეს სჩანს გზათა სახალხო კომისრის ამხ. რუხიმოვიჩის დეპეშიდან, რომელიც გუშინ მიიღეს ა.-კ. რკინის გზის დირექციაში.

ამხ. რუხიმოვიჩი ამ დეპეშაში რკინის გზების ხელმძღვანელების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საკავშირო მუშგლეხინის გამოკვლევის თანახმად, სამოსწავლო შენობების და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელ ბინების მშენებლობა რკინის გზებზე წელს უაღრესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ზოგიერთი გზები უარსაც კი ამბობენ ამ მშენებლობაზე. ასეთი გარემოება საშიშროების წინაშე აყენებს რკინის გზის ტრანსპორტზე სასწავლებლების ქსელის განვითარების და საერთოდ კადრების მომზადების საქმეს.

ამხ. რუხიმოვიჩი კატეგორიულ წინადადებას აძლევს რკინის გზების ხელმძღვანელებს — მიიღონ ყველა ზომები სასწავლებლების მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმების შესასრულებლად.

ამხ. რუხიმოვიჩი გზების ხელმძღვანელებს აფრთხილებს, რომ იგი არავითარ ახსნა-განმარტებებს არ მიიღებს ამ გეგმების შეუსრულებლობის შესახებ და დამნაშავე პირებს გეგმების შეუსრულებლობისათვის მისცემს პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

ა.-კ. რკინის გზის დირექციას მართებს კარგად აწონ-დაწონოს გზათა კომისარის ეს ბრძანება, რადგან, როგორც ვიცით, სასწავლებლების მშენებლობა ჩვენს რკინის გზაზედაც ძალიან ნელის ტემპით მიმდინარეობს.

შემთხვევები

დაჭრა

იაკობ ხითაროვმა დანით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი. დაჭრილი გადაიგზავნა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში. ხითაროვი დააპატიმრეს.

მაიდ-ახმედ კიზი-ოღლს, აკვანზე დგომის დროს, სახეში მოხვდა ვიღაცას მიერ გასროლილი ტყვია და დაიჭრა სასიკვდილოდ. [illegible]დმყოფოში მიყვანისთანავე დაჭრილი გარდაიცვალა.

ნინა მორიცმა თამაშობის დროს რევოლვერით უეცრად მძიმედ დასჭრა ახმედ ვახტან გას-ოღლი. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

დაჯახება

ავტო-მანქანა № 327, რომელსაც მართავდა შოფერი ივანე ამირიძე, პლეხანოვის ქუჩაზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონს (მარშრუტი 3, ვატმანი ტკაჩოვი); დაჯახების დროს დაზიანდა ვაგონი, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დაპატიმრება

ქურდობისა და [illegible]ობისათვის დააპატიმრეს გრიგოლ თეძნიაკოვი, ალექსანდრე სოკოლოვი და პავლე ვოროეკინი.

ქურდობა

რაჭიდან ჩამოსულ ექსკურსანტს მირონ მიქაძეს, ტრამვაიში ასვლის დროს ჯიბიდან ამოაცალეს 50 მანეთი და საბუთები.

გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია № 11, წაიღეს 350 მანეთის ნივთები.

ნარევი

ცეპპელინი— სანატორიუმი

ამერიკის დირიჟაბლების მშენებლი კომპანიის დირექტორმა კარლ არნშტეინმა წამოაყენა პროექტი ცეპპელინის აგებისა ტუბერკულოზით, სისხლნაკლებობით და სხვა ასეთ ავადმყოფობით დასნეულებულთათვის, რომელთაც მთის ჰაერით მკურნალობა ესაჭიროება. მთის ჰავის სამკურნალო გავლენა აიხსნება ჰაერის სიწმინდით და მზის სინათლით, რომელიც დიდ სიმაღლეზე მდიდარია ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ულტრაიისფერი სხივებით. არნშტეინის აზრით, დირიჟაბლი-სანატორიუმი ისეთი სიდიდის უნდა იყოს, რომ შესძლოს კვირეების განმავლობაში დარჩენა ჰაერში მიწაზე დაუშვებლად. ასეთი დირიჟაბლი კლიმატოლოგიურ პირობებთან შეფარდებით იცვლის ადგილმდებარეობას, არჩევს ხელსაყრელ ამინდს და პაციენტებისათვის უზრუნველჰყოფს მზის სხივების მაქსიმალურ რაოდენობას. დირიჟაბლის ზემო ნაწილზე განზრახულია მზის ვანების მისაღები ფართო მოედნის მოწყობა. დირიჟაბლს ექნება დასასვენებელი ოთახი, სასპორტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ცალკე ოთახები პაციენტებისათვის. კავშირი მიწასთან დამყარებული იქნება პატარა ჰაეროპლანით, რომელიც თვით დირიჟაბლზე იქნება მოთავსებული.

ზედმეტია მტკიცება იმის, რომ ამგვარი სანატორიუმი მისაწვდომი იქნება მხოლოდ მდიდრებისათვის.

საზაფხ. ეთერი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
ძახილი ღამეში

საზაფხ. აპოლო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
მაიმუნების თეატრი

სპარტაკი (ყოფ. არფასტო)
I-ლი სეანსის დასაწყისი 7 ს.
ეთნოგრაფიული კულტფილმი
ხევსურეთი
რეჟისორი ლევ პუში.
ოპერატორი ფ. გეგელი.

საზაფხულო პალასი
1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
მხატვრული სურათი
ორი ოგოლი
დადგმა დ. გრიფფიტის
ლილიან და დოროთეა გიშის მონაწილეობით.

საჩქაროდ ვცვლი

2 ოთახიან ბინას თბილისში — ლომინაძის (იზმაილ.) ქ. 21, სამზარეულოთი და სხვა მოწყ. მოსკოვში დაახლოებით ასეთსავე ბინაზე. იკითხეთ: ლომინაძის ქ. 21, დილის 7—9 საათამდე, და საღ. 5—7 საათ. ან სახვაჭრობაში (კეცხოველის ქ. 5) 1—2 საათამდე.

8—2 ხ. ე. ჭიჭინაძე.

მალე!
ახალი
კომედია
დიდი უსიამოვნება
ნ. 1196

ფრთხილად,
იქედან უკან
ჯერ არავინ
დაბრუნებულა
ნ. 1196

კომთეატრი

12 აგვისტოს

საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესისათვის

წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის

ლამარა

პიესა 4 კამარად

დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დილ. 11—3 და საღ. 6—10 საათამდე.

12 აგვისტოს

მუშკოოპის კულტ-სექტორი აცხადებს კონკურსს კოოპთეატრისთვის საჭირო პიესებზე.

პირველი პრემია 300 მან., მეორე პრემია 200 მან., მესამე პრემია 150 მან.

გარდა ზემოაღნიშნულ პრემიისა, მიღებულ პიესების ავტორებს მიეცემათ პიესების ღირებულებაც.

თემები:
1. კოოპერაცია და ახალი ყოფა.
2. სადუქნო კომისიები საუკეთესო მაღაზიებისთვის ბრძოლაში.
3. კოოპერაციის სახსრების მობილიზაციისათვის.
4. სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ხილი, მწვანილი) მომხმარებელთან მისვლამდე.
5. საზოგადოებრივი კვების საშუალებით ყოფის გარდაქმნისათვის.

პიესები დაწერილი უნდა იყოს პატარა ფორმის თეატრისათვის, არა ნაკლებ სამი აქტისა.

პიესაში ჩართული უნდა იქნეს სასიმღერო მასალები (ლექსები, კუპლეტები).

მომქმედნი პირნი არ უნდა აღემატებოდნენ: კაცი—7, ქალი - 3.

პიესის წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1-ლი ოქტომბერი.

პიესები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქორესის ქ. № 3, მუშკოოპის კულტ-სექტორში, ოთახი № 7.

თემების გარშემო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება იქვე.

პიესის ამოსარჩევათ და განსახილველათ და აგრეთვე პრემიების დასანიშნათ გამოყოფილი იქნება ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევლენ დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3—2 კულტ-სექტორი.

გამოვიდა და იყიდება

ექიმ გიორგი თედორაძის წიგნი

„ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“

პროფესორ აკ. შანიძის წინასიტყვაობით.

ფასი ყდით 3 მ. 50 კ. უყდოთ 3 მ. წიგნი დასურათხატებულია ლენინის ქ. № 6.

ს. თავართქილაძე.

ნ. 1138

საქართვ. წითელი ჯვრის

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)

საავადმყოფო და პოლიკლინიკა

კამოს ქ. № 54, ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
ხამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.

პოლიკლინიკა:

ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშვთა ტუბერკულოზი ექ. ი. ტ. გორობიოვი 4—5 საათ
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. გ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ხ. ყიფშიძე 3—4
„ პროფ. შ. წინამძღვარიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ხ. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე
ბავშვთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე
კუჭ-ნაწლავებთა დავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.

პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადაახდებათ ერთი მან.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუ[illegible]ულად

— პურის წიგნ. № 25181—იოსებ ხანანაშვილის სახელზე.	4307
— პურის წიგნ.—არტაშა მიხანაშვილის სახელზე.	4305
— პურის წიგნ.—მელქონ ავეტისოვის სახელზე.	4304
— რძის ტალონი № 2371 პორფილე მასხარაშვილის სახ.	4309
მუშკ. წიგნ. № 10211 მუსა აბრაღამოვის სახელზე.	4296
— პასპორტი—ალექსანდრე პოლიაკოვის სახელზე.	4301
— მუშკ. წიგნ. № 4888—შ. მაღალაშვილის სახელზე.	4310
— კავშ. წიგნ. ქუთაის. სამეურნ. სასწავლ. დამთავრ. მოწმ. და სამხ. აღრიცხ. ბარათი—სამსონ ალექსანდრეს-ძე ჰანიკაშვილის სახ.	42[illegible]
— მუშკ. წიგნ. № 7902—მარიამ დანელიანის სახელზე.	4300
— პურ. წიგნ.— ალექსანდრე ანასაშვილის სახელზე.	4[illegible]97
— პურის წიგნ. თამარა აპანოვის სახელზე.	430[illegible]
ვაცომ. დაახლ. სალ[illegible]ოს წიგნ.—მიოთა ილიას ას. მაჩაბელია[illegible]	[illegible]
— პირ. წიგნ. ერმილე გრიგოლის-ძე ხოგაძის სახელზე.	4 11
— პურის წიგნ.—ავთანდილ ცოცხაძის სახელზე.	[illegible]
— პურის წიგნ. [illegible] ქობალაძის სახელზე.	4[illegible]11

ღრმად დამწუხრებულნი კოლა გიორგის-ძე ინაშვილი ოჯახით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარ და საყვარელ

გიორგი (გუგული) გაბრიელის-ძე მამაცაშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 10 აგვისტოს, უდელის ქუჩა № 20, 5 ნახ. საათზე. 4318

დეიდა პასიკო ლორთქიფანიძე, დეიდაშვილები: ვალენტინა და შოთა დგებუაძეები, ფუცუ ფულარიასი, პაუსია დადიანისა, მელეხანი ლეჟავასი, ალიოშა დგებუაძე, ნინა და ელგუჯა ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნაცმობ-მეგობრებს დაუვიწყარი

გუგული მამაცაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4317

უსაზღვროდ დამწუხრებული მელეხან გედეონის ასული ლეჟავა და პლატონ დარისპანის-ძე ლეჟავა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის უსაყვარლესი მეგობრის

გუგული გაბრიელის ძე მამაცაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4306

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე მ. გვასალია და აბრამ კუტალია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი მეგობარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დარგის მე-4 კურსის სტუდენტი

გუგული მამაცაშვილი

დაკრძალვა დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 4308

ბორჯომის სატყეო მრეწველობის ტეხნიკუმს ესაჭიროება:

1. ინჟენერი-მექანიკოსი—სპეციალური საგნების მასწავლებლათ.
2. ინჟენერი-ტეხნოლოგი—სპეციალური საგნების მასწავლებლათ.
3. ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელი

შრომის ხელფასი — შეთანხმებით

მსურველებმა უნდა მიმართონ: 1) თბილისში—„ზაკლესბუძტრესტს, კადრების განყოფილებას (მაჩაბლის ქუჩა, № 1), 2) ბორჯომში—სატყეო მრეწველობის ტეხნიკუმის გამგეს. 3—1 ნ. 1199

სამუდამოთ გულმოკლულნი მშობლები: დედა ატატო, მამა კონსტანტინე, დები: ოლია, კატუშა, ბაბია, იულია, ძმები: ვასილი, შალვა, ვალია, ბიძაშვილები: მიშა, კირილე, სემენა აბესა, მიშა, ალექსანდრე, ანიჩკა და თამარა ასათიანები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ა. წ. 8 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ტრაღიკულათ დაიღუპა სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი

სერგო კონსტანტინეს-ძე ასათიანი

გამოსვენება სამხედრო ჰოსპიტლიდან 10 აგვისტოს, საღ. 5 საათზე, თბილისის სადგურზე. დაკრძალვა სოფ. ლაილაში (ლეჩხუმი). 4312

ანტონ, კანდიდ და ვარლამ ჩარკვიანები და მიშა უშანგის ძე ასათიანი ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ

ამხ. სერგო კონსტანტინეს-ძე ასათიანის

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. (კ)

ამხ. ფრუნზეს სახ. მე-2 ქართულ მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების, შტაბის, გაზ. „წითელარმიელი“-ს რედაქციის, საქ. ტერ. სამმართველოს და სამხ. კომისარიატის თანამშრომლები და საკომენდანტო გუნდის წითელარმიელები ღრმესი მწუხარებით იუწყებიან საკომენდანტო გუნდის წითელარმიელის

ამხ. სერგო კონსტანტ.-ძე ასათიანის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება სამხ. ჰოსპიტალიდან (ნაძალადევი) თბილისის სადგურზე დღეს, 5 საათზე. დაკრძალვა სოფ. ლაილაში (ქუთაისის ოლქი). 4313

დამწუხრებულნი მშობლები ქსენია და სერგო, ბებია მინადორა, ბაბუა ილიკო, მამიდები: ლუბა და ვერიჩკა გერაძეები, ბებია ელპიტი, ბიძები: მიშა, ვარლამი, მიტუშა და დეიდა მარგალიტა კანდელაკები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა

სოლიკო სერგოს-ძე გერაძე

დაკრძალვა კვირას, 10 აგვისტოს, 3 საათზე ქ. სამტრედიაში, ორპირის ქ. № 39, სტაროსელსკის მოედანთან. ნ. 1195

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბაბილინა, შვილები: ილია და შალვა იუწყებიან, რომ 8 აგვისტოს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი

გაბრატ როსტომის-ძე თუთბერიძე

დასაფლავება სამშ ბათს, 12 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ქ. ქუთაისი, ცაცხვების ქ. № 17. 4298

გრიგოლ (გრიშა) გიორგის ძე აბაშიძე შვილებით ღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც გაიზიარა მისი მწუხარება და პირადათ, წერილით თუ დეპეშით პატივი სცა მისი უდროოდ დაკარგული ძვირფასი მეუღლის

მარიამ სტეფანეს ასული აბაშიძის

ხსოვნას. (კ)

კომკავშირის ხევის რაიონული კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას და ამხანაგებს, რომ ა. წ. 10 აგვისტოს [illegible], საღამოს 5 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო [illegible] უდროოდ დაკარგული, დაუღალავი და ენერგიული კომკავშირელის

ამხ. ალექსი სოლომონის ძე

ხეთაგურის

ხსოვნის აღსანიშნავად. (კ)

ტირაჟი — 5[illegible].007

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68,

მთავლიტი № 904